საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი

„ეკონომიკა და ფინანსები“

International refered and reviewed scientific journal

„Economics and Finance“

- 2 -

თბილისი / Tbilisi
2022

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

© ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გამომცემლობა
© Publishing house of the Institute for Economic Research and Development

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491
ISSN – 2587-5000
https://ganatleba.wixsite.com/ecofin
https://economics-and-finance.bpengi.com

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“. გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით.

International refered and reviewed scientific journal „Ecinimics and Finance“. Published by the decision of Georgian Technical University's Faculty of Business Technologie and Institute of Economic Research and Development.

Международный реферируемый и рецензируемый научный журнал «Экономика и финансы». Издается по решению факультета бизнес-технологий Грузинского технического университета и Института экономических исследований и развития.

ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ.
The magazine has been published since 2018, four times a year.
Журнал издается с 2018 года, четыре раза в год.

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს web-გვერდზე, ასევე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ გვერდზე.

The electronic version of the journal can be found on our website, as well as on the page of the "Iverieli" Digital Library of the National Library of the Parliament of Georgia.

Электронную версию журнала можно найти на нашем сайте, а также на странице Электронной библиотеки «Ивериэли» Национальной библиотеки Парламента Грузии.

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა და ფინანსები”

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: გიორგი ცაავა
ჟურნალის მთავარი რედაქტორი: დავით ჩახვაშვილი

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:
მ. ალადაშვილი (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ლ. ბახტაძე (თსუ), რ. ბერიაშვილი (საქართველოს ეროვუნული უნივერსიტეტი), რ. ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს. გოგჩე (აფიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქეთი), მ. ვანიშვილი (სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), რ. მარკს-ბიელსკა (ვორმიის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი (განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი (რობინსდეილ ამსტრონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ), მ. ტროჯაკი (იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი), რ. ქუთათელაძე (სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ), ო. ზუმბურიძე (სტუ)

International Scientific Journal “Economics and Finance”

Head of the editorial board of Journal: Giorgi Tsaava
Editor-in-Chief of Journal: Davit Chakhvashvili

Editorial board of Journal:
M. Aladashvili (Ttelavi State University), L. Bakhtadze (TSU), R. Beriashvili (Georgian National University), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C. Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer (Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Jagiellonian University, Poland), R. Kutateladz(GTU), M. Chelidze (GTU), N. Chikaidze (GTU), O. Zumburidze (GTU)

გამომცემლობის რედაქტორები: გიორგი გოგოლაძე, ვაჟა ჯაშიაშვილი
გარეკანის დიზაინი: სიმონ წულაია
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თამარ მჭედლიშვილი
გამოცემის ხელმძღვანელი: ვალერი მოსიაშვილი

Press Editors: Giorgi Gogoladze, Vazha Jashiashvili
Cover Designers: Simon Tsulaia
Compositor: Tamar Mchedlishvili
Edition Manager: Valeri Mosiashvili

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნელი სესაძე, ნინელი თევდორაშვილი, ლია პიტიურიშვილი - სოფლის მეურნეობის აღრიცხვის, დაბეგვრის და დაზღვევის თავისებურებები 8

ქეთევან კვიცარიძე - კლიენტებთან და მათ მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების შეფასება 17

ვალერი მუშკუდიანი - აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში 24

თამარ მოხევიშვილი, გიორგი ცაავა - საბანკო მომსახურეობების ეკონომიკური პრობლემატიკა 30

ირაკლი მჭედლიშვილი, ვალერი მოსიაშვილი - ნავთობის ფასის ზრდა და მისი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე 51

მანანა მჭედლიშვილი, ნაირა ტაბატაძე - ბიზნესში საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების გამოყენება 56

ნატო ქორიძე - ქართული ავეჯის წარმოების ძირითადი ბარიერები 65

ნინო ჯარიაშილი - ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის წინააღმდეგობები 74

გიორგი ცაავა, რატი ბურდიაშვილი, მამუკა მაისურაძე - ფინანსური ტექნოლოგიების ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობასა და ბანკის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთზეგავლენის ხარისხის შეფასება 87

დავით ჩახვაშვილი - გუნდის ფორმირება და ადამიანური რესურსების მართვა 100

Contents

Neli Sesadze, Nineli Tevdorasfvili, Lia pitourishvii - Peculiarities of accounting, taxation and insurance in Agriculture 8

Ketevan Kvitsaridze - Assessement of the risks associated with clients and their operations 17

Valeri Mushkudiani - Rules for classification of assets and formation of reserves for possible losses in microfinance organizations 24

Tamar Mokhevishvili, Giorgi Tsaava - Economic Problems of Banking Services ... 30

Irakli Mtchedlishvili, Valeri Mosiashvili - The price of oil' s increase and its influence on economic 51

Manana Mchedlishvili, Naira Tabatadze - Use of accounting software in business 56

Nato Koridze - The main barriers in the process of Georgian furniture production 65

Nino Jariashvili - Waste collection and recycling, resistance to the transition to a green economy 74

Giorgi Tsaava, Rati Burdiashvili, Mamuka Maisuradze - Assessment of the degree of mutual influence between the volume of investment financial and technological innovations and macroeconomic bank indicators 87

Davit Chakhvashvili - Team Building and Human Resource Management 100

სოფლის მეურნეობის აღრიცხვის, დაბეგვრის და დაზღვევის თავისებურებები

Peculiarities of accounting, taxation and insurance in Agriculture

ნელი სესაძე - სეუ, ასოცირებული პროფესორი
Neli Sesadze - Georgian National University SEU
Associate Professor
n.sesadze@seu.edu.ge
ნინელი თევდორაშვილი - სეუ, ასოცირებული პროფესორი
Nineli Tevdorasfvili - Georgian National University SEU
Associate Professor
n.tevdorashvili@seu.edu.ge
ლია პიტიურიშვილი - სეუ, ასისტენტ პროფესორი
Lia pitourishvii - Georgian National University SEU
Assistant Professor
l.pitiurishvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი: სოფლის მეურნეობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. დარგის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა უკანასკნელ ხანებში განვითარებულ პანდემიურ პროცესებთან, და ახლახან წარმოქმნილ რისკებთან დაკავშირებით, რომელიც პროფ. პაპავას მიერ კლასიფიცირებულ იქნა, როგორც „სანქციონომიკა“. დაწესებული სანქციები ეკონომიკურ სირთულეებს გამოიწვევს არა მარტო იმ ქვეყნებში, რომლებმაც დააწესა სანქციები, არამედ სხვა ხალხებზეც. მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის მიერ ზრუნვა თავისი მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფაზე, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებს. [1]

სოფლის მეურნეობა სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე მეტად დამოკიდებულია ბუნებრივ ფაქტორებზე, წარმოება „ღია ცის ქვეშ“ მიმდინარეობს, დამოკიდებულია კლიმატის ცვლილებაზე, ამინდის რყევებზე. ტექნოლოგიური პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული ძირითად საშუალებასთან-მიწასთან. სოფლის მეურნეობა, ზოგა-დად, მგრძნობიარეა ბუნებრივი კატასტროფებისადმი, რაც ნეგატიურად მოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. სტატიაში განხილულია

[1] https://alioni21.ge/lado-papava-sanqcionomikaze

დარგის სპეციფიკით გამოწვეული აღრიცხვის, დაბეგვრის, დაზღვევის თავისებურებები სოფლის მეურნეობაში.

საკვანძო სიტყვები: ბიოლოგიური აქტივი, სამართლიანი ღირებულება, ბიოლოგიური აქტივის ტრანსფორმაცია.

Abstract: In modern conditions, most attention is paid to agriculture. Agriculture is an important sector of the economy of any country. Its role for the countries of the world is increasing due to the growing importance of a natural product for human life. It produces food and at the same time supplies raw materials for the processing industry - the food industry, the textile industry and others. Agriculture is the oldest industry in Georgia.

Agriculture is more dependent on natural factors than other fields. Unlike other fields, the technological process is directly related to the main asset - land. Agriculture is characterized by multifaceted productivity — both in addition to the basic product and the accompanying products.

Keywords: Biological asset, real pig, transformation of biological asset.

შესავალი. სოფლის მეურნეობა უძველესი დარგია. იგი აწარმოებს საკვებ პროდუქტებს და ამავე დროს აწვდის ნედლეულს გადამამუშავებელ მრეწველობას. საქართველო დიდი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, სადაც არსებობს ვაზის და ხორბლის წარმოების მდიდარი გამოცდილება. 2020 წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8,3%-ია,



წყარო: geostat.ge

ქვეყანაში სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 2022 წლის დასაწყისისათვის 1 512.9 (ათასი კაცი), ანუ 40.6 (%).რაც ამ სფეროში არსებულ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს, რადგან გამოდის, რომ

მოსახლეობის თითქმის ნახევარი მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8,3%-ს ქმნის.

2020 წლის მონაცემებით საქართველოდან ექსპორტირებულია 942.2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, (ძირითადად თხილი და ღვინო) ხოლო იმპორტირებულია 1,2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია (ძირითადად ხორბალი, თამბაქო). როგორც ვხედავთ, მდგომარეობა არასახარბიელოა- იმპორტი 27,4,%-ით აღემატება ექსპორტს.[2]

მსოფლიო ბაზარზე დღითი-დღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. ქართულმა პროდუქციამ აღიარება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზარზე უნდა მოიპოვოს. მის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ.

ძირითადი ნაწილი. სოფლის მეურნეობა სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე მეტად დამოკიდებულია ბუნებრივ ფაქტორებზე. ტექნოლოგიური პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული ძირითად საშუალებასთან- მიწასთან. სოფლის მეურნეობა ხასიათდება მრავალპროდუქტიულობით- მიიღება ძირითად პროდუქტთან ერთად შეუღლებული და თანამდევი პროდუქტებიც. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სოფლის მეურნეობაში სამუშაო პერიოდი და წარმოების პერიოდი არ ემთხვევა ერთმანეთს- მცენარეებს აქვთ ვეგეტაციის პერიოდი.

სოფლის მეურნეობის დარგის სპეციფიკა განაპირობებს ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებებს.

1. აღრიცხვაში მიწა აისახება ნატურალურ მაჩვენებლებში (ჰექტარი), ფულად გამოხატულებაში ნაჩვენებია დამატებითი (როგორც კაპიტალი) ინვესტიციები და ნაყიდი მიწები.

2. ხშირად ერთი ნათესიდან ან ერთი სახეობის პირუტყვიდან იღებენ რამდენიმე სახის პროდუქტს. ეს იწვევს კომპლექსური ხარჯების არსებობას და მათი განაწილების აუცილებლობას.

3. საკუთარი წარმოების პროდუქციის ნაწილი გამოიყენება შიდასაწარმოო მოხმარებისათვის (შიდა ბრუნვა): მემცენარეობაში

---

[2] საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2021 წელი

თესლებისთვის, პირუტყვის საკვებად, გადასამუშავებლად; მეცხოველეობაში-სასუქებისთვის მემცენარეობაში, პირუტყვის საკვებად. აუცილებელი ხდება პროდუქტების მოძრაობის შესაბამისი ასახვა შიდასამეურნეო ბრუნვის ყველა ეტაპზე.

4. წარმოებაში გამოიყენება მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც მოითხოვს ყველა მობილური მანქანის და მექანიზმის საიმედო აღრიცხვას.

მეცხოველეობაში, უმეტესად არ არის განსხვავება სახსრების ინვესტიციის და პროდუქციის გამოშვების პერიოდებს შორის, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მიმდინარე წლის ხარჯი არ გადადის შემდეგ საანგარიშო პერიოდში. ყველა გაწეული ხარჯი ეკუთვნის მიმდინარე წელს.

მემცენარეობის ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ნიადაგის მომზადება თესვისათვის, თესვა, კონტროლი ზრდა-განვითარების პროცესზე, მოსავლის აღება. აუცილებელი ხდება ხარჯების განაწილება შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით.

2003 წელს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ბასს 41 –„სოფლის მეურნეობა“, რომელიც გამოიყენება ბიოლოგიური აქტივების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღრიცხვისათვის. სტანდარტი არ არეგულირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის აღრიცხვას.

ბასს 41 შემოიტანა სამართლიანი ღირებულების მოდელი სოფლის მეურნეობის ბუღალტრულ აღრიცხვაში.[3]

ბიოაქტივების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ნაყოფის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების სახეები.

რეალური (სამართლიანი) ღირებულება არ არის ისეთი შეფასება, რომელიც საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება, არამედ საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასებაა. რეალური ღირებულებით შეფასების მიზანია: განისაზღვროს ფასი, რომლითაც განხორციელდებოდა აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაცია ბაზრის მონაწილეებს შორის, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი შეფასების თარიღისთვის, ბაზრის

[3] https://saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2014/2014_IAS_41_Final.pdf

მონაწილის პოზიციიდან, რომელიც არის აქტივის მფლობელი, ან, რომელსაც აქვს ვალდებულება).[4]

ცხრილი 1

ბიოლოგიური აქტივები	სოფლის მეურნეობის პროდუქცია	ნიადაგის მიღების შემდეგ მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები
ცხვარი	მატყლი	ძაფი, ხალიჩა
ხეები ტყის პლანტაციაში	მორები	ხის მასალა
მცენარე	ბამბა	ძაფი, ტანსაცმელი
	ლერწამი	შაქარი
მსხვილი რქოსანი პირუტყვი	რძე	ყველი
ღორი	გატყავებული და გამოშიგნული ღორი	სოსისი, დამუსავებული ღორი
ბუჩქოვანები	ფოთოლი	ჩაი, დამუშავებული თამბაქო
ვაზი	ყურძენი	ღვინო
ხეხილი	მოკრეფილი ხილი	გადამუსავებული ხილი

ბასს 41 მიხედვით ბიოლოგიური აქტივები უნდა შეფასდეს თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულებით სავარაუდო გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

[4] https://saras.gov.ge/Content/files/IFRS-2018-pdf/2018_IFRS_13.pdf

მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფასდება რეალური ღირებულებით გამოკლებული გაყიდვის სავარაუდო ხარჯები ნაყოფის მიღების მომენტში. პროდუქციის რეალიზაციაზე გაწეული ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება წარმოადგენს მარაგის თვითღირებულების საფუძველს ბასს 2-ის მიზნებისათვის.

ბიოაქტივის რეალური ღირებულებით შეფასება შესაძლოა არ იყოს ადვილი, ამიტომ სტანდარტი იძლევა რეკომენდაციას, რომ აქტივები ან მიღებული პროდუქტები დავაჯგუფებთ, მაგალითად, ასაკის ან ხარისხის მიხედვით, მაგალითად, პირუტყვი შეგვიძლია დავაჯგუფოთ ჯიშის, ასაკის, წონის და პროდუქტიულობის მიხედვით, ისევე როგორც მათ შეაფასებენ ბაზარზე.

სტანდარტი იძლევა ბიოლოგიური აქტივის თვითღირებულებით შეფასების რეკომენდაციას. ამ შემთხვევაში გამოიყენება ის წესები, რაც დადგენილია სტანდარტით ძირითადი საშუალებებისათვის (ბასს 16). შესაბამისად ზრდადაუსრულებელი ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯები განიხილება კაპიტალიზებად დანახარჯებად, ხოლო ზრდადასრულებული ბიოაქტივის დროს - პერიოდის ხარჯებად.

ცვეთის დარიცხვის მომენტის დადგომის განსაზღვრისათვის აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ გარკვეული დებულებები: ვინაიდან აქტივის ძირითად საშუალებად ჩასათვლელად იგი უნდა იქნას გამოყენებული წარმოებაში, შესაბამისად ბიოლოგიური აქტივთან მიმართებაში იგი უნდა იყოს ნაყოფის მომცემი. თუ ბიოაქტივი არ არის მომწიფებული ნაყოფის მოსაცემად მაშინ იგი ითვლება დაუსრულებელ ძირითად საშუალებად და მას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას წრფივი მეთოდი.

დარგის შემდგომი განვითარებისათვის გათვალისწინებულია გარკვეული შეღავათები საგადასახადო დაბეგვრის ასპექტში. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში

ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება;(სკ მუხლი 82)[5]

ასევე საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება;

მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულია 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება; მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება ან საქონლის მიწოდებისას/შეძენისას გამოწერილია სასაქონლო ზედნადები.

დღგ-ისგან გათავისუფლებულია: საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი;

ვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგროდაზღვევას[6]

დღეისათვის 8 სადაზღვევო კომპანია ოპერირებს ამ დარგში; სს ალდაგი, სს ჯიპიაი ჰოლდინგი, სს ევროინს ჯორჯია, სს არდი ჯგუფი, სს ალფა, სს თიბისი დაზღვევა, სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი, სს გლობალ ბენენფიტს ჯორგია. აგროდაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის უაღრესად სპეციალიზირებულ და კომპლექსურ ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოსავლის,

[5] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=183
[6] https://agrardialog.ru/files/prints/risk_menedzhselskom_hozyaystve_germanii.pdf

პირუტყვის, აკვაკულტურისა და სათბურების დაზღვევას. აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია, ისე რომ ფერმერების აქტივობები შეუწყვეტლად გრძელდებოდეს წლების განმავლობაში, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით,

აგროდაზღვევის პროდუქტებია: ¬ წარმოების ხარჯების დაზღვევა. იგი აზღვევს ფინანსური რესურსების ოდენობას, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსავლის მთელი ციკლისათვის (თესვა, მოვლა, მოსავლის აღება); ¬ მოსავლის დაზღვევა. იგი აზღვევს სავარაუდოდ მისაღები მოსავლის ოდენობას.

2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ფერმერებისთვის აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო აფინანსებს სადაზღვევო პრემიის დიდ ნაწილს (70%-დან 90%-მდე).[7]

2016 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი მარცვლეული კულტურის შემთხვევაში – 30 ჰა., თითოეული დამზღვევი 70-%-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე – 50 %-ს.

სახელმწიფო სუბსიდირება მოიცავს- ვაზის გარდა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე სააგენტოს თანამონაწილეობა არის 70%, ვაზის შემთხვევაში კი 50%.

საქართველოს აგროდაზღვევის სისტემაში თანდათან იზრდება საბიუჯეტო სუბსიდიის სიდიდე, რაც ქმნის დამატებით სტიმულს ფერმერებისათვის აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტით დაინტერესებისა და სარგებლობისათვის.

დასკვნა: საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ამის გამო

[7] https://cyberleninka.ru/article/n/agricultural-insurance-and-prospects-for-its-development-in-georgia

ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა, საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება.

ჩვენი კვლევის საფუძველზე აუცილებელად მიგვაჩნია, უფრო მეტი ყურადღება იქნას გამახვილებული ამ დარგის მიმართ, გაიზარდოს სახელმწიფო დაფინანსება ფერმერებისადმი, სისტემური ხასიათი მიიღოს აგროდაზღვევამ, რაც მისცემს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს საშუალებას, მოსავლის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი მიმართონ მომავალი წლის რისკების დასაზღვევად.

ლიტერატურა:

1. ბასს 41 -„სოფლის მეურნეობა“ https://saras.gov.ge/Content/files/IAS-2018-pdf/2018_IAS_41.pdf (გადამოწმებულია 30.03. 2022)
2. სოფლის განვითარების სააგენტო. http://rda.gov.ge/faq
3. საქართველოს კანონი „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ 2016

https://matsne.gov.ge/ka/document/publication (გადამოწმ. 20.03. 2022)

4. Shonia Nana, Nozadze Mzevinar, Mushkudiani Zurab AGRICULTURAL INSURANCE AND PROSPECTS FOR ITS DEVELOPMENT IN GEORGIAEuropean Science Review Scientific journal № 5–6 2021 (May–June) Vienna Publishing 2021 ISSN 2310-5577 95-99 https://cyberleninka.ru/article/n/agricultural-insurance-and-prospects-for-its-development-in-georgia/viewer
5. https://agrardialog.ru/files/prints/risk_menedzhment_v_selskom_hozyaystve_germanii.pdf Риск-менеджмент в сельском хозяйстве Германии

კლიენტებთან და მათ მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების შეფასება
Assessement of the risks associated with clients and their operations

ქეთევან კვიცარიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
Ketevan Kvitsaridze - Phd student Georgian Technical University
ketevankvitsaridze@gmail.com

აბსტრაქტი: ორგანიზაციაში ფულის გათეთრების კონტროლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს რისკზე დაფუძნებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია საკუთარ პროდუქტებს და კლიენტებს აჯგუფებს დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის კატეგორიებად. რისკის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსებისთვის რელევანტური რისკფაქტორების იდენტიფიკაცია და შეფასება. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (ML/FT) რისკების შეფასება წარმოადგენს შედეგს ან პროცესს, რომელიც მხარეებს შორის შეთანხმებულ მეთოდოლოგიაზეა დაფუძნებული და რომელიც მიზნად ისახავს ML/TF რისკების იდენტიფიცირებას, გაანალიზებასა და გაგებას.

საკვანძო სიტყვები: რისკი, რისკის შეფასება, ფულის გათეთრება.

Summary: The basic principle of money laundering control in the organization is a risk-based approach, according to which the organization groups its products and customers into low, medium and high risk categories. The basis for risk identification is the identification and assessment of risk factors relevant to money laundering and terrorist financing by the organization. Money Laundering and Terrorist Financing (ML / FT) Risk Assessment is an outcome or process based on a methodology agreed upon by the parties to identify, analyze and understand ML / TF risks.

Keywords: risk, risk assessment, money laundering.

ძირითადი ტექსტი: რა არის რისკი? ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების ხდომილების ალბათობის და გავლენის ერთობლიობა. *3 ფაქტორის ანალიზის შედეგი:*

რისკების შეფასების და მართვის ძირითადი საკითხები:

- ორგანიზაციული რისკის შეფასება - ორგანიზაციის საქმიანობის თავისებურებებსა (მაგ. მოცულობა, კლიენტების რეზიდენტობა) და საჭიროებებზე მორგებული სტრატეგია;
- სრულყოფილი შეხედულების ჩამოყალიბება - ყველა შესაბამისი რისკ-ფაქტორის გათვალისწინება და დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება;
- პრევენციული ზომები;
- ფორმალიზება;
- მონიტორინგი და განახლება;
- თანამშრომლის კვალიფიკაცია (კანონმდებლობის, მარეგულირებელი გარემოს ცოდნა).

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს საქმიან ურთიერთობაში მყოფი და ერთჯერადი ტრანზაქციის/გარიგების მონაწილე ყველა კლიენტის კლასიფიკაცია რისკის დონის მიხედვით.

რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენება არ მოითხოვს, რომ მათ უარი თქვან საქმიან ურთიერთობებზე ან შეწყვიტონ აღნიშნული მაღალი რისკის მატარებელ კლიენტთან. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გატარება და კლიენტთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური მართვა. რომელიმე რისკ-ფაქტორის დამოუკიდებლად (იზოლირებულად) არსებობა ავტომატურად არ განაპირობებს კლიენტისათვის დაბალი ან მაღალი რისკის კატეგორიის

მინიჭებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ აღნიშნული მოითხოვება კანონმდებლობით, ამ სახელმძღვანელოთი, ქვეყნის რისკის შეფასების ანგარიშით, სამოქმედო გეგმით.

ML/TF რისკების შეფასებისას გამოსაყენებელი წყაროებია:

სავალდებულო და არასავალდებულო წყაროები:

- ქვეყნის რისკის შეფასების ეროვნული ანგარიში და სამოქმედო გეგმა;
- სებ-ის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები, სექტორული რისკების მიმოხილვა, ადგილზე ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი კარგი და ცუდი პრაქტიკა;
- ადგილზე ან/და დისტანციური შემოწმების შედეგად დადგენილი სებ-ის რეკომენდაციები; მითითებები, მათ შორის, მაღალი რისკის მატარებელი გარემოებების შესახებ (კლიენტების, პროდუქტების, მიწოდების არხების, გეოგრაფიული არეალის და სხვ.);
- FMS-ის და საგამოძიებო უწყებების და სხვა სახელმწიფო ორგანოების ინფორმაცია, ანგარიშები და ტიპოლოგიები;
- საერთაშორისო კომპეტენტური ორგანიზაციების ანგარიშები და სახელმძღვანელოები.
- პრევენციული ზომების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.
- და ასევე სხვა წყაროები როგორიცაა, მაგ. ინფორმაცია ბიზნეს სექტორებიდან, სანდო კომერციული ორგანიზაციებიდან (მაგ. BASEL, World Check), სანდო მედია-გამოცემებიდან, კვლევითი/სამეცნიერო ორგანიზაციებიდან.

რისკის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსებისთვის რელევანტური რისკფაქტორების იდენტიფიკაცია და შეფასება.

გეოგრაფიული არეალის რისკ - ფაქტორებია:

- კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის რეზიდენტობის /მოქალაქეობის იურისდიქცია;
- კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ძირითადი საქმიანობის/ მნიშვნელოვანი პირადი კავშირების იურისდიქცია;
- რისკ-ფაქტორები, დაკავშირებული იურისდიქციის AML/CFT რეჟიმის ეფექტიანობასთან;

- რისკ-ფაქტორები, დაკავშირებული იურისდიქციის გამჭვირვალობის ხარისხთან და საგადასახადო შესაბამისობის საკითხებთან;

კლიენტის რისკ - ფაქტორებია:

- კლიენტის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის საქმიანობა;
- კლიენტის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის რეპუტაცია;
- კლიენტის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის ქცევა და ბუნება.

მაღალრისკიანი საქმიანობა მოიცავს როგორც იურიდიული პირების, ასევე ფიზიკური პირების საქმიანობასაც. მაგალითად, თუ კლიენტი ფლობს ან განაგებს მაღალრისკიან ბიზნესს, აღნიშნული უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი მისი რისკის შეფასებისას.

კომერციულ/პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისთვის ყურადღება უნდა მიექცეს:

- კლიენტის ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის კავშირს ისეთ სექტორთან, რომელიც დაკავშირებულია კორუფციის მაღალ რისკებთან.
- კლიენტის ან მისი ბენეფიციარ მესაკუთრის კავშირს ისეთ სექტორთან, რომელიც დაკავშირებულია მაღალ ML/TF რისკებთან.
- კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის კავშირს სექტორთან, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მნიშვნელოვანი მოცულობის ნაღდ ფულთან (ბიზნესი არის ქეშ-სენსიტიური).

რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისთვის:

- ამედიაში/საინფორმაციო ბაზებში განთავსებულია უარყოფითი ცნობები და შეფასებები კლიენტთან ან მის ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებით (მაგალითად, ბრალდებები ტერორიზმთან ან სხვა დანაშაულებრივ/უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით). მოცემულ შემთხვევებში, მონიტორინგის განმახორციელებლმა პირმა მხედველობაში უნდა მიიღოს ინფორმაციის სანდოობა მისი ხარისხისა და წყაროს დამოუკიდებლობის გათვალისწინებით;
- კლიენტის, ბენეფიციარი მესაკუთრის ან სხვა პირის (რომელიც საჯაროდ ცნობილია, რომ მჭიდროდაა დაკავშირებული კლიენტთან/ბენეფიციარ მესაკუთრესთან) მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა (ან არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი) დანაშაულთა იმ კატეგორიებზე, რომელიც შესაძლებელია განხილულ იქნას ფულის გათეთრების პრედიკატად, ან უშუალოდ ფულის გათეთრების დანაშაულზე.

ქცევიდან და ბუნებიდან მომდინარე რისკის შესაფასებლად:

- ჩნდება ეჭვი კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის (საიდენტიფიკაციო მონაცემების/რეკვიზიტების) უტყუარობასა და სისწორესთან დაკავშირებით;
- არსებობს საფუძველი, რომ პირი შესაძლოა თავს არიდებდეს საქმიანი ურთიერთობის დამყარებას. მაგალითად, იგი ახორციელებს ერთჯერად ოპერაციებს მაშინ, როცა საქმიანი ურთიერთობის დამყარება უფრო გამართლებულია ეკონომიკური საფუძვლების გათვალისწინებით;
- ფულადი სახსრების წყაროს, ქონების წარმომავლობის მარტივად დასაბუთება შეუძლებელია ან სირთულესთანაა დაკავშირებული. მაგალითად, აღნიშნული არ წარმოადგენს შემოსავალს დაკავებული თანამდებობიდან, მემკვიდრეობიდან, ინვესტიციებიდან და სხვ.;
- კლიენტი გაუმართლებლად ითხოვს ანონიმურობის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს. მაგალითად, კლიენტი თავს იკავებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის წარმოდგენისგან, ან ცდილობს შენიღბოს თავისი საქმიანობის რეალური ბუნება;
- არარეზიდენტი კლიენტის საჭიროებებს სხვა ადგილი უფრო შეესაბამება და კლიენტს არ გააჩნია საფუძვლიანი არგუმენტი, თუ

რატომ სარგებლობს მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მომსახურებით;

- კლიენტის მფლობელობისა და მმართველობის სტრუქტურა არ არის გამჭვირვალე და მარტივად გასაგები.
- საქმიანი ურთიერთობის საწყის ეტაპზევე სახეზეა საეჭვოობის სხვა ინდიკატორი.

პროდუქტის, სერვისის ან გარიგების მოცულობასთან ან ღირებულებასთან დაკავშირებული რელევანტური რისკ-ფაქტორები მოიცავს:

- პროდუქტის „ქეშ-ინტენსიური'' ხასიათი;
- პროდუქტი არ ითვალისწინებს არანაირ შეზღუდვას მოცულობითი ტრანზაქციების განხორციელებასთან მიმართებით.

რისკების შეფასებისას, მონიტორინგის განმახორციელებელ პირს შეუძლია სხვადასხვა ფაქტორებს მიანიჭოს სხვადასხვა წონები (კოეფიციენტები) მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ შეფასებას.

რისკ-ფაქტორების შეწონვისას, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ:

- შეწონვა არ განხორციელდეს დაუსაბუთებლად, მხოლოდ ერთი ფაქტორის გავლენით (გარდა ამ სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული შემთხვევებისა);
- მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ეკონომიკურმა ან მოგების მიღების მიზნებმა გავლენა არ იქონიოს რისკის შეფასებაზე;
- შეწონვამ არ გამოიწვიოს სიტუაცია, როდესაც შეუძლებელი იქნება საქმიანი ურთიერთობისთვის/ოპერაციისთვის მაღალი რისკის მინიჭება;
- შეწონვამ არ გამოიწვიოს საქართველოს კანონმდებლობით, ქვეყნის რისკის შეფასების დოკუმენტით, ამ სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა; და
- იმისთვის, რომ რისკის ნაკლები დონე არ მიენიჭოს კლიენტს, რომელიც საჭიროებს მომატებულ ყურადღებას, მონიტორინგის განამხორციელებელ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, აუცილებლობის შემთხვევაში, გადაძლიოს რისკის სტანდარტულად/ავტომატურად მინიჭებული დონე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, 30 ოქტომბერი 2019 წ.
2. საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში, 2019 წელი.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №82/04 2019 წლის 7 მაისი ქ. თბილისი. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №79/04 2021 წლის 18 ივნისი ქ. თბილისი. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე.
5. https://nbg.gov.ge
6. https://fms.gov.ge

აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში

Rules for classification of assets and formation of reserves for possible losses in microfinance organizations

ვალერი მუშკუდიანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
Valeri Mushkudiani – PhD Georgian Technical University
vmushkudiani@yahoo.com

აბსტრაქტი: სესხის შესაძლო დანაკარგების ადექვატური რეზერვირება წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს კომპანიის ეფექტურად მართვისა და არსებული თუ პოტენციური საკრედიტო რისკების მაქსიმალურად გათვალისწინებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს მისოს რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენას, მისი მიზანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ თავისი აქტივების კლასიფიკაციისა და რეზერვთან დაკავშირებული ვალდებულებებისათვის უზრუნველყოს შესაბამისი მოთხოვნის ჩამოყალიბება და შესრულება, რის შედეგადაც უფრო ნათელი ხდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეალური ფინანსური მდგომარეობა, როგორც კრედიტორების, მენეჯმენტის, პოტენციური ინვესტორებისა და დამფუძნებლებისთვის, ასევე ეროვნული ბანკისათვის და სხვა დაინტერესებული მხარისათვის. აღნიშნული ინფორმაცია ასახული უნდა იყოს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში. მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ უნდა შექმნას ადექვატური რეზერვი, დროში შესაძლო დანაკარგების დასაფარად.

საზედამხედველო მიზნებიდან გამომდინარე, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს აქტივების კლასიფიკაცია რისკის გათვალისწინებით და შექმნას ადეკვატური რეზერვი შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, საკრედიტო რისკის მართვის მიზნით, ჩამოაყალიბოს და იქონიოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, ეროვნულ ბანკს ყოველთვიურად წარუდგინოს ინფორმაცია, ამ წესით გათვალისწინებული აქტივების კლასიფიკაციისა და შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შესახებ, ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული ანგარიშგების ფორმატით.

საკვანძო სიტყვები: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რისკი, აქტივების კლასიფიკაცია, შესაძლო დანაკარგების რეზერვები.

Summary: Adequate repayment of possible loan losses is an essential component for effectively managing a company and maximizing existing potential credit risks. This will help MFO determine its true financial position, with the aim of ensuring that the microfinance organization classifies and meets the relevant requirements for its asset classification and contingent liabilities. As a result, the real financial situation of the microfinance organization becomes clearer, both for the creditors, the management, the potential investors and the founders, as well as for the National Bank and other interested parties. This information should be reflected in the financial statements of the organization. The microfinance organization should create an adequate reserve to cover possible losses over time.

Keywords: microfinance organization, risk, asset classification, reserves for possible losses.

ძირითადი ტექსტი: მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ თავისი აქტივების კლასიფიკაციისა და რეზერვთან დაკავშირებული ვალდებულებებისათვის უნდა უზრუნველყოს შიდა პროცედურებისა და საანგარიშგებო მოთხოვნების ჩამოყალიბება და შესრულება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ზუსტი, სრული და მიმდინარე ინფორმაცია, მათ შორის აქტივების ხარისხის შესახებ ასახული უნდა იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც ასევე ყოველკვარტალურად უნდა წარედგინოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველად. ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია შექმნას აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი.

კატეგორიების მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და კომპონენტებს. აქტივების კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს მას შემდეგ, რაც მხედველობაში იქნება მიღებული ყველა გარემოება და შესაძლებლობა, რომლებიც ზედმიწევნითი ანალიზის შედეგადაა დადგენილი და ზეგავლენას ახდენს აქტივების ხარისხზე. მსესხებლის და მსესხებელთა ჯგუფის ყველა მიმდინარე მოთხოვნას უნდა მიენიჭოს ერთი

კატეგორია, გამონაკლისი შემთხვევები უნდა იყოს არგუმენტირებული და სრულყოფილად დოკუმენტირებული. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია ყოველთვიურად განახორციელოს ადეკვატური რეზერვების შექმნა, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი იქმნება ეროვნულ ვალუტაში ნებისმიერი ვალუტით ფორმირებული აქტივების დასაფარავად. დარეზერვებაზე გაწეული ყველა ახალი რეზერვი უნდა გატარდეს ხარჯებში და აისახოს მიმდინარე წლის მოგება-ზარალის უწყისში.

უიმედოდ კლასიფიცირებული აქტივი ჩამოწერილი უნდა იქნეს ბალანსიდან, შესაძლო დანაკარგების რეზერვის დადებეტებით და შესაბამისი აქტივის ანგარიშის დაკრედიტებით. კონკრეტულ შემთხვევებში ეროვნულ ბაკს უფლება აქვს მთლიანი პორტფელის ან მისი ნაწილის რისკების გათვალისწინებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მოსთხოვოს საერთო რეზერვის შექმნა. ეროვნული ბანკის მიერ ნებისმიერი აქტივის კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შორის განსხვავებები, შეიძლება მათი განხილვის საგნად იქცეს, მაგრამ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საბოლოოა. ეროვნულმა ბანკმა შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერი აქტივის კლასიფიკაციის ცვლილება და მასთან ერთად შესაძლო დანაკარგების რეზერვის დამატებით შექმნა, თუ ეს გამართლებულია ისეთი ფაქტებითა და გარემოებებით, როგორიცაა:

ა) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პორტფელის საერთო მდგომარეობის გაუარესება; ბ) ცვლილება სესხის გაცემის პროცედურებში ან რისკის მართვის ადეკვატური პოლიტიკის უქონლობა;

გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მენეჯმენტის უმოქმედობა (არასაკმარისი მოქმედება) იმისათვის, რომ ამოიღოს პრობლემური სესხები;

დ) მოვალის ან თვით მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა ნეგატიური გარემოებები, რომლებიც გამოვლინდა ეროვნული ბანკის შემოწმებების შედეგად.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია თითოეულ მსესხებელზე აწარმოოს საკრედიტო საქმე, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული ბანკის შემმოწმებლებისათვის და უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ დოკუმენტებს/ინფორმაციას: განაცხადს სესხის მიღების თაობაზე, თანხმობას პერსონალური მონაცემების გადამოწმებაზე შესაბამის ორგანოებში, გირავნობა/იპოთეკის შესახებ

იურიდიულ დოკუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ხელშეკრულება და სესხის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება ელექტრონული ან წერილობითი ფორმით, სესხის მონიტორინგის დოკუმენტი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია აწაარმოოს რესტრუქტურიზირებული და რეფინანსირებული სესხების შესახებ დეტალური რეესტრი.

აქტივების კლასიფიკაცია კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

აქტივის კლასიფიკაციის დასახელება	**რეზერვის განაკვეთი**
სტანდარტული	0%
საყურადღებო	10%
არასტანდარტული	30%
საეჭვო	50%
უიმედო	100%

უზრუნველყოფის მიხედვით სესხები იყოფა სამ კატეგორიად: მყარად, არამყარად უზრუნველყოფილ სესხებად და საბლანკოდ.

1. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი მყარად უზრუნველყოფილად ჩაითვლება, თუ სესხის მოცულობის (მიმდინარე ძირი თანხის) თანაფარდობა (LTV) უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებასთან ნაკლებია ან ტოლია 75%-ის.
2. ოქროთი და ლიკვიდური უზრუნველყოფით უზრუნველყოფილი სესხი მყარად უზრუნველყოფილად ჩაითვლება, თუ სესხის მოცულობის თანაფარდობა (LTV) უზრუნველყოფის საგნის ღირებულებასთან ნაკლებია ან ტოლია 90%-ის.
3. სხვა მოძრავი ქონებით (მაგ. ავტომობილით) უზრუნველყოფილი სესხი მყარად უზრუნველყოფილად ჩაითვლება, თუ სესხის მოცულობის თანაფარდობა (LTV) უზრუნველყოფის საგნის ღირებულებასთან ნაკლებია ან ტოლია 40%-ზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ სესხზე წარმოდგენილი უზრუნველყოფა დაკავშირებულია 1-ზე მეტ სესხთან, მაშინ LTV კოეფიციენტი გამოითვლება ამ სესხების მოცულობათა (მიმდინარე ძირი თანხების) ჯამის თანაფარდობით უზრუნველყოფილი საგნის საბაზრო ღირებულებასთან და ყველა სესხს ენიჭება ჯამური შედეგით მიღებული კატეგორია.
5. იმ შემთხვევაში თუ სესხზე წარმოდგენილია რამოდენიმე უზრუნველყოფა, მაშინ LTV კოეფიციენტის დათვლისას გამოიყენება ამ აქტივთა საბაზრო ღირებულებათა ჯამი, ხოლო კატეგორიის მინიჭება ხდება იმ აქტივის შინაარსის მიხედვით, რომლის ღირებულებაც მეტია დანარჩენებზე.

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	მყარად უზრუნველყოფილი	არამყარად უზრუნველყოფილი	საბლანკო
0-30	0%	0%	0%
30–60	10%	10%	30%
60–90	10%	30%	50%
90–120	30%	30%	50%
120-150	30%	50%	100%
150-180	50%	50%	100%
180-ზე მეტი	100%	100%	100%

აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის კატეგორიის ცვლილება და ვადაგადაცილებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი/ჯარიმის ასახვის წესი:

ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების რეკლასიფიკაცია ნაკლებად ნეგატიურ/სტანდარტულ კატეგორიაში, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხი სრულად და უპირობოდ აკმაყოფილებს შესაბამისი კატეგორიის პირობებს და ამ პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად განხორციელებულია ბოლო 6 თანმიმდევრული, დემონსტრაციული გადახდა. სეზონური შემოსავლების არსებობის შემთხვევაში

რეკლასიფიკაცია ნაკლებად ნეგატიურ/სტანდარტულ კატეგორიაში დასაშვებია ერთი ახალი ციკლის/სეზონის მონაცემების გათვალისწინებით. ამასთან, ახალი ციკლის/სეზონის შედეგად სახეზე უნდა იყოს ვალდებულებების რეალური დაფარვები.

ბალანსზე რიცხული 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე ნებისმიერი ტიპის პროცენტი, ჯარიმა, საურავი თუ სხვა მსგავსი მოთხოვნა ჩამოიწერება ბალანსიდან და ხდება მისი გადატანა გარესაბალანსო უწყისის შესაბამის ანგარიშზე.

უმოქმედოდ კლასიფიცირებულ აქტივზე წყდება პროცენტის, ჯარიმის და საურავის დარიცხვა ბალანსზე და მათი დარიცხვა გრძელდება გარესაბალანსო უწყისის შესაბამის ანგარიშზე. რესტრუქტურიზებული სესხი, როგორც წესი, კლასიფიცირდება ნეგატიურად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სესხი სრულად უზრუნველყოფილია ლიკვიდური აქტივით.

არასასესხო აქტივების კლასიფიკაცია და დარეზერვება, მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა და გამოყენება:

დასაკუთრებული უძრავი/მოძრავი ქონების აღრიცხვა ხდება დასაკუთრების თარიღისათვის არსებული აქტივის ღირებულებით, ან მისი საბაზრო ფასით, თუ ეს უკანასკნელი ნაკლებია აღრიცხული აქტივის ღირებულებაზე. უძრავ/მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება შემფასებელის მიერ.

უძრავი/მოძრავი ქონების დასაკუთრებისთანავე ხდება ამ ქონების კლასიფიკაცია როგორც არასტანდარტული, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საბალანსო ღირებულება აღემატება დასაკუთრებული ქონების საბაზრო ღირებულებას, სხვაობა კლასიფიცირდება როგორც უიმედო.

უძრავი ქონების დასაკუთრებიდან გასხვისების ვადა წარმოადგენს ორ წელს. დასაკუთრებული უძრავი ქონების ბალანსზე აღრიცხვიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ხდება მისი კლასიფიკაცია როგორც საეჭვო და იქმნება შესაბამისი რეზერვი, ხოლო ორი წლის გასვლის შემდეგ ხდება მისი ჩამოწერა ბალანსიდან, რის შემდეგაც მათი აღრიცხვა იწარმოებს შესაბამის გარესაბალანსო ანგარიშებზე.

მოძრავი ქონების დასაკუთრებიდან მისი გასხვისების ვადა შეადგენს 180 დღეს. დასაკუთრებული მოძრავი ქონების ბალანსზე აღრიცხვიდან 90 დღის შემდეგ ხდება მისი კლასიფიკაცია როგორც საეჭვო და ხდება შესაბამისი

რეზერვის შექმნა, ხოლო 180 დღის გასვლის შემდეგ ჩამოიწერება ბალანსიდან.

იმ ტიპის უძრავი ქონება, რომელიც აღარ გამოიყენება ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობისთვის, უნდა მოხდეს მათი რეალიზაცია, მათი ამ დანიშნულებით არგამოყენების დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზაცია ახდენს აქტივის კლასიფიკაციას როგორც საეჭვო და იქმნება შესაბამისი რეზერვი, ხოლო ორი წლის შემდეგ ხდება მისი აღიარება უიმედოდ და ჩამოიწერება ბალანსიდან, რის შემდეგაც მათი აღრიცხვა წარმოებს შესაბამის გარესაბალანსო ანგარიშებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ". 18 ივლისი 2006 წლი
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №142/04 2018 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე.
3. https://nbg.gov.ge
4. https://bm.ge

საბანკო მომსახურეობების ეკონომიკური პრობლემატიკა
Economic Problems of Banking Services

თამარ მოხევიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
tamuna.mokheviShvili1@gmail.com
გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
tsaavagiorgi11@gtu.ge

ანოტაცია: განხორციელებულია ტერმინი „ბანკის“ განსაზღვრასთან მიმართებაში ცნობილი უცხოელი და ქართველი მეცნიერების მოსაზრებების მიმოხილვა და აღნიშნულია, რომ იგი შეიძლება განმარტებული იქნას როგორც - ფინანსური შუამავლები, ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურეობების მწარმოებლები და მწარმოებელი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მულტიპლიკატორი, მომხმარებლებსა და დანაზოგებს შორის რაციონირების უზრუნველმყოფელი ფირმა, სპეციფიკური პროდუქტის - ფულის მწარმოებელი საწარმო და ა.შ.; წარმოდგენილი მოდგომების რეზიუმირებით და ავტორისეული მოსაზრების საფუძველზე ბანკი შეიძლება განსაზღვრული იქნას - როგორც ფინანსური შუამავალი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობებს ფულადი სახსრების გადაადგილებასთან მიმართებაში - დამზოგავებიდან ინვესტორებისაკენ გარკვეული საზღაურის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების მიზნით. ბანკი მათ მიერ განიხილება, ერთის მხრივ, როგორც საწარმო, რომელსაც გააჩნია თავისი წარმოება და ახორციელებს პროდუქციის რეალიზებას, ხოლო მეორეს მხრივ, გამოყოფილია ნიშან-თვისებები, რომლებიც განასხვავებენ ბანკს სხვა ეკონომიკური ინსტიტუტებისაგან და ამ თვალსაზრისით იგი უპირველეს ყოვლისა სპეციფიკური პროდუქტის მწარმოებელ საწარმოს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: საბანკო კრედიტი, ოპერატიული საქმიანობა, ეფექტიანობა.

Annotation: A review of well-known foreign and Georgian scientists is presented regarding the term "bank", which can be defined as - financial intermediaries, manufacturers and producers of financial products and services, the multiplier of the country's economic growth, rationing among consumers and

savings, a firm, a specific product - a profitable enterprise etc.; Summarizing the presented approaches and based on the opinion of the author, the bank can be defined as a financial intermediary that, on a certain basis, provides cash flow services for the development of the economy from savings to investors. They consider the bank, on the one hand, as an enterprise that has its own production and sale of products, and on the other hand, highlights the features that distinguish the bank from other economic institutions, and in this sense it is primarily a product enterprise.

Key Words: Bank Advance, Operating Activity, Effectivenss.

ძირითადი ტექსტი: კომერციული ბანკების საქმიანობა, როგორც ფინანსური ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი სახეობა, გახდა ფუძემდებლური თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ბანკი, როგორც ფინანსური ბაზრის ინსტიტუტი, რომელიც კლიენტების მომსახურეობისა და ოპერაციების გარკვეულ ნაკრებს ახორციელებს, ჯერ კიდევ ანტიკურ დროშიც არსებობდა. თუმცა საქართველოში და უცხოელი ეკონომისტების მხრიდან დღევანდელი დღისათვის ტერმინი „ბანკის“ განსაზღვრასთან, მისი ფუნქციონალური როლისა და არსებითი თავისებურებების მიმართებაში მნიშვნელოვანი განსხვავებები გააჩნიათ.

ამდენად განხორციელებულია ტერმინი „ბანკის“ განსაზღვრასთან მიმართებაში ცნობილი უცხოელი და ქართველი მეცნიერების მიერ დღემდე გამოქვეყნებული მოსაზრებების მიმოხილვა როგორც - ფინანსური შუამავლები, ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურეობების მწარმოებლები და მწარმოებელი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მულტიპლიკატორი, მომხმარებლებსა და დანაზოგებს შორის რაციონირების უზრუნველმყოფელი ფირმა, სპეციფიკური პროდუქტის - ფულის მწარმოებელი საწარმო და ა.შ.

ასე, მაგალითად, G.G. Dlay, Gj.W. Benston, C.W. Smith და რიგი სხვა ავტორები **ბანკს განსაზღავენ ფინანსური შუამავლის სახით,** ანუ **ბანკი განიხილება როგორც განსაკუთრებულ სფეროში - ფინანსებში მომსახურეობის მიმწოდებელი ორგანიზაცია** [27, 28, 29]. მისი ამოცანა მდგომარეობს ფულადი სახსრების ტრანსფორმაციაში დამზოგავებიდან ინვესტორებისაკენ გარკვეული საფასურის საფუძველზე.

J.H. Wood, F.R. Edwards **ბანკს განიხილავს როგორც ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურეობების მწარმოებელს** [30, 31]. მათი კონცეფციის თანახმად, **ბანკი ასრულებს ეკონომიკური აგენტის - ფინანსური ბაზრის ფუნქციონერის ფუნქციას.**

D.R. Hodgman და S.R. King განსაზღვრავენ **ბანკს როგორც ეკონომიკის ზრდის მულტიპლიკატორს** [33, 34, 35], მისთვის მასტიმულირებელი განვითარების როლის დაკისრებით.

D.W. Diampnd, C. James, M. Berlin განსაზღვრავენ **ბანკს როგორც შუამავალს, რომელიც კაპიტალის მფლობელის დროის გამონთავისუფლებას და მისი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავისუფალი ფულადი სახსრების ეფექტურ გამოყენებას** და ეკონომიკის განვითარებისათვის ყველაზე უფრო ეფექტური და კეთილსაიმედო მსესხებლების შერჩევის განმახორციელებელ საზოგადოებრივ ინფორმაციულ პროცესორსა და ინფორმატორს უზრუნველყოფს [27, 28, 35].

R.Brealey, S. Myers, E.F. Fama, M.N. Miller - ის მოსაზრებების მიხედვით, **ბანკი - არის მომხმარებელსა და დანაზოგს შორის რაციონირების უზრუნველმყოფელი ფირმა** [36]. მათ მიერ **ბანკი განიხილება ეკონომიკური აგენტის სახით, რომელიც თავისი კლიენტების მიმდინარე და სამომავლო მოხმარების თანაზომიერების ფინანსურ მომსახურეობას ახორციელებს, და სწორედ ამით მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს.**

საბანკო ფირმის თეორიის უცხოური კონცეფციების მიმოხილვა კიდევ ერთხელ ადასტურებს - ბანკის სირთულეს როგორც ფინანსურ-ეკონომიკური სისტემის, მისი საქმიანობის მრავალმიზნობრივ ხასიათს. **წარმოდგენილი მიდგომების რეზიუმირებით, ბანკი შეიძლება განსაზღვრული იქნას - როგორც ფინანსური შუამავალი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობებს ფულადი სახსრების გადაადგილებასთან მიმართებაში - დამზოგავებიდან ინვესტორებისაკენ გარკვეული საზღაურის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების მიზნით.**

სამამულო ეკონომიკურ მეცნიერებაშიც ასევე ბანკის არსისა და დანიშნულების განსაზღვრისადმი ერთიანი მიდგომა ვერ ჩამოყალიბდა. საკმაოდ წონადს და საინტერესოს წარმოადგენს ო.ი. ლავრუშინის ხელმძღვანელობის ქვეშ საავტორო კოლექტივის პოზიცია. **ბანკი მათ მიერ განიხილება, ერთის მხრივ, როგორც საწარმო, რომელსაც გააჩნია თავისი წარმოება და ახორციელებს პროდუქციის რეალიზებას, ხოლო მეორეს**

მხრივ, გამოყოფილია ნიშან-თვისებები, რომლებიც განასხვავებენ ბანკს სხვა ეკონომიკური ინსტიტუტებისაგან და ამ თვალსაზრისით იგი უპირველეს ყოვლისა სპეციფიკური პროდუქტის მწარმოებელ საწარმოს წარმოადგენს [37]. მიახლოვებით იგივე მოსაზრება გააჩნიათ ქართველ ავტორებს ი. კოვზანაძეს, გ. ცაავას, რ. ბურდიაშვილს, ვ. მოსიაშვილს, მ. ჭელიძეს {3, 7, 9, 18 }.

ბანკის არსზე თვალსაზრისების მთლიანი მრავალფეროვნება, გ.გ. კორობოვას ხელმძღვანელობის ქვეშ ავტორთა კოლექტივის მოსაზრების მიხედვით, დაყოფილია ორ უმნიშვნელოვანეს ნაწილებად: **ბანკი-დაწესებულება და ბანკი-საწარმო.** იმაზე დამოკიდებულებაში თუ როგორ აღიქვამენ ბანკის არსს მისი თანამშრომლები, მნიშვნელოვანი ზომიერებით არის დამოკიდებული ბანკის პოლიტიკა, მისი ურთიერთდამოკიდებულება კლენტებთან, მათ მიერ განხორციელებადი მომსახურეობების ხარისხი [38]. **თუ ბანკი - დაწესებულებაა, მაშინ ბანკის თანამშრომელი ჩინოვნიკია, ხოლო კლიენტი - მთხოვნელი,** და მათ შორის ყალიბდება ურთიერთობის ადმინისტრაციული ტიპი (ადმინისცატიულ-კომანდური ეკონომიკა). **თუ კი ბანკი - საწარმოა, მაშინ ბანკის თანამშრომელი - მწარმოებელია, გამყიდველია, ხოლო კლიენტი - მყიდველი** - აღნიშნული ურთიერთობების პარტნიორული ტიპია, დამახასიათებელი საბაზრო მეურნეობისათვის.

დიდ ენციკლოპედიურ ლექსიკონში **ბანკი - განმარტებულია როგორც ფინანსური საწარმო, რომელიც მოიზიდავს დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს (ანაბრებს), მიაწვდის მათ დროებით სარგებლობაში კრედიტების** (ნასესხობების, სესხების) სახით, შუამავლის როლს ახორციელებს ურთიერთ გადახდებში და ანგარიშსწორებებში საწარმოებს, დაწესებულებებს ან ცალკეულ პირებს შორის, არეგულირებს ქვეყანაში ფულად მიმოქცევას, ახალი ფულის გამოშვევის (ემისიის) ჩათვლით [40].

ვ.ი. კოლესნიკოვის და ლ.პ. კროლივეცკაიას მიდგომის შესაბამისად, **ბანკი - არის ორგანიზაცია, რომელიც ფულადი სახსრების მოზიდვისათვის და მათი თავისი სახელთ დაბრუნებადობის, ფასიანობის და ვადიანობის პირობებზე განთავსებისათვის არის შექმნილი.** ა.მ. ტავასიევი კი **განსზღვრავს ბანკს როგორც უნივერსალური ხასიათის ფინანსურ ინსტიტუტს.**

ამრიგად, **შეთავაზებულია**, რომ **თანამედროვე ბანკი (ავტორისეული ჩასწორებით) - არის ყველა სახეობის, ყველა ვალუტაში, ყველა დარგის**

კლიენტების საქმიანობის მომსახურეობასთან და ფინანსურ ოპერაციების განმხორციელებასთან მოგების მიღების მიზნით დაკავშირებული უნივერსალური საკრედიტო ორგანიზაცია, ხოლო ბანკის როგორც ორგანიზაციის სპეციფიკა - მათ მიერ განხორციელებადი მომსახურეობებით განისაზღვრება.

უცხოეთისა და სამამულო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მიდგომები **ცნება „მომსახურება"-ს შინაარსთან** მიმართებაში. ასე, მაგალითად, პრედენინი დ.ბ. განსაზღვრავს მომსახურეობას როგორც შრომით მიზანშეწონილ საქმიანობას, რომლის შედეგს ადამიანის ნებისმიერი სახის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სასარგებლო ეფექტი წარმოადგენს, ხოლო ხილიმოვა ტ. მოსაზრების მიხედვით, მომსახურეობა - არის სახეობის ან საქონელის მდგომარეობის ცვლილება, რომელიც რომელიღაც ეკონომიკურ ერთეულს მიეკუთვნება და მეორე ეკონომიკური ერთეულის საქმიანობის შედეგად პირველის წინასწარი შეთანხმებით ხორციელდება [42].

ფ. კოტლერი თვლის, რომ ნებისმიერი ღონისძიება ან სარგებელი, რომლებიც ერთმა მხარემ შეიძლება შეთავაზოს მეორეს და რომლებიც ძირითადად შეუმჩნეველია და რაიმეს დაუფლებისაკენ არ მივყავართ [43].

ამრიგად, **„მომსახურეობა" - არის საქმიანობა, რომლის შედეგს რაიმე სახის სარგებლის მიღება ან ვისიმე მოთხოვნების დაკმაყოფილება წარმოადგენს.** მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ დროში ეკონომისტების მიერ არ არის გამომუშავებული ერთიანი მოსაზრება კლიენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების ყველაზე მეტი ხარისხით გამომხატველი და გამოყენებადი კატეგორიები, როგორებიცაა: **ოპერაცია, მომსახურეობა ან პროდუქტი.**

საქართველოს ეკონმიკურ ლიტერატურაში შეიძლება გამოიყოს **ოთხი ძირითადი მიდგომა** მოცემული ცნებების განსაზღვრისადმი მიმართებაში საბანკო სფეროში:

ულადი მიდგომა (ლავრუშინი ო.ი., გოლოვინი იუ.ვ.) [37, 44].

აღნიშნული მიდგომის საფუძველს წარმოადგენს ფულადი შემადგენელი როგორც ბანკის საქმიანობის საკვანძო მახასიათებელი: ფული - არის რესურსი, რომელიც მზადდება ბანკების მიერ ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ანუ ბანკის პროდუქტი.

2. ლინგვისტიკური (მარკეტინგული) მიდგომა (უტკინი ე.ა., გურიანოვი ც.ა., მაკსიუტოვი იუ.გ., იბანოვი ა.ნ., პომანოვი ა.ბ., მარკობა ვ.დ.) [45, 46, 47].

3. სამართლებრივი მიდგომა, აღნიშნული მიდგომის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია კანონმდებლობაში და იურისტების კომენტარიებში (ბრატკო ა.მ., ტავასიევი ა.მ.) [48, 49].

აღნიშნულ სიტუაციას მივყავართ იქამდე, რომ ბანკის საქმიანობის ლიცენზირებისას ცენტრალური ბანკი მიუთითებს ლიცენზიაში საბანკო ოპერაციების ჩამონათვალს, ხოლო ბანკები საქმიანობის განხორციელებისას რეკლამირებენ და განათავსებენ საბანკო მომსახურეობებს.

4. კლიენტურული მიდგომა (კორობოვი იუ.ი., მასლენჩენკოვი იუ.ს., მირეცკი ა.პ.) [50, 51].

მოცემული მიდგომის ჩარჩოებში ძირითადი აქცენტი კეთდება კლიენტზე. საბანკო ოპერაცია განისაზღვრება როგორც ბანკის თანამშრომლების მოწესრიგებული ერთობლიობა კლიენტების მითხოვნების დაკმაყოფილებასთან მიმართებაში, ანუ მათი მომსახურებასთან მიმართებაში. ამასთან საბანკო მომსახურეობა - არის კლიენტების მომსახურების შედეგი, ანუ საბანკო ოპერაციების შესრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე ცნებების „საბანკო პროდუქტი“, „საბანკო მომსახურეობა“ და „საბანკო ოპერაცია“ გაიგივების შესახებ. მაგრამ უნდა იქნას განსხვავებული მათი ძირითადი მახასიათებლები (ცხრილი 1.1.).

ცხრილი 1.1. შედარებითი მახასიათებელი ცნებების „საბანკო პროდუქტი“, „საბანკო მომსახურეობა“ და „საბანკო ოპერაცია“.

„საბანკო ოპერაცია“	„საბანკო მომსახურეობა“	„საბანკო პროდუქტი“
1	2	3
საბანკო ფუნქციების პრაქტიკაზე გამოვლინება. ხორციელდება ფულად ფორმაში, გამოხატავენ ფულად ნაკადებს კვლავწა-რმოების სხვადასხვა ფაზებში.	ბანკის ერთი ან რამდენიმე ოპერაცია, რომლებიც აკმაყოფილებენ კლენტის მოთხოვნილებებს და საბანკო	ძირითადი საბანკო პროდუქტები - საბანკო კრედიტები [44].

ხორციელდება სისტემატიურად განხორ-ციელებადი გარიგებები,	ოპერაციების ჩატარებას კლიენტის დავ-ალებით უკანასკნელის სასარგებლოდ გარკვეული ანაზღაურებით [45].	
განხორციელებადი ბანკე-ბის მიერ სამართალშესაძლ-ებლობის კანონმდებლო-ბით დამკვიდრებული ძალისხმევით, რომლის ობიექტად გამოდიან ფული, ფასიანი ქაღალ-დები, ძვირფასი ქვები.	ბანკის ქმედებები და შესაძლებლობები ოპტიმიზაციისათვ ის და გარიგების დადების პროცესის თანხლებისათვის [54].	საბანკო პროდუქტი - ბანკის ურთიერთდაკავშირებუ ლი მომსახურეობები და ოპერაციები. მას აქვს რამდენიმე პარამეტრი: მიზანი, თანხა, შემოსავლიანობა, ტარიფი, მოქმედების ვადა, საიმედოობა, საკანონმ-დებლო ბაზასთან შესაბამი-სობა, გადასახადებით დაბეგვრადობა 44[].
ბანკის ურთიერთდაკავში-რებული ქმედებების ერთობლიობა ერთიანი ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტასთან მიმართებაში [52].	საბანკო პროდუქტი (მომსა-ხურეობა), მრავალფერო-ვანი ქმედებები ფინასურ ბაზარზე, რომლებიც ხორციელდება კომერციუ-ლი ბანკების მიერ თავიანთი კლიენტების დავალებითა და ინტერესებში, ასევე საკუთარი	საბანკო მომსახურეობებისა და ოპერაციების ურთიერ-თდაკავშირებული კომპლე-ქსი, რომელიც მიმართულია კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე საბანკო საქმიანობის ცალკეული სახეობებით [38].

	საჭიროებებისათვის [38].	
საბაზრო ფულადი ურთიე-რთობების მთლიანი ნაკრები [46].	ოპერაციების განხორციე-ლება კლიენტის დავალე-ბით ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გარკვეული ანაზღაურებით [55].	საბანკო პროდუქციის ქვეშ გაითვალისწინება ბანკის მიერ განხორციელებადი ნებისმიერი მომსახურება ან ოპერაცია [38].
ბანკისა და კლიენტის ურთიერთდაკავშირებუ ლი ქმედებების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ბანკის სახელით, ითვალის-წინებენ სახსრების გადაად-გილებას და მიმართულია კონკრეტული ეკონომიკ. ამოცანის გადაწყვეტაზე.	კლიენტებისათვის მიწოდებადი საბანკო საქმიანობის ტექნიკური, ტექნოლოგიური, ფინანსური, ინტელექტუალურ ი და პროფესიონალური სახეობები, რომლებიც თანმხლებია და ოპტიმიზირებადებ ი.	საბანკო პროდუქტის ქვეშ გაითვალისწინება საკრედიტო ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მომსახურეობა ან ოპერაცია, მისი ქმედება, სამეწარმეო აქცია, რომელიც მიმართულია ბიზნესის გაუმჯობესებაზე.
ქმედებები, განხორციელე-ბადი დასახული მიზნების მიღწევისათვის [56].	პროფესიონალური და ინტელექტუალურ ი პროდუქტი, შექმნილი ბაზრის მოთხოვნების მარკეტინგული კვლევების საფუძველზე მისი ბაზარზე რეალიზაციისა და	კონკრეტული ხერხი, რომ-ლითაც ბანკი მომსახურე-ობას უწევს მასში საჭიროების მქონე კლიენტს, ანუ მოწესრიგე-ბული, შინაგანად შეთანხმებული და, როგორც წესი, დოკუმენტა-ლურად გაფორმებული ურთიერთდაკავშირებუ

	მოგების მიღების მიზნით [49].	ლი კომპლექსი, როგორებიცაა: ორგანიზაციული, ტექნიკურ-ტექნოლოგი-ური, ინფორმაციული, ფინანსური, იურიდიული და სხვა ქმედებები (პროცედურები), რომლებიც შეადგენენ - ბანკის თანამშრომლების საქმიანობისა და კლიენტის მომსახურების დასრულე-ბულ ტექნოლოგიას, ურთიერთქმედების ერთიან მთლიან რეგლამენტს.
ოპერაციები ფულადი სახსრების მოზიდვასთან და მათ განთავსებასთან მიმართებაში [38].	მომსახურეობები - ანაბრების მოზიდვა და მათი შემდგომში სესხებად მიწოდება [46].	სამომხმარებლო ფასეულო-ბა, ანუ სპეციფიკური თვისებების ნაკრები, რომელიც აუცილებელია კლიენტისათვის [48].

დაზუსტებულია, რომ მეცნიერები არ ახორციელებენ მკაფიო დაყოფას ტერმინები: „საბანკო ოპერაციები“, „საბანკო მომსახურეობა“ და „საბანკო პროდუქტი“ შორის და გამოყოფენ საბანკო პროდუქტების (მომსახურეობების) შემდეგ თავისებურებებს: აბსტრაქტულობა, ხელშეუხებლობა, ინტელექტუალურობა, მატერიალური სუბსტანციის არარსებობა; სამომხმარებლო ფასეულობების, სასარგებლო ეფექტის, სპეციფიკური თვისებების არსებობა; საბანკო მომსახურეობებს განხორციელება ფულადი სახსრების გამოყენებასთან არის დაკავშირებული; საბანკო მომსახურეობები შეუძლებელია შენახული, დაგროვებული იქნას.

შეთავაზებულია, ჩვენი მოსაზრებით, საბანკო მომსახურეობების სპეციფიკური ნიშან-თვისებების გამომხატველ თავისებურებებს

შესაძლებელია ასევე მიკუთვნებული იქნას მარაგად და შესანახად მისი წარმოების შეუძლებლობა, რამდენადაც იგი შეიძლება წარმოებული იქნას მხოლოდ მისი მოთხოვნის მომენტში და მოცემული პროცესები შეუძლებელია ერთმანეთისაგან იქნას მოწყვეტილი. ამიტომ საბანკო მომსახურეობის წარმოებისა და მოთხოვნის დროში შეუთანახვედრადობის გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს მისი აღსრულების ცვალებადობა, დამოკიდებულია იმისაგან, სად, როდის და ვის მიერაა იგი მოწოდებული. საბანკო მომსახურეობის ცვალებადობა ზოგჯერ შეიძლება მისი მყიდველების მიერადაც იქნას გამოწვეული, რომელთაგან თითოეული ინდივიდუალური თავისებურებები საბანკო მომსახურეობის ინდივიდუალიზაციის მაღალ ხარისხს საჭიროებენ, რაც მრავალი სახეობის საბანკო მომსახურეობების მასიურ წარმოებას შეუძლებელს ხდის.

რამდენადაც ტერმინების მიმართებაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობენ, მაშინ პრაქტიკაშიც არ არის ერთიანი მიდგომა „საბანკო ოპერაციასა“ და „საბანკო მომსახურეობას“ მცნებების გაცალკევებისადმი. ა.ი. ივანოვი თავის ნაშრომში „საბანკო მომსახურეობები“: უცხოური და რუსული გამოცდილება აღნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომისტები ჩვეულებრივად საბანკო ოპერაციებს მიაკუთვნებენ მომსახურეობების მთლიან სპექტრს, იმ დროს როგორც უცხოელი მეცნიერები, თავის მხრივ, საბანკო ოპერაციებს მხოლოდ როგორც მომსახურეობების ნაირსახეობას განიხილავენ [47].

ამრიგად, ცნების მიმართებაში განხორციელებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ ტერმინის გამოყენებისას სტრატეგიულები - კლიენტებისათვის მომსახურეობის განხორციელებით, კომერციული ბანკები ახორციელებენ ოპერაციებს, რომლებიც პოულობენ ასახვას ბალანსში, ანუ მომსახურეობის განხორციელებისას ბანკს შეუძლია განახორციელოს რამდენიმე ოპერაცია, რომლებიც მომსახურეობების გარკვეულ ჯგუფში შედიან. მეორეს მხრივ, ბანკი, კლიენტებისათვის მომსახურეობის მიწოდებით, ამა თუ იმ ოპერაციას ახორციელებს. მაგალითად, საწარმოს თავისუფალი სახსრების მოზიდვით შემოსავლიან თამასუქში და მის გაფორმებასთან მიმართებაში ოპერაციის გატარებით, ბანკი საწარმოსათვის ახორციელებს მომსახურეობას - ფულადი სახსრების გარკვეული პირობებით (ვადა, გააკვეთი) მიღებასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული იძლევა უფლებას გაკეთებული იქნას დასკვნა იმის შესახებ, რომ ოპერაციები ტოლი მნიშვნელობისაა ცნება საბანკო

მომსახურეობები, საბანკო ოპერაციების გარკვეულ სახეობებს შეესაბამებიან კლიენტებისათვის მიწოდებადი მომსახურეობის გარკვეული სახეობები.

საბანკო მომსახურეობების კლასიფიკაციისადმი ასევე მრავალი მიდგომა არსებობს. ასე, მაგალითად, ტ.ა. ლობაჩევა, ა.იუ. სიულიარგინა, ს.ა. გურიანოვი ბანკის მიერ მიწოდებად მომსახურეობებს გვთავაზობენ დაიყოს შემდეგ ოთხ ტიპად [48]: სტრატეგიულები, მიმდინარეები, ოპერატიულები, სპეციალურები.

ე.ა. უტკინის მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია მოიცავს: „დეპოზიტურ, საკრედიტო, საინვესტიციო მომსახურეობებს, საანგარიშსწორებო მომსახურებას, ოპერაციებს უცხოურ ვალუტასთან, სატრასტო, დეპოზიტარულ მომსახურეობებს, ფასეულობების შენახვასთან მიმართებაში, კონსალტინგურ, საინფორმაციო, აუდიტორულ და სხვა მომსახურეობებს“ [62].

ვ.ი. დიხტიარი, მომსახურეობების საწარმოებისათვის კლასიფიცირებით, მათ დაყოფს - საბანკოებად და არასაბანკოებად [53]. საბანკოებს იგი მიაკუთვნებს ტრადიციულებს - დეპოზიტურები, საკრედიტოები, საანგარიშსწორებო ოპერაციები, ფულადი სახსრების ინკასაცია, თამასუქები, საგადახდო და საანგარიშსწორებო დოკუმენტები, ყიდვა/გაყიდვა უცხოური ვალუტის, საბანკო გარანტიების გაცემა, მოზიდვა ანაბრებში და ძვირფასი ლითონების განთავსება. არასაბანკო მომსახურეობების რიცხვში ავტორი რთავს - ფასიანი ქაღალდების განთავსებას, ხელმოწერას, შეძენას, გაყიდვას, აღრიცხვას და შენახვას, თავდებობების გაცემას მესამე პირების მაგიერ; მოთხოვნის უფლების შეძენა მესამე პირებისაგან ვალდებულებების აღსრულების მიმართებაში; ფულადი სახსრების და სხვა სახის ქონების ნდობითი მართვა ხელშეკრულების საფუძველზე; ლიზინგური ოპერაციები; საკონსულტაციო და ინფორმაციული მომსახურეობების განხორციელება; სპეციალური სათავსოების ან მათში არსებული სეიფების არენდაში გაცემა.

ა.მ. ტავასიევი ნაშრომში „კონკურენცია რუსეთის საბანკო სექტორში“ ამტკიცებს, რომ ბანკებისათვის არსებული პრეროგატივა საგადახდო სახსრების შექმნასთან, მათ გამოშვებასთან მიმოქცევაში და მიმოქცევიდან ამოღებასთან მიმართებაში რეალიზდება შემდეგი ოპერაციების შესრულებაში: „ფულის მიღება ანაბრებში (დეპოზიტებში) იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან; იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე ფულადი

კრედიტების გაცემა (ახალი საკრედიტო ფულის წარმოშობა); ფულის თამასუქების, საგადახდო და საანგარიშსწორებო დოკუმენტების ინკასაცია და ფიზიკური და იურიდიული პირების სალაროს მომსახურება; უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა“ [48]. მისი მოსაზრების მიხედვით, სწორედ აღნიშნული ოპერაციები განსაზღვრავენ ბანკის ბუნებას. ამასთან ერთად, მეცნიერი ოპერაციების რიცხვს ამატებს კიდევ საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებას, რომელიც არ ახდენს ზეგავლენას ფულადი მასის მოცულობაზე, მაგრამ ბანკების ბუნებას გაშლის. მათ იგი მიაკუთვნებს: ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების გახსნა და მომსახურება; საბანკო ანგარიშებიდან ფიზიკური და იურიდიული პირების დავალების მიხედვით ანგარიშსწორებებისა და გადახდების განხორციელება; მოზიდვა ანაბრებში და განთავსება თავისი სახელით ძვირფასი ლითონების; საბანკო გარანტიების გაცემა.

მეცნიერების შემდეგი ჯგუფი, რომელთა შორისაა ე.ვ. ეგოროვი, ა.ვ. რომანოვი, ოპერაციებს პირობითად ყოფენ - „პასიურებად (ფულადი სახსრების მოზიდვასთან მიმართებაში); აქტიურები (განთავსებასთან მიმართებაში); საკომისიო-საშუამავლოები; ნდობითი (სატრასტოები)“ [46].

ა.ნ. ივანოვის მიერ შეთავაზებული კლასიფიკაცია დაფუძნებულია ნიშან-თვისებებზე, რომლებიც მომსახურეობების მიწოდების თავისებურებების მახასიათებლებია, - მიმართულობა კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე (პირდაპირი მომსახურეობები, ირიბი მომსახურეობები, რომლებსაც დამატებითი შემოსავალი ან დანახარჯების შემცირებას იწვევენ), მომსახურეობების სეგმენტაცია კლიენტების ჯგუფების მიხედვით სირთულისაგან დამოკიდებულებაში [47].

საბანკო მომსახურეობები მიწოდებაზე საზღაურის არსებობიდან გამომდინარე დაიყოფა - ფასიანებად და უფასოებად. მაგრამ აღნიშნული ან ნიშნავს, რომ მომსახურეობების რომელიღაც გარკვეული ტიპი მთლიანად წარმოადგენს ფასიანს ან უფასოს. ბანკის საქმეა განსაზღვროს, რომელ ნაირსახეობაზეა (მაგალითად, ანგარიშსწორების ოპერაციები) აუცილებელი გადასახდელი იქნას მიღებული კლიენტისაგან, და რომელზე - გადასახადელი არ უნდა იქნას დადგენილი. გარკვეული მოსაზრებების მიხედვით ცალკეული ოპერაციები საანგარიშსწორებოების, საკრედიტოებისა და დეპოზიტურების შემადგენლობაში შეიძლება განხორციელებული იქნას უფასოდ. მომსახურეობებისადმი მიმართებაში

და, აქედან გამომდინარე, ბანკის შემოსავლებისადმი შეიძლება სხვა უფრო დეტალური ნიშან-თვისები იქნას გამოყენებული. არც ისე იშვიათად გამოყოფენ საბანკო მომსახურეობებს, რომლებსაც საბანკო შემოსავალი მოაქვთ და არმოაქვთ, ძვირადღირებულებია და იაფებია.

მატერიალური პროდუქტის მოძრაობასთან კავშირის დამოკიდებულებაში საბანკო მომსახურეობები დაიყოფიან ორ სახეობად: დაკავშირებულები მის მოძრაობასთან და სუფთები.

ამასთან ერთად, საბანკო მომსახურეობების კლასიფიკაციის შედგენისათვის და იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო ოპერაცია - არის კლიენტისათვის კონკრეტული საბანკო მომსახურეობის განხორციელების შედეგი, კანონში „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ ჩამოყალიბებულია დეტალური ჩამონათვალი საბანკო ოპერაციების მიმართებაში. კანონით განსაზღვრულია გარიგებები, რომელთა განხორციელებაზე უფლებამოსილია ბანკები.

ამრიგად, ოპერაციები და გარიგებები კლასიფიცირდებიან შემდეგნაირად:

1) გამონაკლისები, რომელთა განხორციელება მხოლოდ ბანკებს შეუძლიათ;

2) სპეციალურები, რომელთა განხორციელება ბანკებსაც და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ.

მიუხედავად კლასიფიკაციების მრავალფეროვნებისა, ყველა მათგანი გათვალისწინებულია, კომერციული ბანკების საქმიანობის სხვადასხვა სახის ანალიზისათვის, როგორებიცაა - ოპერაციების დაჯგუფება, პროდუქტიული ჩამონათვალის შედგენის, მაჩვენებლების ანალიზის, როგორც მთლიანობაში, ასევე ოპერაციების, მომსახურეობების ჯგუფების, ასევე მათგან ცალკეულების მიხედვითაც. ამასთან ერთად, მომსახურეობების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და მათი კლიენტებისათვის მიყიდვის მიზნებისათვის აღნიშნული კლასიფიკაციების გამოყენება მიზანშეუწონლად არის მიჩნეული. **ამიტომ წარმოიქმნა საჭიროება ისეთი კლასიფიკაციის შემუშავებისა, რომლის საფუძველში - კლიენტის ბიზნესისათვის მომსახურების ხარისხისა და სარგებლიანობის (აქტუალურობის) კრიტერიუმები იქნება გათვალისწინებული.** მისი შედგენისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომელი ოპერაციები შეესაბამებიან მომსახურეობებია ამა თუ იმ სახეობას. აღნიშნულთან დაკავშირებიტ

განხორციელებული იქნა მუშაობა ოპერაციების სახეობების კლიენტებისათვის მომსახურეობების სახეობებთან შესაბამისობაში მოყვანასთან მიმართებაში, და შედგენილ იქნა კლასიფიკაცია მომსახურეობების შემდეგი სახეობების მიხედვით (ცხრილი 1.2).

ცხრილი 1.2. ოპერაციების კლასიფიკაცია კლიენტებისათვის მომსახურეობების სახეობების მიხედვით

ბანკის ოპერაციის სახეობა:	**ბანკის მომსახურეობების სახება კლიენტისატვის:**
1	**2**
1.ოპერაციები ანგარიშსწორების ანგარიშის მომსახურებასთან მიმართებაში: კლიენტისათვის ანგარიშსწორების, მიმდინარე ანგარიშის გახსნა. სახსრების ჩარიცხვა კლიენტის ანგარიშზე. სახრების ჩამოწერა ანგარიშსწორების ანგარიშიდან კლიენტის დავალებით, ამომღებების დავალების მიხედვით, აღსრულებითი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშსწორებების განხორციელება საგადახდო დავალებებით, საგადახდო მოთხოვნილებებით. ოპერაციების განხორციელება აკრედიტივების მიხედვით. ანგარიშსწორების ჩეკების გაფორმება და გადახდა. ოპერაციები ინკასოს მიხედვით. ქაღალდური ამონაწერის გაცემა კლიენტისათვის.	საანგარიშსწორებო მომსახურეობები.
1. ოპერაციები ელექტრონული სისტემების გამოყენებით: 1.1. „ბანკი-კლიენტი“: მიღება კლიენტის მიერ მომზადებული დოკუმენტების, ვალუტის მოცულობის მიხედვით განკარგულების, საფონდო ბაზარზე ოპერაციების, თანამშრომლების ხელფასების ანაბრებში ჩარიცხვაზე რეესტრების,	მომსახურეობები „ბანკი-კლიენტი“ სისტემაში

კორპორატიულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ჩარიცხული სახსრების რეესტრების და ა.შ,; შეტყობინებების მიღება კლიენტისაგან მისთვის თავისუფალი ფორმატის ინფორმაციების მიწოდებაზე. ოპერაციები კლიენტისათვის ინფორმაციების მიწოდებასთან მიმართებაში: - კავშირის სეანსების შედეგების შესახებ (მიღებული და გადახდილი დოკუმენტების); - ამონაწერების პირადი ანგარიშიდან; - მიმდინარე ინფორმაციის ანგარიშების მდგომარეობის შესახებ; - დამატებითი ინფორმაციის. 2.2. „ინტერნეტ-ბანკი“: მიღება საგადახდო დავალებების კლიენტისაგან ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამონაწერის კლიენტისათვის გადაგზავნა ანგარიშების მდგომარეობის შესახებ დროის ნებისმიერ მომენტში მიმდინარე საოპერაციო დღისა და პერიოდში მონაცემების მიხედვით. საგადახდო დოკუმენტების ფორმირება ბანკების ცნობარის მეშვეობით და დოკუმენტების კოპირების გზით როგორც მიმდინარე, ასევე არქივებში არსებულებიც. შეტყობინებების გაცვლა თავისუფალ ფორმატში.	მომსახურეობები „ინტერნეტ-ბანკის“ სისტემაში
2. სალაროს ოპერაციები: მიღება ნაღდი ფულადი სახსრების კლიენტისაგან დღისა და საღამოს სალაროებში, მათ შორის ინკასირებულ ჩანთებში. ნაღდი ფულის მომზადება: -კლიენტის ვადიანი აღსრულებისათვის ჩეკის წარმოდგენის დღეს;	სალაროს მომსახურეობები.

- კლიენტის განაცხადის აღსრულებისათვის შეკვეთილ კუპიურებში; - კლიენტისათვის შემდგომი მიწოდებებისათვის. გაცემა ნაღდი ფულის, მათ შორის შეკვეთილ კუპიურებში. მყისიერი გაცემა ნაღდი ფულადი სახსრების. ქაღალდური კუპიურების გაცვლა ლითონის მონეტებზე. შემოწმება ფულადი ბანკნოტებისა ნამდვილობაზე და გადახდაზე.	
3. ინკასაცია: ფულადი სახსრებისა და ფასეულობების ტრანსპორტირება კლიენტიდან ბანკში. ნაღდი ფულის მიტანა საწარმოში. გაცვლადი მონეტების მიტანა საწარმოში ქაღალდური კუპიურების შესაცვლელად. ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და დოკუმენტების ბანკიდან და საწარმოს ქვედანაყოფებს შორის ტრანსპორტირება. ფულადი სახსრების მიღება ბანკის სალაროში დღეღამურ რეჟიმში.	ინკასაციის მომსახურეობები.
4. ოპერაციები კრედიტის გაფორმებასთან და გაცემასთან მიმართებაში: განაცხადის მიღება კრედიტზე. დოკუმენტების განხილვა კრედიტის გაცემისათვის. დაკრედიტების პირობების ანალიზი. კლიენტის კრედიტუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის გაანგარიშება. საგირავნო უზრუნველყოფის შემოწმება. დასკვნის (საკრედიტო მემორანდუმის) მომზადება. საკრედიტო ხელშეკრულების შედგენა.	მომსახურეობები დაკრედიტებასთან მიმართებაში.
5. ოპერაციები საბანკო გარანტიების გაფორმებასთან და გაცემასთან მიმართებაში:	მომსახურეობები საბანკო გარანტიების

განაცხადის მიღება და დოკუმენტების განხილვა გარანტიის გაცემისათვის. ხელშეკრულების გაფორმება.	გაცემასთან მიმართებაში.
6. ლიზინგური ოპერაციები: გადაცემა ხელშეკრულების მიხედვით ლიზინგში ამისათვის სპეციალურად შეძენილი ქონების გარკვეული ვადით, გარკვეული გადახდით, გარკვეული პირობებით დროებით ფლობაში და მოხმარებაში.	ლიზინგის მომსახურეობები.
7. ფაქტორინგული ოპერაციები: ოპერაციები ვადიანი საგადახდო მოთხოვნების შეძენასთან (აღრიცხვასთან) მიმართებაში, რომლებიც საქონლის მიწოდებიდან (სამუშაოების შესრულებიდან, მომსახურეობების განხორციელებიდან), მათ შორის გაცემული კრედიტების დაბრუნების მოთხოვნის უფლებებიდან წარმოიშობიან.	ფაქტორინგის მომსახურეობები.
8. ოპერაციები ფასიან ქაღალდებთან: ფასიანი ქაღალდების შეძენა-გაყიდვა კლიენტის დავალების მიხედვით. კლიენტის აქტივების ნდობითი მართვა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარული აღრიცხვა.	მომსახურეობები ფასიანი ქაღალდების გამოყენებით
9. საშუამავლო ოპერაციები: ნაღდი ფულადი სახსრების გაცემა საწარმოების თანამშრომლებზე ბანკომატების, ტერმინალების მეშვეობით ჩადება პუნქტებში, საფოსტო განყოფილებებში. უნაღდო გადარიცხვების განხორციელება ანგარიშსწორებებისას ბარათის მიხედვით სავაჭრო და სერვისის წერტილებში. რეგულარული ავტომატური გადახდების განხორციელება საკორესპონდენტო	საშუამავლო (საკომისიო) მომსახურეობები.

ანგარიშიდან კლიენტის განცხადების მიხედვით. ხელშეკრულებების შერჩევა და გაფორმება სადაზღვევო, მარკეტინგულ, აუდიტორულ, იურიდიულ, რიელტერულ კომპანიებთან, მოცემული კომპანიების მიერ ბანკის კლიენტებისათვის მომსახურეობების განხორციელების და საკომისიო სარგებლის მიღების მიზნით.	
10. სავალუტო ოპერაციები. მიმდინარე სავალუტო ოპერაციები: -უცხოური ვალუტის გადარიცხვები ანგარიშსწორებებისათვის საქონელისა და მომსახურეობების ექსპორტისა და იმპორტის, ასევე ანგარიშსწორებების მიმართებაში, რომლებიც საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების დაკრედიტებასთანაა დაკავშირებულები; - პროცენტების, დივიდენდების და სხვა შემოსავლების გადარიცხვები, ასევე არასავაჭრო ხასიათის გადარიცხვები.	მომსახურეობები კლიენტებისათვის უცხოურ ვალუტაში
-ოპერაციები დაკავშირებულები კაპიტალის მოძრაობასთან: - დაბანდებები საწარმოს საწესდებო კაპიტალში; - შეძენა ფასიანი ქაღალდების; -შეძენა საკუთრების უფლებისა და სხვა უფლებებისა შენობებზე, ნაგებობებზე და სხვა ქონებაზე. მიწოდება და მიღება გადახდის განვადებისა საქონელისა და მომსახურეობების ექსპორტისა და იმპორტის მიმართებაში. მიწოდება და მიღება ფინანსურიკრედიტების.	კაპიტალის მოძრაობის მომსახურეობები.
11. ოპერაციები ძვირფას ლითონებთან:	მომსახურეობები კლიენტებისათვის

შეძენა-გაყიდვა ძვირფასი ლითონების კლიენტის ხარჯზე. მოზიდვა ძვირფასი ლითონების ანაბრებში იურიდიული პირებისაგან. შენახვა და გადაზიდვა ძვირფასი ლითონების.	ძვირფასლითონებთან მიმართებაში

ამრიგად, **დასკვნის** სახით შეიძლება ჩამოყალიბებული იქნას:

1. **შეთავაზებულია** საბანკო პროდუქტის ქვეშ - გაგებული იქნას ბანკის მომსახურეობების კოპლექსი, რომელიც მას შეუძლია თავისი კლიენტებისათვის განახორციელოს, საბანკო მომსახურეობად - ითვლება ბანკის ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც კლიენტის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.
2. **მითითებულია** საბანკო ოპერაცია - განსაზღვრული იქნას როგორც ბანკის თანამშრომლების მოწესრიგებული და ლოგიკურად დასრულებული ქმედებების ერთობლიობა, კლიენტებისათვის მომსახურეობების განხორციელებასთან და ბანკის საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების მიმართებაში.
3. **აღნიშნულია,** რომ სტატიაში დასახული თეორიული და პრაქტიკული კვლევა წარმოადგენს - ერთი ბანკის მეორესაგან განმასხვავებელი მთავარი შედარებითი საფუძველის - მომსახურეობების ხარისხის კრიტერიუმისა და მისი შეფასების მეთოდიკის ჩამოყალიბება.

Summary:

1. **Offering** under the banking product - to understand the complex of services of the bank, which it can perform for its customers, as a banking service - is considered to be a set of operations of the bank that meet the requirements of the customer.
2. **Indicates** the banking operation - to be defined as a set of orderly and logically completed actions of the bank's employees in relation to the provision of services to customers and the satisfaction of the bank's own needs.
3. **It is mentioned** that the theoretical and practical research presented in the article is - the main comparative basis that distinguishes one bank from another - the development of the criterion of service quality and its evaluation methodology.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. ასათიანი ვლ., ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). – თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2014, – 500გვ.

2. ბურდიაშვილი რ. - ფინანსური აღრიცხვა ბანკებში, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „პოლიგრაფისტი“, 2013. – 264 გვ.

3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა - სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014. – 548 გვ.

4.ცაავა გ., ხანთაძე გ. - „საბანკო საქმე“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღ. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.

5.Татаркулова Р.А. – Методы и инструменты првышения качества банковских услуг кредитных организации региона, диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук.- Ставрополь, 2010. – С. 155.

6. Benston G.J., Smith C.W. – A transaction cost approachnto the theory of financial intrermediation II J. Finance, 1976, may.

7. Diamond D.W. – Financial intermediation and delegdted monitoring II Rev, Economic Studied, 1984, July.

ნავთობის ფასის ზრდა და მისი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე
The price of oil' s increase and its influence on economic

ირაკლი მჭედლიშვილი - მაგისტრი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
Irakli Mtchedlishvili – Master
Georgian National University
irakli.mtchedlishvili0@gmail.com
ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, Seu
vmosiashvili@seu.edu.ge

რეზიუმე: ნებისმიერი ქვეყნისთვის ენერგეტიკული დამოკიდებულება მის ერთ-ერთ მთავარ სისუსტეს ნიშნავს. მომპოვებელი ქვეყნები ნავთობის ფასებით მანიპულირებენ იმპორტიორ ქვეყნებზე. სწორედ ამიტომ, მუდმივად იცვლება მისი ღირებულება არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. საწვავის ფასის ვარდნა ნიშნავს ტრანსპორტის ხარჯების შემცირებას. ნავთობის მაღალი ფასი ემატება ნაწარმოები პროდუქციის ფასს, რომლებიც საბოლოოდ გადაეცემა მომხმარებლებს და ბიზნესს. ენერგიის მაღალმა ფასებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვა პროდუქტების ღირებულების ზრდა ერთი შეხედვით დაუკავშირებელ პროდუქტებსა და სერვისებზე. ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, რომლის ძირითადი მიზეზი უკრაინაში მიმდინარე ომია, უნდა ველოდოთ ნავთობზე მაღალი ფასების შენარჩუნებას გარკვეული დროით.

საკვანძო სიტყვები: ნავთობის ფასის ზრდა, ნავთობის ღირებულების გავლენა მსიოფლიო ეკონომიკაზე, ნავთობის ფასი დამოკიდებულია გეოპოლიტიკურ ინტერესებზე.

Abstract: For any country, energy dependence means one of its main weaknesses. Oil prices are being manipulated by extractive countries over importing countries, which is why its value is constantly changing depending on the current geopolitical situation and interests.

A drop in fuel prices means a reduction in transportation costs. The high price of oil adds to the price of manufactured products that are ultimately passed on to consumers and businesses. High energy prices may lead to an increase in the value of other products for seemingly unrelated products and services.

Against the background of the political confrontation between the countries, the main cause of which is the ongoing war in Ukraine, we should expect to maintain high oil prices for some time.

Keywords: Rising oil prices, the impact of oil prices on the world economy, the price of oil depends on geopolitical interests.

ძირიტადი ტექსტი: ნავთობის ფასის ზრდამ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუ რამეხლა გავლენა შესაძლოა იქონიოს მსოფლიო ეკონომიკაზე და ინფლაციის შიში გააღვიოს.

მიმდინარე წელს, როდესაც უმსხვილესმა კომპანიბმა ნავთობის მოპოვება შეამცირეს, ფასები 30%-ით გაიზარდა. საუდის არაბეთის მთავარ საექტსპორტო ობიექტზე სარაკეტო იერიშის შედეგად brent-ის ტიპის ნავთბზე ფასი 70$-მდე გაიზარდა.

ამ ინციდენტის შემდეგ ფასები კვლავ ეცემა, მაგრამ ნავთობის ფასის გავლენა სამომხმარებლო ფასებზე და გლობალურ ეკონომიკის აღდგენაზე დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სტაბილური იქნება ეკონომიკური ზრდა.

ეკონომისტებისთვის უფრო მნიშვნელოვანია მაღალი ფასის გამომწვევი მიზეზი ვიდრე თავად ფასი. თვითღირებულებისთვის გაწეული ხარჯების ზრდა მიანიშნებს ძლიერ და სტაბილურ ზრდას, მაგრამ თუ ღირებულება შემცირებული მარაგის გამო მატულობს, მაშინ ეკონომიკის აღდგენაზე ცუდად იმოქმედებს. Morgan Stanley_ის ეკონომისტების გათველბით ერთი ბარელი საშუალოდ 85% უნდა იყოს, რომ მისმა ტვირთმა გრძელვადაინ საშუალო მაჩვენებელს გადააჭარბოს. ნავთობის ღრებულების ზრდა საერთაშორისო ინფლაციური მოლოდინების დონზე ხდება.

ენერგია სამომხამრებლო ფასის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ნაწილია, თუმცა ხშირად ყურადღებას არ აქცევენ არასტაბილურ კომპონენტებს (ნავთბი) და ძირითად ინდექსებზე არინ ფოკუსირებულნი. ეს მომენტი კი ცენტრალურ ბანკებზე ზეწოლას ზრდის.

მაღალი ფასით მოგებულნი არიან რა თქმა უნდა ექსპორტიორი ქვეყნები: ნიგერია, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია, საუდის არაბეთი და სხვები. ასეთ შემთხვევაში ეს ქვეყნები თავის შემოსავალს გაზრდიან, რაც საშუალებას მისცემთ ეკონომიკის აღდგენაში გაცილებით დიდი წვლილი შეიტანონ. ნავთბ პროდუქტების მწარმოებელები ძირითადად განვითარებადი ეკონომიკები დომინირებენ, ამიტომ ღრებულების მატება გაცილებით დიდ გავლენას მოახდენს ვიდრე განვითარებულ ქვეყნებზე.

მაღალი ფასი არ აწყობს პირველ რიგში იმპორტიორ ქვეყნებს, იმიტომ რომ მათი ხარჯი გაიზრდება, რაც ეკონომიკის გაჯანსაღებას მნიშვნელოვნად შაფერხებს. ის ქვეყნები, რომლებიც იმპორტირებულ ენერგიას ეყრდნობიან, სავარაუდოთ განაცადებენ ფისკალურ დეფიციტზე გაზრდილ ზეწოლას, რაც კაპიტალის გადინებას და ეროვნული ვალუტის დასუსტებას გამოიწვევს. უმსხვილესი ქვეყნები, რომლებიც დაუცველნი არიან მაღალი ფასებისგან: ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და უკრაინა.

Opec-მა (Intergovernmental organization), მათ შორის რუსეთის ფედერაციამ, მიიღეს გადაწვეტილება განაგრძონ საჭიროზე ნაკლები ენერგიის მიწოდება, რამაც ბაზარზე ფასები აწია.

არაბეთმა გაზარდა ამერიკასა და აზიაში ექსპორტის ფასი და მათი ვარაუდით ღირებულების ზრდის გამო მოთხოვნის შემცირება არ მოხდება.

როგორც მოგეხსენებათ ამერიკამ გაზარდა ნავთობის მოპოვება, თუმცა მათი ნავთობის ფასი მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც მსოფლიოს უმსხვილესი ექსპორტიორები არიან.

ნავთობის გლობალურ კრიზისზე საპასუხოდ კონგრესმა შექმნა ნავთობის სტრატეგიული რეზერვი, როგორც 1975 წლის ენერგეტიკული პოლიტიკისა და კონსერვაციის ნაწილი.

SPR (სტრატეგიული ნავთობის რეზერვი) ეს არის ნავთობის საგანგებო მარაგი, რომელსაც ინახავს შეერთბული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტი (DOE). 1975 წელს აშშ გადაწვიტა საწვავის მარაგის შექმნა, მას შემდეგ, როცა ნავთობის მიწოდება ემბარგოს გამო შეწყდა (1973-1974 წლებში).

ნავთობის ფასი ბოლო კვირების განმავლობაში მატულობს იმ შეშფოთების საპასუხოდ, რომ უკრაინის ომი მნიშვნელოვნად შეამცირებს მიწოდებას. მაგრამ ის, რაც ხდება ნავთობის ბაზრებზე, არასოდეს რჩება ნავთობის ბაზრებზე.

რა თქმა უნდა, ამან აწია ბენზინის ღირებულება, რამაც შეერთებულ შტატებში 14 მარტს საშუალოდ 4,32 დოლარს მიაღწია ერთ გალონზე. მაგრამ ნაკლებად გასაგებია, თუ როგორ ერევა ენერგიის მზარდი ფასები იმ ფასებში, რომლებსაც მომხმარებლები იხდიან სათამაშოებზე, ელექტრონიკაზე, საკვებზე და თითქმის ყველა სხვა პროდუქტზე, რაც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

ენერგია ხდება ინფლაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რაშიც ვგულისხმობ ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ფასების მდგრად, განზოგადებულ ზრდას. უახლესი მონაცემები აჩვენებს, რომ ფასები იზრდება წლიური ტემპით 7.9%, რაც ყველაზე მაღალია ბოლო 40 წლის განმავლობაში.

ყველაზე აშკარა ის არის, რომ ნავთობი „კვებავს“ მანქანების, თვითმფრინავების და სხვა დანადგარების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებიც გადაადგილებენ ან აწარმოებენ სხვადასხვა ნივთებს. ნავთობისგან მიღებული ნავთობქიმიკატები გამოიყენება ტანსაცმლის, კომპიუტერების და სხვათა დასამზადებლად.

შეერთებულმა შტატებმა საკუთარი სტრატეგიული რეზერვებიდან რეკორდული რაოდენობის საწვავის გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო. ჯო ბაიდენი გამოვიდა ინიციატივით, რომ თუ ნებისმიერი ნავთბმომპოვებელი კომპანია ჭაბურღილებს გააჩერებს მაშინ ისინი დაჯარიმდებიან (გეგმა კონგრესშია გადაგზავნილი).

ასევე დასძინა, რომ ფასების შესამცირებლად საჭიროა მიწოდების გაზრდა და მოუწოდა მოსახლეობას, რომ შეიძინონ ელექტრო მანქანები (რაც შეამცირებს საწვავზე მოთხოვნას და ხელს შეუწყობს ფასის ვარდნას).

დღვანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, პროგნოზის გაკეთება რთულია, რადგან არავინ იცის როგორ და როდის დამთავრდება ომი უკრაინაში და რა გადაწვეტილებებს მიიღებენ უმსხვილესი ქვეყნები, რომლებსაც ფასზე გავლენის მოხდენა შეუძლია ერთის მხრივ თუ რუსული ნავთობის სრული აკრძალვა მოხდება ევროპაში (რაც ნაკლებად სავარადუოა) ეს ნავთობის ფასს მნიშველოვნად გაზრდის, მაგრამ მეორე მხრივ ამერიკის და სხვა ქვეყნების მიერ ნავთობის მიწოდების რაოდენობა თუ გაიზრდება ის ხელს შეუწყობს ფასის ვარდნას. ამ მოცემულობით სავარაუდოა, რომ ომის დამთავრებამდე ფასის მნიშვნელოვანი მატება ან კლება არ მოხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.bloomberg.com [Last seen 10.03.2022].
2. www.forbes.com [Last seen 25.04.2022].
3. www.whitehouse.gov [Last seen 25.03.2022].
4. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640 [Last seen 25.03.2022].
5. http://eprints.tsu.ge/1457/ [Last seen 12.04.2022].
6. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287 [Last seen 25.03.2022] [Last seen 25.03.2022].
7. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640 [Last seen 02.05.2022].
8. https://bit.ly/3yKX5Dh [Last seen 14.04.2022].

ბიზნესში საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების გამოყენება
Use of accounting software in business

მანანა მჭედლიშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
Manana Mchedlishvili - Caucasus International University
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Email- manana.mchedlishvili@ciu.edu.ge
ნაირა ტაბატაძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
Naira Tabatadze - Caucasus International University
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Email- n.tabatadze@agruni.edu.ge

აბსტრაქტი: კომპიუტერების გამოგონებამ გარდაქმნა ბუღალტრული აღრიცხვა მე-20 საუკუნეში. ბუღალტრული აღრიცხვა დღითი დღე რთულდება, რაც გამოწვეულია უამრავი საკანონმდებლო რეფორმებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ტარდება. თუმცა ამ ყველაფრის ფონზე საქართველოში ბოლო წლების მანძილზე ბუღალტრული აღრიცხვა საგრძნობლად დაიხვეწა. საქართველოში იყენებენ, როგორც უცხოური წარმოების პროგრამებს, ასევე საქართველოში წარმოებულსაც. რომელიც ამა თუ იმ ბიზნესზე მაქსიმალურად მორგებულია. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა 96,7 % აქტიურად მოიხმარს კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს. მათგან კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა „ორისი“ ლიდერია ქართულ ბაზარზე.

ბუღალტრული აღრიცხვა ეს არის ყველა იმ სუბიექტის უდიდესი ინტერესის საგანი, რომლებსაც აქვთ კავშირი წარმოებასთან, მომსახურებასთან, საკუთრების მართვასთან, დაფინანსებასთან, ინვესტიციებთან. ყოველი მათგანისთვის საჭიროა „ბიზნესის საერთაშორისო ენის“ -ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა. მას აქვს უნარი იმოქმედოს როგორც ინფორმაციული სისტემა. მისი სამიზნეა ბიზნესის მონაცემების დამუშავება, ეს კი გადაწყვეტილების მიმღებს საშუალებას აძლევს შეაფასოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ბიზნესის ეფექტურობა, დაინახოს ხარვეზები და აღმოაჩინოს შეცდომები. სწორედ ამიტომ ბიზნესის მფლობელების პირდაპირ ინტერესშია ეფექტური გზის გამონახვა, რათა ბუღალტრული

აღრიცხვა მაქსიმალურად სრულყოფილი იყოს. ეს ფაქტორი კი ერთ ერთი გარანტიაა წარმატებული ბიზნესისა.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული პროგრამა, პროგრამა ორისი, პროგრამა ფინა, პროგრამა აპექსი, საბუღალტრო გატარებები, პროგრამული უზრუნველყოფა.

Abstract: The invention of computers transformed accounting in the 20th century. Accounting is becoming more difficult day by day, which is due to the numerous legislative reforms that are being carried out in our country. However, against the background of all this, accounting in Georgia has significantly improved in recent years. Foreign production programs are used in Georgia, as well as those produced in Georgia,which is best suited for this or that business. The survey showed that 96.7% of respondents actively use computer accounting software. Among them, the computer accounting program "Oris" is a leader in the Georgian market.

Accounting is the subject of great interest of all those entities that have to do with production, services, property management, financing, investments. Each of them requires knowledge of "International Business Language" - accounting. It has the ability to act as an information system. Its focus is on processing business data, which in turn allows the decision maker to evaluate the effectiveness of the business under it, see gaps and detect errors. This is why it is in the direct interest of business owners to find an effective way to keep accounting as complete as possible. This factor is one of the guarantees of a successful business.

keywords: Computer program, Program Oris,Program Fina, Program Apex, Accounting transactions, Software.

შესავალი. ბუღალტრული აღრიცხვის ისტორია საუკუნეებს ითვლის. ბუღალტერიის წარმოების საჭიროება ადამიანებმა ათასწლეულების წინ იგრძნეს-მაშინ, როცა კომპიუტერზე ფიქრიც კი არ იყო. ბუღალტრები ეყრდნობიდნენ ქაღალდის სახელმძღვანელოებს, რათა აღებეჭდათ დავალიანება, შემოსავლები, ხარჯები. ნელნელა ეს ყველაფერი გამარტივდა. კომპიუტერების გამოგონებამ გარდაქმნა ბუღალტრული აღრიცხვა მე-20 საუკუნეში. საბუღალტრო პროგრამა არის კომპიუტერული უზრუნველყოფა, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, ბევრად უფრო სწრაფად,

მარტივად, თვალსაჩინოდ და ეფექტურად შეძლოს ფინანსების აღრიცხვა. ბუღალტრული აღრიცხვა დღითი დღე რთულდება, რაც გამოწვეულია უამრავი საკანონმდებლო რეფორმებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ტარდება. თუმცა ამ ყველაფრის ფონზე საქართველოში ბოლო წლების მანძილზე ბუღალტრული აღრიცხვა საგრძნობლად დაიხვეწა.

კვლევის მიზანი-ნაშრომის კვლევის მიზანია იმის გარკვევა თუ რამდენად აქტიურად იყენებენ საბუღალტრო პროგრამებს თანამედროვე ბიზნესში, რა პრობლემებს ან სირთულეებს აწყდებიან მოქმედი ბუღალტრები ამ პროგრამებთან ურთიერთობისას, ისურვებდნენ თუ არა ძირეულის შეცვლას და რამდენად აკმაყოფილებთ ის ხარისხი, რომელსაც ამ პროგრამების დეველოპერები სთავაზობენ.

მეთოდი-ნაშრომში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევის მონაწილეები სხვადასხვა ასაკის, სქესის და გამოცდილების ბუღალტრები იყვნენ. კვლევისთვის შედგენილ იქნა ონლაინ კითხვარი.

შედეგები- საქართველოში იყენებენ, როგორც უცხოური წარმოების ბუღალტრულ კომპიუტერულ პროგრამებს, ასევე საქართველოში წარმოებულსაც. რომელიც ამა თუ იმ ბიზნესზე მაქსიმალურად მორგებულია. ბოლო პერიოდში უკრაინაში რუსეთის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის ფონზე, საქართველოში მატულობს საპროტესტო მუხტი რუსული წარმოების პროდუქტების მიმართ. საზოგადოების ნაწილი პროტესტის ნიშნად უარს ამბობს რუსულ ნაწარმზე და ცდილობს ბაზარზე არსებული ალტერნატიული შეთავაზებებით ისარგებლოს, როგორც პროდუქტის, ისე მომსახურების კუთხით ამ მხრივ გამონაკლისს არც კომპიუტერული უზრუნველყოფის სფერო წარმოადგენს, შესაბამისად შემცირდა რუსული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის 1 C. გამოყენება კომპანიებში. დღესდღეობით ყველაზე მოთხოვნადი და გავრცელებული საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა არის „ორისი“. კომპანია ორისი დაარსდა 1992 წელს. „ორისი“, როგორც კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა კატეგორიის ორგანიზაციებისთვის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებას. სწორედ ამიტომ, ის წარმოებული პროდუქტების მრავალფეროვნებით ლიდერთა პოზიციას დიდი ხანია ინარჩუნებს. ამ კომპანიის სპეციალისტების მიერ შექმნილი პროდუქტებია შემდეგი

კომპიუტერული სისტემები: **1)უნივერსალური საბუღალტრო და სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის სისტემა- „ორის ბუღალტერია“, 2)საფინანსო და ორგანიზაციული მართვის ინსტრუმენტალური სისტემა- „ორის მენეჯერი“ 3)საბანკო სისტემა- BankNet 4)საცალო და საბითუმო ვაჭრობის სისტემა- Universe. სისტემის ძირითადი შესაძლებლობები და მომსახურებაა: ა) მრავალი მომხმარებლის (ქსელი) ერთდროულად მუშაობა-** სისტემასთან მუშაობა შეუძლია ერთდროულად რამოდენიმე მომხმარებელს. თითეულ მათგანს შესაძლებელია განესაზღვროს გარკვეული ფუნქციები, მაგალითად, ზოგიერთი მომხმარებელი შეასრულებს მხოლოდ გატარებებს, ზოგიერთი ხელფასის უწყისებს, ზოგი კი დააფორმირებს მხოლოდ ბალანსებს, ბარათებს, სხვადასხვა ფორმებს. შესაძლებელია ფუნქციების, როგორც გადაკვეთა, ასევე აკრძალვა. **ბ)მრავალვალუტიანობა-**სისტემაში თითოეული ანგარიში ითვლება მულტისავალუტოდ, ანუ სავალუტო ანგარიშის არსებობას განსაზღვრავს შესაბამის ანგარიშზე სავალუტო ოპერაციები. აქედან გამომდინარე შესაძლებელია მიღებულ იქნას ნაშთები, ბრუნვები, ანგარიშის ბარათები და სხვა უწყისები, როგორც თითოეული ვალუტის, ასევე ნაერთი უწყისის სახით ლარში ან სხვა ვალუტის ექვივალენტში. **გ)საოპერაციო და ანალიზური პერიოდის ცვლილების საშუალება-**სისტემა საშუალებას იძლევა გატარებები ან ოპერაციები შესრულდეს, როგორც არჩეულ ბრუნვის პერიოდში, ასევე წარსულში და მომავალშიც. წარსული ოპერაციის შესრულება ან გასწორება იწვევს მოქმედების შესაბამისი სიდიდეების ავტომატურ გადათვლას. სამომავლო ოპერაციების შესრულება კი გამოყენება დაგეგმარებისა და სამომავლო ბიუჯეტის განსაზღვრისათვის. **დ)ანგარიშთა გეგმის გაძღოლა**-სისტემას თან ახლავს ანგარიშთა გეგმა. მიუხედავად ამისა შესაძლებელია გახსნილი ან შესწორებული იქნას ნებისმიერი სხვა სტრუქტურის ანგარიში. ანალიზური აღრიცხვისათვის შესაძლებელია თითოეულ ანგარიშს გაეხსნას სუბანგარიშები, რომელთა ჩადგმულობის დონე მომხმარებლის მიერ განისაზღვრება და არ არის დამოკიდებული თითოეული ანგარიშის ტიპსა და დანიშნულებაზე. **ე)საბუღალტრო გატარებები** -გატარების შესასრულებლად სისტემას უნდა მიეთითოს გატარების შესრულების თარიღი, მემორიალის ნომერი, პროექტის დასახელება, სადებეტო და საკრედიტო ანგარიშები, თანხა, ვალუტა, გატარების საფუძველი; ანალიზური აღრიცხვისთვის გატარების შესრულებასთან ერთად შესაძლებელია ნებისმიერი პირველადი

დოკუმენტის დაბეჭვდა, დასაბეჭდ დოკუმენტში აუცილებელი სიდიდეების ავტომატური ჩასმით. თითოეული ეს მოქმედება ფიქსირდება გატარებების ჟურნალში, რომლის ნახვა, გაფილტვრა და ბეჭვდა შესაძლებელია ბრუნვის ნებისმიერი პერიოდისათვის. **ვ)სამეურნეო ოპერაციის და პირველადი საბუთების აღწერის შესაძლებლობები და სიმარტივე**-სისტემა შეიცავს ოპერაციების აღწერის ინსტრუმენტალურ საშუალებას. ისევე, როგორც გამომავალი ფორმების გენერატორი, ისიც აღჭურვილია ოპერაციების აგების პიქტოგრამული საშუალებებით (ფუქნციონალური ღილაკებით), რომელთა საშუალებითაც მიიღწევა არა მარტო საბუღალტრო ოპერაციის აღწერა, არამედ ნებისმიერი ალგორითმი, რომელსაც უნდა უზრუნველყოფდეს აღსაწერი ოპერაცია. ოპერაციის აღწერის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ციკლები და გადასვლები, ფორმულების გამოთვლები, სხვადასხვა დინამიური ინფორმაციის განსაზღვრა. **ზ)ძირითადი საშუალებების აღრიცხვა და მასთან დაკავშირებული ოპერაციები (ცვეთა, აფასება, ჩამოწერა)**- სისტემა აღრიცხვას ძირითად საშუალებებს, რისთვისაც მიეთითება საინვენტარიზაციო ნომერი, წარმოების და ექსპლუატაციაში შესვლის თარიღები, საბალანსო და ნარჩენი ღირებულებები, ამორტიზაციის და აფასების კოეფიციენტები, განყოფილება და პასუხისმგებელი თანამშრომელი და ა.შ. ამ ინფორმაციის საფუძველზე სისტემა იძლევა საშუალებას შევასრულოთ ცვეთის, აფასების და ჩამოწერის ოპერაციები მათი შესაბამისი გატარებების ავტომატური შესრულებით.[8]

FINA საქართველოს ბაზარზე ერთ ერთი დიდი პროგრამული უზრუნველყოფის ორგანიზაციაა. იგი დაარსდა 2011 წელს. პროგრამას მრავალი წელია იყენებენ როგორც მსხვილი, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. FINA სთავაზობს მზა გადაწყვეტილებებს სხვადასხვა სახის ბიზნესს მართვის და ავტომატიზაციის მიზნით. როგორიცაა: საწყობი, მაღაზია, სუპერმარკეტი, რესტორანი, დისტრიბუცია, სასტუმრო, წარმოება.[9]

კომპანია „აპექსი“- წარმოადგენს სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც 2004 წლიდან საწარმოო-დაწესებულებების ავტომატიზაციის მიზნით ახორციელებს ბიზნეს პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემების შექმნასა და დანერგვას. „აპექსი“ წარმოადგენს წარმოების,

---

[8] www.account.ge

[9] www.fina.ge

საცალო-საბითუმო ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში აღრიცხვის, ანალიზისა და მართვის მძლავრ ინსტრუმენტს. კომპანია ლიდერია საფთიაქო ბაზარზე.[10]

ჩატარებული კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: თანამედროვე ქართული ბიზნესი ბუღალტერიას აქტიურად აწარმოებს საბუღალტრო პროგრამების დახმარებით. კვლევაში მონაწილეობას იღებდა ბუღალტერთა კავშირის 60 წევრი. მათი სამუშაო გამოცდილება 6 თვიდან ზემოთ მერთეობს, ასაკი 21 წლიდან ზემოთ. გამოკითხულთა უმეტესობა 48 ადამიანი (80%) ქალია, ხოლო (20%) 12 ადამიანი მამაკაცი. ონლაინ-გამოკითხვა მოიცავდა შემდეგ კითხვებს:

სამუშაო გამოცდილება ბუღალტრად-კითხვარში მონაწილეთა უმეტესობა 36,7 % არის დასაქმებული 8-10 წელია, 28,3 %-ს შეადგენენ 3-5 წლამდე სამუშაო გამოცდილების რესპოდენტები, 18,3 %-ის გამოცდილება 11-15 წლამდე მერყეობს, 8,3 %-ის ბუღალტრად მუშაობის 16 წლის სტაჟი აქვთ, ხოლო დანარჩენი 8,4 %-ს 2 წლის მუშაობის სტაჟი. ე.ი. რესპოდენტების 90 %-ზე მეტი საკმაოდ კომპეტენტურია მის საქმეში.

რომელი კატეგორიის საწარმოს მიეკუთვნებით- 30 რესპოდენტი ანუ 50 % მიეკუთვნება მე-4 კატეგორიის საწარმოს, 26,7 % მესამე კატეგორიის, 15 % ანუ 9 რესპოდენტი მე-2 კატეგორიის საწარმოს, ხოლო 8,3 % პირველი კატეგორიის საწარმოს.

კითხვაზე თუ „რომელი სფეროს ბუღალტერიას აწარმოებთ?“ – რესპოდენტებს ჰქონდათ საშუალება, დაეფიქსირებინათ ერთი ან ერთზე მეტი პასუხი, გამომდინარე იმ საქმიანობიდან, რომელსაც ამჟამად ეწევიან. ყველაზე დიდი წილი 56,7 % უკავიათ მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს. შემდეგ საცალო სავაჭრო სფეროს წარმომადგენლებს 53,3 %. საბითუმო ვაჭრობით დაკავებულია რესპოდენტების 40 %, მშენებლობას აწარმოებს 18,3 %, წარმოებით დაკავებულია 6,7 %, ხოლო 5 % და ნაკლებით საბიუჯეტო, ჯანდაცვის, დისტრიბუციის, სოფლის მეურნეობის და სარესტორნო სფეროს წარმომადგენლები.

[10] www.account.ge

შემდეგი კითხვა იყენებთ თუ არა რომელიმე კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრმას ამ კვლევის ყველაზე ძირითად ნაწილს უსვამს ხაზს. კვლევის ჰიპოთეზის („თანამედროვე ქართული ბიზნესი ბუღალტერიას აქტიურად აწარმოებს საბუღალტრო პროგრამების დამარებით“) დადასტურება სწორედ ამ კითხვით წყდება. 96,7 % საბუღალტრო პროგრამების სასარგებლოდ მეტყველებს. 60 დან 58 რესპოდენტი მოიხმარს კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამას, ხოლო 2 მუშაობს კომპიუტერული პროგრამის გარეშე.

რამდენად კმაყოფილი ხართ იმ საბუღალტრო პროგრამით რომელშიც მუშაობთ-45 % -ის მიერ გამოყენებულ პროგრამას 5 ბალიანი სკალიდან უმაღლესი 5 ქულით, ხოლო 38,5 % ანუ 23 რესპოდენტი 4 ქულით აფასებს. 10 % (6 რესპოდენტი) ნეიტრალური რჩება და არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს, ხოლო მხოლოდ 4 რესპოდენტი 1 და 2 ქულით აფასებს მის სამუშაო პროგრამას.

რომელ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობთ-მოქმედი ბუღალტრების რჩეულია პროგრამა ორისი. მას კვლევის მონაწილე ნახევარი ანუ 30 ადამიანი იყენებს. მეორე ადგილს ფინა იკავებს, მესამე პოზიციას კი FMG APEX იყოფენ. კითხვარის შემდეგი კითხვა კი ღია კითხვა იყო და რესპოდენტებს მათი პროგრამის შეფასებას სთხოვდა. იმის გამო, რომ ორისს ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს საინტერესო იყო თუ როგორ აფასებდნენ მას. რესპოდენტები საკუთარ არჩევანს ამყარებდნენ შემდეგი არგუმენტებით: „მარტივია“, „იდეალურად ერგება ყველა ორგანიზაციას“, „იძლევა ბევრი ოპერაციის გაკეთების საშუალებას“, „მოქნილი საადრიცხვო სისტემით გამოირჩევა“, „კომფორტულია მასში მუშაობა“, მხოლოდ ერთი რესპოდენტი გამოხატავს უკმაყოფილებას და ამბობს, რომ უკეთესი პროგრამის შეძენის საშუალება ორგანაიზაციას არ აქვს.

გიწარმოებიათ თუ არა ბუღალტერია საბუღალტრო პროგრამის გარეშე- კვლევის ფარგლებში, რესპოდენტების სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობას თუ გავითვალისწინებთ, არ არის გასაკვირი რომ მათ 50 %-ს უმუშავია საბუღალტრო პროგრამის გარეშეც.

თქვენი აზრით რამდენად სრულყოფილი იყო კომპიუტერული პროგრამის გარეშე წარმოებული ბუღალტერია- 40 %-ისთვის ანუ 24 რესპოდენტისთვის ხელით გაკეთებული ჩანაწერებით მუშაობა არ გამორიცხავდა იმას, რომ ბუღალტერია ეწარმოებინათ ხარისხიანად. ისინი პროგრამამდელ მუშაობას ნეიტრალურად აფასებენ, არც უხარისხოდ და არც ხარისხიანად. თუმცა დანარჩენი 25 რესპოდენტი (41,6 %), ხელით მუშაობის მეთოდს უხარისხოდ თვლის. თითქმის სრულყოფილად შეაფასა 6 რესპოდენტმა, და მხოლოდ 5 ბუღალტერი თვლის, რომ კომპიუტერული პროგრამის გარეშე წარმოებული ბუღალტერია ბოლომდე სრულყოფილი იყო.

ყველაზე დიდი კომფორტი, რომელიც საბუღალტრო პროგრამის წყალობით გაქვთ და არ გქონდათ ხელით ჩაწერისას არის-უმეტესობა ანუ 70 % ყველაზე დიდ კომფორტად ამ პროგრამების დახმარებით ოპერაციის შესრულების სისწრაფეს მიიჩნევს. 65 %-ისთვის ეს კომფორტი თვალსაჩინოებაში გამოისახება. ასევე კომფორტთან ასოცირდება ის ფაქტი, რომ პროგრამა გვაძლევს ოპერატიულობის საშუალებას, აქვს გამარტივებული სააღრიცხვო სისტემა და აქვს უშუალო კავშირი ბანკებთან და შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდთან.

რამდენად ოპერატიულად ხდება თქვენი პროგრამის განახლება ქვეყანაში არსებული საგადასახადო ცვლილებების ფონზე-რესპოდენტების 52,5 % 5 -დან 5 ქულით აფასებს განახლებების სისწრაფეს, 27,1 % 5 -დან 4 ქულას უწერს მის პროგრამას, 8,5 % ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და 3 ქულით აფასებს, 10,2 % აღნიშნავს, რომ არ ხდება ოპერატიულად მათი პროგრამების განახლება, ხოლო 1,7 % ძალიან უკმაყოფილოა ამ მხრივ მისი არჩეული პროგრამისა.

ბოლო კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, თუ რომელ პროგრამაზე შეაჩერებდნენ არჩევანს თავიდან შეძენის შემთხვევაში. ამ კითხვაზე 42 რესპოდენტი არ შეცვლიდა საკუთარ პროგრამას. 18 რესპოდენტი კი ორისს, ფინას და აპექსს ამჯობინებდა.

დასკვნა. ჩატარებული კვლევის შედეგად მთავარ საკითხს, თუ რამდენად აქტიურად აწარმოებს თანამედროვე ქართული ბიზნესი ბუღალტერიას პასუხი გაეცა. რესპოდენტთა 96,7 % აქტიურად მოიხმარს კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს. რესპოდენტების ნახევარზე მეტი

კმაყოფილებას გამოხატავს იმით, რომ სხვადასხვა საგადასახადო ცვლილებებს პროგრამის დეველოპერები ფეხს უწყობენ და უმარტივებენ მუშაობას. ასეთი ცვლილება ეხებოდა ხელფასების დარიცხვის ახლებურ მეთოდს, რომელიც საპენსიო სისტემის დანერგვასთან იყო დაკავშირებული.

კვლავამ ასევე დაადასტურა, რომ კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა „ორისი“ ლიდერია ქართულ ბაზარზე. გამოკითხულთა უმეტესობა ახალი პროგრამის შეძენის შემთხვევაში ისევ „ორისს“ აირჩევდნენ;

ბუღალტრული აღრიცხვა ეს არის ყველა იმ სუბიექტის უდიდესი ინტერესის საგანი, რომლებსაც აქვთ კავშირი წარმოებასთან, მომსახურებასთან, საკუთრების მართვასთან, დაფინანსებასთან, ინვესტიციებთან. ყოველი მათგანისთვის საჭიროა „ბიზნესის საერთაშორისო ენის“ -ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა. მას აქვს უნარი იმოქმედოს როგორც ინფორმაციული სისტემა. მისი სამიზნეა ბიზნესის მონაცემების დამუშავება, ეს კი გადაწყვეტილების მიმღებს საშუალებას აძლევს თვალნათლივ შეაფასოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ბიზნესის ეფექტურობა, დაინახოს ხარვეზები და აღმოაჩინოს შეცდომები. სწორედ ამიტომ ბიზნესის მფლობელების პირდაპირ ინტერესშია ეფექტური გზის გამონახვა, რათა ბუღალტრული აღრიცხვა მაქსიმალურად სრულყოფილი იყოს. ეს ფაქტორი კი ერთ ერთი გარანტია წარმატებული ბიზნესისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ხარაბაძე ე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2018.

2.თევდორაძე მ, ლოლაშვილი ნ, კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი 2013.

3.გელაშვილი ა, პროგრამული უზრუნველყოფის ბაზრის მიმოხილვა, 10 მარტი, 2022.

4.www.treasury.ge

5.www.mediusflow.com.

6.www.oris.ge

7.www.account.ge

8.www.fina.ge

ქართული ავეჯის წარმოების ძირითადი ბარიერები
The main barriers in the process of Georgian furniture production

ნატო ქორიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
Nato Koridze - PhD Student of Georgian Technical University
nataqoridze@gmail.com

აბსტრაქტი: სტატიაში საუბარია იმ ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორებზე, რომელიც ქართული ავეჯის წარმოებაში მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის მწარმოებლებისთვის. ბიზნესსუბიექტების მიერ დასახელებული მრავალი ფაქტორიდან შეიძლება გამოიყოს ის ძირითადი წინაღობები, რაც მამწარმოებელთა უმეტესობას ხვდება წარმოების პროცესში. ასევე მოცემულია ის სიახლეები და წინადადებები, რომელიც არსებული პრობლემების მოგვარებაში შეიძლება აღმოჩნდეს პრიორიტეტული მრეწველობის აღნიშნული დარგის მწარმოებლებისთვის. ავეჯით საცალო და საბითუმო ვაჭრობა გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ქართული ავეჯის წარმოება, როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ევროკავშირთან ვაჭრობის გაფართოების პერსპექტიული დარგი, ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის დონორი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია 2017 წლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ავეჯის წარმოების სფერო მსუბუქი მრეწველობის მხოლოდ 1,9%-ს შეადგენს და შიდა წარმოებას ავეჯის ბაზრის მხოლოდ 15%-20% უკავია, მისი განვითარება სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ და საინვესტიციოდ მიმზიდველ მიმართულებად მიიჩნევა. დღეისათვის საქართველოში ავეჯის მწარმოებელი დაახლოებით 800 მცირე და საშუალო კომპანიაა რეგისტრირებული. მათი უმეტესობა მსგავსი ტიპის ბარიერებს აწყდება ფუნქციონიორების პროცესში. სწორედ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფო, საერთაშორისო დონორ ორგანიზიეცებთან ერთად აქტიურად არის ჩართული.

საკვანძო სიტყვები: ავეჯი; ავეჯის წარმოება; ბარიერები; ნედლეული; კვალიფიკაცია; სახელმწიფოს ხელშეწყობა.

Abstract: The article discusses the main obstacles that create significant barriers for Georgian furniture manufacturers. From the many factors named by business entities can be identified the main obstacles that most manufacturers face in the production process. Also given are the innovations and suggestions that can be found in solving existing problems as a priority for manufacturers in this sector of the industry. Furniture retail and wholesale are an important part of the global economy. Georgian furniture production, as one of the most important for the country's economy and a promising sector for the expansion of trade with the EU, has been in the center of attention of our country and foreign donor organizations since 2017. Although the furniture industry accounts for only 1.9% of the light industry and domestic production occupies only 15% -20% of the furniture market, its development is considered one of the priority and investment-attractive areas for the state. Today, there are about 800 small and medium-sized furniture manufacturers registered in Georgia. Most of them face similar types of barriers in the process of functionalization. The state, together with international donor organizations, is actively involved in solving these problems.

Keywords: Furniture; Furniture production; Barriers; Raw materials; qualification; State support.

შესავალი: ავეჯის წარმოების დარგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება განვითარებად ქვეყნებში. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნები აქტიურად ჩაერთვნენ ავეჯის წარმოებაში და საგრძნობლად შესამჩნევია მათი წინსვლა. შეიძლება გამოიყოს ბულგარეთი, ჩეხეთი, სერბეთი წარმოებული პროდუქციის მოცულობით, მაღალი ხარისხითა და ექსპორტის მნიშვნელოვანი წილით წარმოებულ პროდუქციაში. წარმოების პროცესში არსებული ბარიერებიდან მეწერმეთა უმეტესობა გამოყოფს - ნედლეულზე დაბალ ხელმისაწვდომობას, კვალიფიციური კადრების სიმცირეს, მართვის უნარების არასაკმარის დონეს და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულეს.

ძირითადი ტექსტი: ჩვენს ქვეყანაში არსებული ავეჯის მწარმოებლების უდიდესი უმრავლესობა ბაზარზე მცირე და საშუალო მეწარმეების სახით არის წარმოდგენილი. მეწარმეების უდიდესი ნაწილი მსგავსი პრობლემების წინაშე დგას და ეს პრობლემები ძირითადად წარმოებისთვის საჭირო

რესურსებზე დაბალ ხელმისაწვდომობას უკავშირდება. ეს რესურსები შეიძლება იყოს ნედლეული, სამუშაო ძალა, მანქნა-დანადგარები, ფინანსები და ა. შ.

მწარმოებლების უმრავლესობა ავეჯს იმპორტირებული მასალით ამზადებს. ხშირად ეს არის ნატურალურ ხესთან შედარებით იაფფასიანი მასალა, როგორიცაა „ემდეეფ“-ი ან „ლამინატი“. არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ იყენებენ ქართველი მწარმოებლები ძირითადად ლამინატს ან „ემდეეფ“-ს და არა ნატურალურ ხეს.

ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ხის ავეჯის მაღალი ღირებულების გამო ნაკლები მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე. ასევე, არასათანადოდ კვალიფიციური მუშახელი და არასაკმარისი მანქანა-დანადგარები. ასევე, ავეჯის მწარმოებლებს უჭირთ ხარისხიანი ქართული ხის მასალის და საჭირო ნედლეულის მოპოვება ადგილობრივ ბაზარზე.

1. **ნედლეულზე დაბალი ხელმისაწვდომობა** სექტორის ერთ-ერთი მთავარ გამოწვევად გვევვლინება. ავეჯის მწარმოებლებს უჭირთ ადგილობრივ ბაზარზე ქართული წარმოების ხის მასალის მოპოვება. კომპანიების განცხადებით, ადგილობრივი ნედლეული ხშირად არალეგალურად მოიპოვება და იყიდება, რაც მის ხარისხსა, ფასს და მიწოდებას არასტაბილურს ხდის. შესაბამისად, ავეჯის მწარმოებლებს უჭირთ მოიძიონ ხის მასალის ისეთი მწარმოებლები, რომლებიც სისტემატურად და დაბრკოლებების გარეშე მიაწვდიან ხარისხიან მასალას. მწარმოებლების აზრით ამის მიზეზი ტყის ჭრის გაუმართავი მექანიზმია.

გარდა ბაზარზე არსებული ნედლეულის დეფიციტისა, ხის მოპოვების აქამდე არსებული სისტემა დაბრკოლებას უქმნიდა ხარისხიანი ნედლეულის მოპოვებას, ხშირად ის ხეები, რომლის მოჭრის უფლებასაც სატყეო სააგენტო გასცემდა, უხარისხოა და არ არის გამოსადეგი სამრეწველო დანიშნულებისთვის. მოუწესრიგებელი სატყეო მეურნეობის რეესტრისა და ხე-ტყის უკანონო ჭრის პრობლემა აღნიშნულია ევროკავშირისა და GIZ-ის კვლევით ნაშრომშიც, რომლის თანახმადაც მწარმოებლები აღნიშნული პრობლემის გამო წარმოებაში ნაკლებად იყენებენ მყარი ხის მასალას. ამავე კვლევის რეკომენდაციებით, მთავრობის მიერ გასატარებელ სტრატეგიულ აქტივობებს შორის გამოიკვეთა გამართულად ფუნქციონირებადი ტყის

მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება და შესაბამისი აღსრულების მექანიზმის განხორციელება. ასევე, ქართველი მწარმოებლებისათვის ადგილობრივ ხარისხიან ხის მასალაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველყოფა. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა ახალი ტყის კოდექსია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 22 მაისს მიიღო. კოდექსის თანახმად, უქმდება სოციალური ჭრა და ხის მასალის შემენა, ორივე - საშეშედ და კომერციული მიზნებისთვის ე.წ. საქმიანი ეზოებიდან იქნება შესაძლებელი, ხის ჭრას კი მხოლოდ სატყეო სააგენტო და მისი კონტრაქტორები განახორციელებენ. სატყეო სააგენტოს მოსაზრებით, ეს მექანიზმი გააუმჯობესებს ავეჯის მწარმოებლების მდგომარეობას, რომელთათვისაც ხის რესურსის გაცილებით დიდი ასორტიმენტი გახდება ხელმისაწვდომი. თუმცა, ამ ეტაპისათვის არ არის დადგენილი რა რაოდენობის ხის მასალის მიწოდების პოტენციალი აქვს ქვეყნის ტყის რესურსს და ამ მაჩვენებლის განსაზღვრა მხოლოდ ტყეების ინვენტარიზაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი

2. **კვალიფიციური კადრების სიმცირე** - მწარმოებლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ უპირველეს პრობლემად პროფესიონალი კადრების ნაკლებობა დაასახელა. მწარმოებლების განცხადებით, რთულია შრომის ბაზარზე ავეჯის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკური უნარების მქონე პროფესიონალი კადრების დაქირავება, ასევე, ფაქტობრივარ არ არსებობს მაღალტექნოლოგიურ დანადგარებზე მომუშავე სპეციალისტები. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიები უცხოელ სპეციალისტებს იწვევენ ადგილობრივი კადრების გადასამზადებლად, რაც, ცხადია, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. არ არის განვითარებული თანამშრომლობა პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ავეჯის მწარმოებლები აღნიშნავენ, რომ პროფესიულ სასწავლებლებში ამჟამად არსებული პროგრამები არ შეესაბამება ავეჯის წარმოების თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებს. ამასთან, მათი აზრით არადამაკმაყოფილებელია კურსდამთავრებულების კვალიფიციური მომზადების დონეც. დამატებით პრობლემას ქმნის კომპანიაში მომზადებული/გადამზადებული თანამშრომლების შენარჩუნებაც. ავეჯის მწარმოებლების განცხადებით, სექტორი კადრების მაღალი შიდა დენადობით ხასიათდება. პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ დასაქმებულები ტოვებენ საწარმოებს და ქმნიან საკუთარ კომპანიებს, ხშირ შემთხვევაში მუშაობენ ინდივიდუალურად და

საქმიანობას რეგისტრაციის გარეშე ეწევიან. გარდა იმისა, რომ მწარმოებლებისთვის კადრების მაღალი დენადობა დაკავშირებულია გაცდენილი დროის და სხვა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხარჯებთან, ეს პროცესი არათანაბარ კონკურენციაში ამყოფებს რეგისტრირებულ მეწარმეებს ბაზარზე ახლადშემოსულ არარეგისტრირებულ მეწარმეებთან შედარებით, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადებს და, შესაბამისად, შედარებით იაფ პროდუქციას სთავაზობენ მომხმარებელს.

3. **მართვის უნარების არასაკმარისი დონე** - მწარმოებლების ნაწილის აზრით, ბიზნესის მართვის უნარების არასაკმარისი დონე მნიშვნელოვნად აფერხებს კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და არ აძლევს მათ შესაძლებლობას ეფექტურად გამოიყენონ არსებული საექსპორტო პოტენციალი. ავეჯის მწარმოებლების უმეტესობას, რომლებსაც, ძირითადად, პატარა ზომის კომპანიები წარმოადგენენ, არ გააჩნიათ საკმარისი უნარი, შეიმუშაონ საკუთარი კომპანიისთვის ბაზრის ტენდენციების და გამოწვევების შესაბამისი ბიზნეს სტრატეგია. ასეთი კომპანიების უმრავლესობას მართავს საწარმოს მფლობელი, მასში დასაქმებულია მხოლოდ რამდენიმე ხელოსანი, რომლებსაც არ აქვთ ბიზნესის ადმინისტრირებისა და მარკეტინგის საჭირო ცოდნა (ხშირად უცხო ენისაც), რაც ურთულებს მათ გასაღების ბაზრების მოძიებას და პოტენციურ უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარებას. ასევე, დაბალია მწარმოებლების ცნობიერება ავეჯის წარმოებისას ორიგინალური დიზაინის გამოყენების მნიშვნელობის შესახებ. კავშირი დიზაინერებსა და ავეჯის მწარმოებლებს შორის თითქმის არაა განვითარებული და ქართული კომპანიების ნაწილი ცნობილი დიზაინერების ნაწარმის ასლებს ამზადებს. დაინტერესებული მხარეების განცხადებით, დიზაინერებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაზრდიდა საქართველოში წარმოებული ავეჯის ღირებულებას და მის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. მათი აზრით, არსებობს საკმარისი პოტენციალი იმისა, რომ ქართველი ავეჯის მწარმოებლებისა და დიზაინერების თანამშრომლობის შემთხვევაში, ქართულმა ავეჯმა მოძებნოს საკუთარი ნიშა მსოფლიო ბაზარზე.

4. **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის** (გრძელვადიანი საბანკო სესხი, ლიზინგი) **დაბალი დონე** - მწარმოებლებს შორის ფინანსებზე

ხელმისაწვდომობის დაბალი დონე მაღალი პრიორიტეტის პრობლემად დასახელდა. დარგში კომპანიების დიდ უმრავლესობას მცირე და საშუალო მეწარმეები შეადგენენ, რომელთაც არ აქვთ საკუთარი უძრავი ქონება. საწარმოები დაქირავებულ ან იჯარით აღებულ ფართში აქვთ განთავსებული. ეს ორმაგი პრობლემის წინაშე აყენებს მათ: ერთი მხრივ, მწარმოებლები თავს იკავებენ დაქირავებული შენობა-ნაგებობების გასაუმჯობესებლად ინვესტიციების განხორციელებისგან, რაც გაზრდიდა მათი წარმოების ეფექტურობას და ღირებულებას; მეორე მხრივ, საკუთარი უძრავი ქონების არარსებობის გამო, შეუძლებელია საბანკო სესხის უზრუნველყოფა. სწორედ, სესხზე უზრუნველყოფის მოთხოვნა დაასახელა ფინანსებზე წვდომის ძირითად დაბრკოლებად კერძო სექტორის უმრავლესობამ. გარდა ამისა, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რაც ასევე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულეს უკავშირდება, მოძველებული მანქანა-დანადგარებია. კომპანიების უმრავლესობა ვერ ახერხებს მაღალტექნოლოგიური დანადგარების შეძენას, რაც ასევე აფერხებს წარმოების განვითარებას.

თავის მხრივ, ხის მასალის მწარმოებელ საწარმოებს ხარისხიანი ხის მასალის დამზადება უჭირთ, რადგანაც ტყიდან ხის გამოტანისა და დამუშავების პროცესი, სხვადასხვა ბიუროკრატიული მიზეზების გამო, დროში გაწელილია, რაც საბოლოოდ მასალის ხარისხზე აისახება. ამასთან ერთად, ხის მასალა, რომლის მოჭრის უფლებასაც სატყეო სააგენტო აძლევს კომპანიებს, ხშირად უხარისხოა, იმის გამო, რომ საქართველოში ხეების მოჭრა ძირითადად სანიტარული წმენდის მიზნით ხორციელდება და არ ხდება სამრეწველო დანიშნულებით ჭრა. ავეჯის წარმოების სფეროში ნაკლებია ხეზე მომუშავე სპეციალისტების რაოდენობა, შედეგად ბევრი მწარმოებლისთვის უფრო მარტივია იმუშაოს ლამინატი-ს ან ემდეეფი-ს მასალაზე, რადგანაც ეს პროცესი დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული.

ხის მასალის მოპოვების მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრას სექტორის წარმომადგენლები ახალი ტყის კოდექსის მიღებაში ხედავენ, რომელიც გულისხმობს საქმიანი ეზოების შექმნას რეგიონებში, სადაც სახელმწიფო თავად მოახდენს ხის მოჭრას და გამოტანას ტყიდან, რამაც უნდა შეამციროს ბიუროკრატიული ბარიერები და უფრო

გამჭვირვალე გახადოს ხის მასალის ტყიდან გამოტანის პროცესი. ამავდროულად გაუქმდება სოციალური ჭრა და ტყის მასალის შეძენა მოსახლეობას საშეშედ და მწარმოებელს კომერციული მიზნებისთვისაც მხოლოდ საქმიანი ეზოებიდან შეეძლებათ. მოხდება ხის მასალის დახარისხება კატეგორიების მიხედვით და შესაბამისი ფასის მინიჭება. ახალი კოდექსი 2020 წლის 22 მაისს პარლამენტში მესამე მოსმენით დამტკიცდა.

ხის მასალის დეფიციტის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა სამეურნეო ტყის პლანტაციების გაშენებაა. საქართველოში უკვე არსებობს კომპანია, რომელიც იტალიური ვერხვის ბიო პლანტაციას აშენებს. კომპანია, სს „მარანი“ დანიელი ინვესტორის მიერ საქართველოში შექმნილი კომპანიაა, რომელიც 2016 წლიდან ფუნქციონირებს და სამეგრელოს რეგიონში გაშენებული აქვს სანერგე მეურნეობა 160 ჰა ფართობზე. კომპანია მომავალში გეგმავს 1200 მიწის ჰექტარზე გააშენოს იტალიური ვერხვის პლანტაციები. პლანტაციის პირველადი დანიშნულება ბიო ენერგიის წარმოება იქნება, თუმცა, კომპანიის მეორე პროექტი, ავეჯის სექტორის მომარაგებას ითვალისწინებს, რადგანაც ვერხვი ავეჯის წარმოებაში ფართოდ გამოიყენება.

სწორედ იმის გამო, რომ საჭიროა ავეჯის საწარმოებლად ყველა საჭირო ნედლეულის სხვა ქვეყნებიდან შემოტანა, ადგილობრივი წარმოების ავეჯის ფასი საკმაოდ იზრდება და უჭირს კონკურენცია გაუწიოს დაბალფასიან იმპორტირებულ პროდუქციას.

სწორედ ამ მიმართულებით, მეწარმეთა ხელშეწყობის, მწარმოებლურობის დონის ამაღლების, საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ შეიქმნა. „აწარმოე საქართველოში“ მთავარი მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმეების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნა და არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა. ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც სააგენტო სთავაზობს მწარმოებელს, არის საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის ამოქმედება, რომელიც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კიდევ ერთი კომპონენტია გათვლილი იმ ბენეფიციარებზე, რომელთაც აქვთ კარგი ბიზნესიდეა, პირადი ფინანსებიც ხელს უწყობთ, თუმცა არ გააჩნიათ სესხის უზრუნველყოფისთვის საკმარისი თანხა და შესაბამისად, ბანკისგან

სესხს ვერ იღებენ. სწორედ ამ დროს ჩაერთვება სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს სესხის გარანტიას 70%-მდე.

მცირე და საშუალო ბიზნესის ერთ-ერთ გამოწვევად უზრუნველყოფის არქონა გვევლინება. სწორედ ამიტომ შეიქმნა ეს მექანიზმი, რო,ელსაც კარგად აიტაცებს კერძო სექტორი. სესხის აღების ციკლი სტანდარტულია - ბენეფიციარი მიდის ბანკში, ბანკი აწვდის ინფორმაციას სააგენტოს, რომლის მიხედვითაც მოწმდება, რამდენად ჯდება პროექტი კრიტერიუმებში. სააგენტოს მხრიდან თანხმობის შემდეგ, ბანკი თამამად გასცემს სესხს მოსარგებლეზე. ამგვარად, ბიზნესის მომავალს და სიცოცხლისუნარიანობას ბანკი ადგენს, სააგენტო კი გამჭვირვალე და ტექნიკურად კარგად გამართული პროგრამის საშუალებით ამოწმებს ინფორმაციას და ამასთანავე, მკაცრ მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის შესრულებაზე. „სააგენტოში ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული კომპონენტია, რომელიც ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და ტექნიკურ-სატრენინგო დახმარებას გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესმენებისა და ინვესტორების მიერ ბანკებიდან აღებული სესხის 10%-ს ორი წლის განმავლობაში სააგენტო ფარავს. აღნიშნული კონკრეტულად წარმოების და სასტუმროების ბიზნესზე გათვლილი მხარდაჭერაა.“ მოცემულ ურთიერთობას არეგულირებს საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“. აღნიშნული რეფორმა მოიცავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის თანამედროვე საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონის შემუშავებას. კანონის მიხედვით საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონის მიზანია: პროექტების ეფექტიანობის ზრდა; საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება ახალი საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნით ან/და საჯარო მომსახურების მიწოდებით ან/და არსებულის გაუმჯობესებით; კერძო დაფინანსების მოზიდვა; საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდა; საჯარო და კერძო სექტორებს შორის რისკების განაწილება; კერძო პარტნიორის ნოუ-ჰაუს გამოყენება.

დასკვნა: ავეჯის წარმოების ინდუსტრიის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის, განვითარების ხელშესაწყობად, სახელმწიფო დარგის სრულყოფილ განვითარებამდე უნდა ახორციელებდეს

მეწარმეების მხარდამჭერ ღონისძიებებს ისეთი მიმართულებებით როგორიც არის: ფინანსური ხელშეწყობა, კვალიფიციური კადრების მომზადება, თანამედროვე მანქანა-დანადგარებზე ხელმისაწვდომობა, ადგილობრივ ნედლეულზე ხელმისაწვდომობა, იმოპრტულ ნედლეულზე საშეღავათო გადასახადების დაწესება, გარკვეული ტიპის ადგილობრივი საშეღავათო გადასახადები, ექსპორტის სტიმულირება, ადგილობრივი წარმოების ავეჯის პოპულარაზიცია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მწარმოებლების ცნობადობის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილების მიღების ხელშეწყობა, მსოფლიო წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არსენიშვილი ნ., ჩხაიძე ე. - Georgian Furnitire Potential In The EU Market
2. - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi
3. Made in Georgia ევროპაში - https://forbes.ge/made-in-georgia-evropashi/
4. SME DEVELOPMENT AND DCFTA IN GEORGIA
5. https://eu4business.ge/news/eu4business-project-helped-up-to-100-georgian-smes-connect-in-business-clusters-for-better-access-1/
6. TRADEMAP.ORG - https://www.trademap.org/Bilateral_TS.aspx
7. აწარმოე საქართველოში, წლიური ანგარიში 2019 - https://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5e9ff7a844a85-Annual-Report-2019-small-pdf.pdf
8. პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასება - https://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf
9. საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა - https://www.eesc.lt/uploads20version%20FINAL.pdf
10. ხე-ტყის მრეწველობის პერსპექტივები საბაზრო ურთიერთობების პირობებში - http://geoeconomics.ge/?p=3873

ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის წინააღმდეგობები

ნინო ჯარიაშილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
Nino Jariashvili - Georgian Technical University
PhD student
nino_jariashvili@gtu.ge/njariashvili@cu.edu.ge

რეზიუმე: გლობალური დათბობა, რომელიც არის მთელი მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის საფიქრალი, გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორების გამო. ამათგან ყველაზე მნიშნელოვანი ნაწილი ეკუთვნის ნარჩენებს, რომლებიც ჰაერში, მიწასა თუ წყალში არის გაფანტული და ამავდროულად მათგან გამოიყოფა სხვადასხვა შესწავლილი და ზოგიც დღემდე შეუსწავლელი მავნე ნივთერებები იმის მიხედვით თუ რა წარმოშბის ან რა შემადგენლობის არიან მოცემული ნარჩენები. საკითხს გადავყავართ ახალ განზომილებაში, რომელიც იწვევს ბუნებრივ სტიქიებს, სხვადასხვა ადამიანურ თუ ცხოველურ ვირუსებს, კლიმატისა და სეზონების ცვლილებასა და სხვ. არაერთი წარმატებული ქვეყანა განიხილავს ნარჩენების გადამუშავების ეროვნულ პოლიტიკასა და მათი გადამუშავების საკითხებს. ზოგიერთი ქვეყანა ნარჩენების იმპორტირებასაც ახდენს საკუთარ ქვეყანაში ახალ-ახალი საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. ამ მხრივ საქართველო შედარებით ახალბედა ქვეყანაა, რომელსაც სჭირდება საკუთარი ეროვნული პოლიტიკის განვითარება და მოცემული საკითხის საფუძვლიანი შესწავლა-მოგვარება სექტორული წარმოების განვითარების მიმართულებით. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია წარმოადგენს საქართველოში არსებულ ზოგად მიმოხილვას და შესაბამისად გთავაზობთ გამოსავალს ჩვენი პროექტის „ნიჭერების ზეიმის“ სახით, რაც ინოვაციური იდეებითა და გამოგონებებით მიიღწევა ნარჩენების შეგროვების, მისი დახარისხებისა და უტილიზაციის სფეროში. ეს პოლიტიკური მიდგომა, რომლის მთავარი კურსი არის მორალური გადაწყვეტილებები ბუნებისა და ადამიანთა კეთილდღეობის სასიკეთოდ, პარიზის სამიტის 2025 წლის შეხვედრაზე საქართველოს სახელმწიფოს დადებითად წარმოაჩენს.

საკვანძო სიტყვები: ნარჩენების შეგროვება, ნარჩენების დახარისხება, ნარჩენების უტილიზაცია, მორალური გადაწყვეტილებები, მორალური განათლება

Abstract: Global warming, which is a challenge to global economic policy, is caused by a variety of factors. The waste of the most important part of them is scattered in the air, land or water and at the same time they are studied differently and at the same time the waste from them. The issue is a new dimension that is causing natural disasters, various human or animal viruses, climate and seasonal changes, and so on. Many successful countries are considering national waste recycling policies and recycling issues. Some countries also import waste into their own country to produce new goods and services. In this regard, Georgia is a relatively beginner country that needs to develop its own national policy and thorough study of this issue for the development of sectoral production. The information provided by us is a general overview of Georgia and therefore offers a solution in the form of our project " Talent Celebrating “, which is achieved through innovative ideas and inventions in the field of waste collection, sorting and disposal. This political approach, the main course of which is moral decisions for the well-being of nature and humanity, positively represents the situation of Georgia at the 2025 Paris Summit.

Key words: Waste collection, Waste sorting, Waste disposal, Moral solutions, Moral education

შესავალი: საქართველოში საჭიროა მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული კურსის აღება. ჩვენი სტატია წარმოადგენს ამ კურსის ნაწილის განხილვას რაც ნარჩენების შეგროვება, დახარისხებასა და უტილიზაციას ანუ რეციკლირებას ემსახურება. ამ მხრივ, მეცნიერთა აზრით, ქართული ეკოლოგია უდიდეს საფრთხეს უქმნის ეკონომიკასა და მის მთავარ ეკონომიკურ აგენტ-ადამიანს, რომელსაც როგორც მომხმარებელსა და მწარმოებელს სჭირდება უსაფრთხოების გარკვეული წესების შემუშავება სახელმწიფოსა და მის ირგვლივ არსებული სოციუმის მიერ.

დღევანდელი ე. წ. ყავისფერი ეკონომიკა სხვადასხვა განზომილების დაბინძურებას იწვევს. ეს ეხება სასოფლო სამეურნეო ან არასასოფლო სამეურნეო, ურბანულ დასახლებებს, ასევე მდინარეებსა და ცყალსაცავებსაც კი. ჰაერში გაფანტული მომწამვლელი ნივთიერებები, რომლებიც ნარჩენებისაგან აორთქლებულ გაზებსა და მავნე ნივთიერებებს წარმოქმნის კაცობრიობის ყველაზე საშიში იარაღია. ვერანაირი ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური კეთილდღეობა ვერ მიიღწევა ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გარეშე. გლობალური დათბობა, რომელიც საყოველთაო პრობლემას წარმოადგენს მსოფლიო თანამეგობარი ქვეყნებისათვის, გახდა საერთო მიზეზი ქვეყნების თანამშრომლობისა და ერთმანეთზე ზრუნვის თვალსაზრისით. არსებობს მსოფლიო წამყვანი ქვეყნების გამოცდილებები.

მოცემული მეთოდების გათვალისწინებით საქართველოს შეუძლია უფრო იოლად გადავიდეს მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის რელსებზე.

ყველაფრის სათავეს წარმოადგენს „ბრუტლანდის კომიტეტზე“ შემუშავებული წინადადებები და დასკვნები, რომელიც გახდა მიზეზი 2015 წლის პარიზის შეთანხმებისა და ჩამოყალიბდა იგი გარკვეული პუნქტებისა და ვალდებულებების სახით. მოცემული სამიტის მიხედვით ყოველმა ქვეყანამ უნდა შეიმუშავოს საკუთარი პროგრამა, სადაც ნარჩენების გადამუშავებას უდიდესი ყურადღება ენიჭება. ჩვენი პროგრამის საშუალებით შესაძლებელია ჩვენი საავტორო პროგრამის „ფიზიოკრატიულ-კეინზიანურ-შუმპეტერისეული თეორის“ (ჩვენთვის იგი „3-დე თეორიას“ წარმოადგენს - ნ. ჯ.) განხორციელება მოცემული, რასაც ნარჩენების უტილიზაციის სახით წარმოვადგენთ მოცემულ სტატიაში „ნიჭიერების ანუ ტვინების ზეიმის“ სახელწოდებით.

ძირითადი ტექსტი: საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად დიდი დილემის წინაშე დგას. ეს დილემა შეიძლება შემდეგი კითხვის სახით ყალიბდება. რა უნდა გააკეთოს ქვეყნის მთავრობამ იმისათვის, რომ ადამიანთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა ჰქონდეს მაშინ, როცა საბაზრო ეკონომიკა, როგორც თავისუფალი არჩევანისა და წარმოების არეალი უამრავ ნარჩენებსა და ჭარბ მოხმარებას იწვევს?

მოცემული საკითხი უნდა განვიხილოთ ეროვნულ, რეგიონულ და ასევე ადგილობრივ დონეზე, სადაც ნარჩენების გადამუშავების/უტილიზაციის თემის არსებობა არის და ყოველ დღიურად უფრო სერიოზულ სახეს იღებს სხვადასხვა ქვეყნებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თანამედროვე საზოგადოება აღარ საჭიროებს იმის მტკიცებას, რომ ბუნება და ეკოსისტემა, როგორც ჩვენი მასპინძელი რესურსი არის უპირველესი, რომელიც საჭიროებს სათანადო მოვლასა და პატრონობას მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი კანონზომიერებების გათვალისწინებით. საკითხი მწვავედ დგას დღის წესრიგში და საჭიროებს სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას.

ჩვენ მოვიპოვეთ საქართველოში, ბათუმსა და რუსთავში არსებული ნარჩენების 2020 წლის სტატისტიკური მონაცემები, სადაც წარმოდგენილია

ნარჩენების შემდეგი სახეები, როგორიცაა: ორგანული ნარჩენები, პლასტმასა, ქაღალდი და მუყაო, მინა, სახიფათო ნარჩენები და სხვადასხვა ნარჩენები.



წყარო: Heinrich Boll Stiftung, თბილისი, სამხრეთ კავკასია[11]

მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით მოცემული ნარჩენები არ უნდა აღემატებოდეს 10 %-ს, მაშინ როცა ნარჩენების შეგროვება, დახარისხება, შესაბამის პუნქტამდე მიტანა, მათი წინასწარი დამუშავება და ბოლოს გადამუშავებაა ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საზრუნავი, რაც ფინანსებთან არის დაკავშირებული და რომლის არასათანადო პოლიტიკის გამო ეს ხარჯები უფრო და უფრო იზრდება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია რომ სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო, უამრავ სოფელში ნაგავსაყრელი ხეობებსა და მდინარის კალაპოტებში უკონტროლოდ იზრდება. ამავდროულად, მთავარ გზებზე, სადაც დიდი სატვირთო მაქანები (და ასევე პატარა ავტომობილები) გადაადგილდებიან შეინიშნება გზისპირა უკონტროლო ნაგავსაყრელების არსებობა, რომელსაც ჰორიზონტალური განფენილობა აქვს კილომეტრების მანძლზე (ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ამ მხრივ მცხეთა-მთიანეთის სამხედრო გზაა სადაც უამრავი სატვირთო მანქანა გადაადგილდება ე. წ.

[11] https://ge.boell.org/ka/2020/06/25/narchenebis-martva-sakartveloshi

ვლადიკავკასის მიმართულებით. მოსახლეობა ამის გამო უდიდეს შეშფოთებას გამოთქვამს ჩვენს მიერ ჩატარებული ზეპირ გამოკითხვაში).

საფეიქრო მრეწველობაში არსებული პრობლემა არც თუ ისე ბევრისათვისაა ცნობილი. მაგალითად, ქსოვილი, რომელიც მზადდება სინთეტიკური ბოჭკოსაგან არ გადამუშავდება და საფრთხეს უქმნის კლიმატის ცვლილებას. ასევე ამ დარგში მომუშავე პერსონალი არ არის დაცული უსაფრთოებისაგან, ისინი, უმეტესად ქალები, უამრავ დაავადებებს იღებენ. მამაკაცები უფრო ნაკლებად არიან მოცემულ სფეროში დასაქმებული.

საფეიქრო ინდუსტრია ნეგატიურად ზემოქმედებს ასევე გარემოზე. სამწუხაროდ, იგი იწვევს გენეტიკურ ცვლილებებსა და ონკოლოგიურ დაავადებებს, ასევე ალერგიულ და ჰორმონალურ დარღვევებს. ტანსაცმელი და საოჯახო თეთრეული ან ფარდები ძირითადად ან ნახევრად პლასტიკურ ნივთიერებათა ნაზავს წარმოადგენს. სინთეტიკური ბოჭკოს ტანისამოსი თითქოს უფრო იაფია, თუმცა გვინდა ვაჩვენოთ მისი უარყოფითი ზეგავლენა კლიმატზე შემდეგი სქემით.

მონაცემებიდან გამომდინარე საქართველოს პირველი პრობლემა ნარჩენების შეგროვება და მათი დახარისხება, მათ სათანადო პუნქტამდე მიტანა და ბოლოს მათი გადამუშავებაა. არადა ჩვენი ნარჩენები შესაძლოა ქვეყნის საუკეთესო რესურსად იქცეს მისი ეკონომიკური ზრდის განვითარების თვალსაზრისით, რომელიც აუცილებლად მოიცავს მწვანე ნიშნულის გათვალისწინებას და ყავისფერი ელემენტების ამოღებას (ნინო ჯარიაშვილი).

როგორც ირკვევა, თავად მუნიციპალიტეტები ნაკლებად არიან ამ სფეროზე ინფორმირებული და არ გააჩნიათ შესაბამისი ბერკეტები მოცემული გამოწვევის გამკლავებისათვის. ეს ყველაფერი გვინდა თუ არ გვინდა ნეგატიურად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობაზე. თუ კარგად გამოვიკვლევთ დავინახავთ, რომ ადამიანთა უმეტესობა დღეს-დღეობით უამრავ თანხას ხარჯავს სააფთიაქო ქსელებში მათი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესყიდვაზე. როგორ შეიძლება ეს ფაქტორი კეთილდღოების მაჩვენებელად ჩავთვალოთ

ან/და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის სასურველ კომპონენტად განვიხილოთ.



წყარო: [12]

საქართველოს 2030 წლისათვის შესასრულებელი აქვს ნარჩენების მართვის სტრატეგიული ამოცანები. ეს ნაკისრი ვალდებულებები მოცემული გვაქვს ცხრილის სახით.

საქართველოს მიერ მისაღწევი მიზნები

ნარჩენების მართვის სტრატეგიის (2016-2030) მიხედვით, საქართველომ ქაღალდის, პლასტმასის, მეტალისა და მინის რეციკლირების შემდეგ მინიმალურ მიზნებს უნდა მიაღწიოს.

გადასამუშავებელი ნარჩენი	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
ქაღალდი	30%	50%	80%
მინა	20%	50%	80%
მეტალი	20%	50%	80%
პლასტმასა	30%	50%	80%

ჩვენდა სასიხარულოდ, 2016-2030 წლების საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია უკვე ჩამოყალიბებულია, ასევე არსებობს ნარჩენების მართვის გეგმაცა და კოდექსიც. ასევე იკვეთება პრინციპი, რომ საქართველო უნდა გახდეს ქვეყანა, რომელიც ორიენტირებული იქნება და

[12] https://ge.boell.org/ka/node/3823

შესაბამის კურს აიღებს ნარჩენების პრევენციასა და მის რეციკლირებაზე/უტილიზაციაზე. მაგრამ როგორ? რა მექანიზმებით? ჯერ-ჯერობით ჩვენ ვერსად ვნახეთ.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით (2016-2030) განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების" შესაბამისი მიზნები

გადასამუშავებელი ნარჩენი	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
ბატარეები	20%	50%	80%
ზეთები	50%	75%	90%
შესაფუთი მასალები	40%	75%	90%
ელექტრო მოწყობილობები	20%	50%	80%
საბურავები	50%	70%	90%
აკუმულატორები	60%	80%	90%
ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები	20%	50%	80%

წყარო: ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030)

წყარო:[13]

ამისათვის სასურველია წამახალისებელი პოლიტიკის არსებობა, ხარჯების შემცირების მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, სახელმწიფოს მხრიდან სრული მხარდაჭერა როგორც საგრანტო ასევე საკრედიტო ვალდებულებით, იმისათვის რომ შეიქმნას გადამამუშავებელი საწარმოები და ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ადამიანთა თვითშეგნების ამაღლებაზე, ჯანმრთელობაზე და უსაფრთხო გარემოზე.

არანაკლებ დამაფიქრებელია სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების თანამედროვე მიდგომები, რომელსაც სამწუხაროდ არავინ აკონტროლებს. 2022 წლის 21 აპრილს, სოფლის მეურნეობის განვითარების ფეისბუკ ჯგუფში, გამოქვეყნდა საქართველოში კიბოს ახალი შემთხვევების გამოვლენის კატასტროფული მაჩვენებლები ე. წ. კიბოს პოპულაციური რეგისტრაციის მონაცემები ასაკის მიხედვით, რომელიც სწორედ სოფლის მეურნეობის არასწორ განვითარებაზე მიგვანიშნებს. დამაფიქრებელია

[13] https://ge.boell.org/ka/2020/06/25/narchenebis-martva-sakartveloshi

ეკონომიკურ აგენტის-ადამიანის უსაფრთოების ღონისძებების არ არსებობა საქართველოში. არც მომხმარებელი და არც მიმწოდებელი არ არის დაცული შხამქიმიკატების, მფრქვეველების, პესტიციდების და სხვა გამოუკვლეველი ნივთერებების ზემოქმედებისაგან. მეტიც, ჩვენს ორგანიზმში მოხვედრილი მომწამვლელი ნივთიერებები ისევ ბუნებას უბრუნდება და ბუნებაში ჰაერის, წყლისა და ფეკალური მასების გადაადგილებით ანტარქტიდის პინგვინებში იქნა აღმოჩენილი იგივე პესტიციდები.

კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით

(ერთეული)

	2016			2017			2018			2019			2020		
ასაკი	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი
0-4	46	24	22	38	17	21	29	13	16	34	18	16	39	18	21
5-9	24	11	13	19	8	11	29	11	18	28	11	17	18	7	11
10-14	29	12	17	25	14	11	21	12	9	27	11	16	32	15	17
15-19	46	18	28	64	44	20	38	22	16	50	27	23	37	21	16
20-24	97	67	30	81	59	22	100	59	41	88	50	38	76	50	26
25-29	164	115	49	173	118	55	161	118	43	165	113	52	131	90	41
30-34	285	225	60	249	177	72	264	198	66	285	198	87	225	162	63
35-39	352	242	110	346	266	80	321	227	94	375	273	102	307	214	93
40-44	555	405	150	496	348	148	465	341	124	546	413	133	429	311	118
45-49	706	474	232	662	460	202	686	483	203	669	454	215	572	377	195
50-54	1 094	695	399	940	579	361	973	595	378	893	517	376	737	455	282
55-59	1 427	826	601	1 344	717	627	1 355	757	598	1 379	759	620	1 146	603	543
60-64	1 526	780	746	1 544	811	733	1 652	856	796	1 664	872	792	1 475	812	663
65-69	1 605	795	810	1 500	724	776	1 611	821	790	1 711	822	889	1 520	741	779
70-74	904	423	481	916	447	469	1 054	510	544	1 289	631	658	1 215	559	656
75-79	1 106	536	570	1 043	530	513	1 023	514	509	915	439	476	660	288	372
80-84	519	270	249	527	284	243	581	288	293	645	376	269	536	253	283
85-89	191	105	86	187	97	90	179	104	75	185	102	83	160	85	75
90-94	46	33	13	34	22	12	40	31	9	57	33	24	49	30	19
95-99	2	1	1	5	3	2	8	6	2	8	8	-	8	3	5
100-104	2	1	1	-	-	-	1	1	-	2	2	-	-	-	-
სულ	**10 726**	**6 058**	**4 668**	**10 193**	**5 725**	**4 468**	**10 591**	**5 967**	**4 624**	**11 015**	**6 129**	**4 886**	**9 372**	**5 094**	**4 278**

შენიშვნა: ეროვნული პოპულაციური რეგისტრის მონაცემები.

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, მრეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

წყარო: [14]

მოცემული მონაცემები გამოწვეულია შხამქიმიკატებისა და სხვადასხვა არასასურველი, ჯანმრთელობისათვის და ბუნებისათვის საზიანო პესტიციდების, ჰერბიციდების გამოყენებით სოფლის მეურნეობაში. შედეგად მიღებულ მოწამლულ საკვებს ყოველდღიურად მიირთმევს საქართველოს მოსახლეობა, რაც უფრო და უფრო ზრდის მოსახლეობის შემცირებისა და გაღატაკების რისკებს. არაჯანსაღი საქონელი

14 https://www.facebook.com/photo/?fbid=1133207907518713&set=gm.5326451127474939

და მომსახურება ვერასოდეს მოგვცემს ე. წ. სანატრელ კეთილდღეობას (ნინო ჯარიაშვილი).

თუ კიდევ უფრო კარგად შევისწავლით საქართველოში არსებულ სიტუაციას დაავადებულთა თვალსაზრისით, ეს არის შედეგი დაბინძურებული ჰაერის, მოწამლული წყლის, რაც სწორედ ბიო და აგრო წარმოების განვითარების სტრატეგიების დაუყოვნებლივ შეცვლაზე მეტყველებს. საშინელი ნივთიერების, ტყვიის შემცველობა ჰაერსა და სხვადასხვა სათამაშოებსა და საკვებში უდიდეს რისკს უქმნის ყველა საქართველოს მოსახლეს.

ეს წინააღმდეგობები არ არის იოლად დასაძლევი. ამ სექტორული მიმართულებებით უნდა შეიქმნას ცალკეული დარგებისა და სექტორების სამოქმედო გეგმა და ვალდებულებები. საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების პრაქტიკის გამოყენებითა და ქართველი ნოვატორ-გამომგონებლების ხელშეწყობით უნდა მოხდეს ახალი სამეწარმეო პოლიტიკის ჩამოყალიბება.

ჯობს კაცობრიობამ საზოგადოებრივი და პირადი საყოფაცხოვრებო, ჯანმრთელობისა და სხვა პრობლემები გამოწვევად გადააქციოს და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში თავად მიეხმარონ სახელმწიფოს. საჭიროა ფიქრი და მოქმედება ჩავანაცვლოთ სამომხმარებლო და საწარმოო დონეზე ერთჯერადი გამოყენების საგნები მრავალჯერადი საგნებით. ავითვისოთ ახალი ენერგიები და რესურსები. საჭიროა სრულიად ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, ნარჩენების კიდევ უფრო შემცირება და თავისთავად არსებული ნარჩენების შეგროვება და შემდეგ გადამუშავება.

ყველა ზემოთ თქმული მოსაზრება მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესია, ამიტომ გვჭირდება „ჭკვიანი ტვინების“ მოწვევა მთელი მსოფლიოს მასშტაბითა. აუცილებელია საქართველოს მასშტაბით არსებული „ტვინების“ შემოკრება, რომ ერთობლივი ძალისხმევითა და მონდომებით გავარღვიოთ ახალი ეკონომიკური განვითარების განზომილება, რომელიც იქნება ადამიანის სიღარიბის აღმოფხვრასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებული „მწვანე ეკონომიკური პოლიტიკა.“ ვერაფერს მივაღწევთ, თუ განათლების სისტემას არ მივანიჭებთ ამ მხრივ უმთავრეს პრიორიტეტს.

კომპანიის დასახელება	საქმიანობა
შპს "L.M.Y"	პლასტიკის ნარჩენების შეგროვება, დამუშავება და ექსპორტზე გატანა
შპს "გეგმეტი"	ალუმინის ჯართის გადამუშავება
შპს "J-T-A Group"	ალუმინის ჯართის გადამუშავება
სოციალური მეწარმეების ცენტრი "მწვანე საჩუქარი"	ქაღალდის ნარჩენების შეგროვება
შპს "Georgian Paper Production"	ქაღალდის ნარჩენების რეციკლირება
შპს "ფაბრიკა 1900"	ქაღალდის ნარჩენების შეგროვება
შპს "ქაღალდი +"	ქაღალდის ნარჩენების რეციკლირება
შპს "სუფთა სამყარო"	ქაღალდის, პლასტიკის ბოთლების და მინის ნარჩენების შეგროვება, დამუშავება და ექსპორტი
შპს "კრიალა"	ქაღალდის ნარჩენების რეციკლირება
შპს "ჯეოპლოიმერი"	პლასტიკის ნარჩენების რეციკლირება
შპს "ჯორჯიან პეტ პლასტ მენეჯმენტი"	პლასტიკის ბოთლის ნარჩენების შეგროვება, დამუშავება და ექსპორტზე გატანა
შპს "ბოყვა"	პლასტიკის ნარჩენების რეციკლირება
შპს "Tbilisi Paper Industry"	ქაღალდის ნარჩენების შეგროვება
სს "მინა"	მინის ნარჩენების რეციკლირება
შპს "ნეო პრინტი"	ქაღალდის ნარჩენების რეციკლირება
ინდ. მეწარმე "სოსო ჯიჯიშვილი"	პლასტიკის ნარჩენების რეციკლირება
შპს "დამაკო"	პლასტიკისა და რეზინშემცველი ნარჩენების რეციკლირება
შპს "უნადი"	პლასტიკის ნარჩენების რეციკლირება
შპს "პოლიმერი"	პლასტიკის ნარჩენების რეციკლირება
ინდ. მეწარმე "იზოლდა ლეკვინაძე"	ქაღალდის ნარჩენების შეგროვება

მცირე საწარმო "პლასტიკის ნაკეთობათა წარმოება"	პლასტიკის ნარჩენების რეციკლირება
კოოპერატივი "ალუმინი"	ალუმინის ქილების ნარჩენების რეციკლირება
შპს "სევერ"	ქაღალდის და პლასტიკის ბოთლების ნარჩენების შეგროვება და ექსპორტი
შპს "ზუგო"	პლასტიკის შესაფუთი მასალების რეციკლირება
შპს "რონი"	ქაღალდის ნარჩენების შეგროვება და რეციკლირება

წყარო:[15]

სადაც ნებისმიერი საკითხის კვლევა მწვანე განზომილების კუთხიდან უნდა იყოს წარმართული და გაშუქებული. საჯარო და კერძო სკოლებში აქტიურად არის მოცემული საკითხები სხვადასხვა საგანთან სინთეზში, თუმცა ყველაზე მთავარი არის კვლევები, რომლებსაც სჭირდება დაფინანსება, როგორც სკოლებში ასევე უნივერსიტეტებში. მეცნიერებას ამ მხრივ მხარდაჭერა სჭირდება. მხოლოდ სკოლის განათლება არ მოგვცემს შედეგს.

ჩვენი პროექტი, სადაც მოვიაზრებთ ქართველი და არაქართველი მოსახლეობის შეკრებას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ან შესაძლოა მოხალისე უცხოელებიც იყვნენ, ისტორიაში უნდა შევიდეს „ნიჭიერების ზეიმით", რომლის საშუალებითაც არაერთი ჭკვიანი ფაბრიკა-ქარხანა გაიხსნება გამოგონებებისა და ინოვაციების რეალიზაციისათვის. მოცემული საკითხი უფრო ფარტოდ გვაქვს განხილული ჩვენს სადოქტორო ნამუშევარში.

მოცემული სიახლეები არ გამორიცხავს საზღვარგარეთულ მწვანე სიახლეებს, რომლებიც პრაქტიკაში უკვე კარგად გამოიყენება. ჩვენთვის დასამახსოვრებელია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონება ე. წ. „ყავისფერი ხის" კონსტრუქციის სახით, რომელიც გარკვეული მასშტაბის მანძლზე იწოვს /შთანთქავს ნახშიროჟანგსა და მავნე ნივთიერებებს ჰაერში, სპეციალურ ფირფიტებში ახდენს მის დაკონსერვებას და გადამუშავების

[15] http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/levanzazadze.pdf

საშუალებით შეიძლება მისი გამოყენება გაზირებული სასმელების მისაღებად და მრავალი სხვა საწარმოსათვის ახალი ენერგიის წყაროდ გამოყენება.

ჩვენს მიერ მოძებული კომპანიები საქართველოში ნარჩენების შეგროვება გადამუშავების სფეროს ახორციელებენ. თუმცა მოცემული კომპანიები არასინთეზურ-ორგანულ ნარჩენებს არ აწარმოებენ თუ არ ჩავთვლით მინასა და ქაღალდს. მოცემული ჩამონათვალი არასრულია, რადგან სხვა კომპანიებზე ინფორმაციები საჯაროდ არ არის მოცემული. დღეს-დღეობით ბევრი ადამიანია დაკავებული ნარჩენების გადამუშავებით, რასაც სახელოვნებო სფეროში ან სამკაულის დასამზადებლად იყენებენ. ჩვენს მიერ შეფასებული ბიზნეს გეგმები, რომელიც წარმოდგენილი იყო სკოლის მასწავლებლების მიერ, სპეციალური საგანმანათლებლო კურსის სამეწარმეო განათლებისა და ბიზნესის წერის გავლის შემდეგ (პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯუნიორ-ეჩივმენტ საქართველოს“ მიერ, 2021 წლის ნოემბერში, სადაც მე ვიყავი ბიზნეს გეგმების შემფასებელი პირი.), უამრავ ეკომეგობრულ იდეაზე იყო დაფუძნებული. ბიზნეს გეგმის წერის დროს ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ ნარჩენების სასიკეთოდ გამოყენების გამოცდილება უკვე აქვთ მათი რეალიზაციასაც წარმატებით ართმევენ თავს.

აქვე გვინდა მოვიშველიოთ ნარჩენების განთავსების მსოფლიო გამოცდილების 5 მეთდი: 1. გადამუშავება; 2. ცხოველთა კვება საყოფაცხოვრებო შესაბამისი ნარჩენებით, 3. ე.წ. ბიოლოგიური გადამუშავება კომპოსტირების სახით; 4. დაწვა, ფერფლად ქცევა; 5. ნაგავსაყრელების განთავსება[16]

და ბოლოს, ნარჩენები, რომელთა კლასიფიკაციაც არაერთგვაროვანი და რთული საკითხია საჭიროებს ცალკე ინსტიტუციების ჩამოყალიბებას სადაც მორალური წარმოების ასპექტების გათვალისწინებით მისი, როგორც გამოუყენებელი სიმდიდრის ათვისებით, ეკონომიკურ პოლიტიკაში უნარჩენო წარმოების სრულყოფამდე მივალთ.

---

[16] https://www.paulsrubbish.com.au/5-types-of-waste-disposal-methods/

დასკვნა: საქართველოში არსებული ნარჩენების ნახევარზე მეტი ვერ კონტროლდება. ამ მხრივ ძალიან რთული და საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს.

1. არ გაგვაჩნია სათანადო მეცნიერული კვლევები და მხარდაჭერა სახელმწიფოს მიმართ.
2. მოცემული გადამამუშავებელი პოლიტიკა არ არის სრულყოფილი მუნიციპალიტეტების დონეზე.
3. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საზოგადოება ხვდება დღევანდელ არასახარბიელო მდგომარეობას ნაგავსაყრელებთან მიმართებაში, სოფლად და ქალაქად მაინც არ არსებობს მორალური გადაწყვეტილებები, ნარჩენების სათანადო ადგილზე განთავსებისათვის და ეს სახელმწიფო პოლიტიკის არასწორი კურსით არის გამოწვეული.
4. თუ უფრო მეტად დაიხვეწება საკანონმდებლო ბაზა და მოხდება ადამიანთა დასაქმება ამ სფეროში რომელიც ნაგავსაყრელების თემას პოპულარიზებას გაუკეთებს და ნარჩენების მენეჯმენტის თემად წარმოადგენს, ეს გამოწვევა ქვეყნისა და მოსახლეობისათვის სასიკეთო იქნება დასაქმებისა და შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენის მიზნით.
5. ჩვენ სტატიაში განხილული გვაქვს პროექტი, რომელიც ნიჭებისა და ტვინების თავმოყრას ემსახურება. ეკონომიკის აკადემიკოსის, გიორგი მალაშხიას თქმით ნიჭები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სხვა ე. წ. „მუქთა სიმდიდრეს“ წარმოადგენს. შესაბამისად უფასოდ ბოძებული ძღვენი ჩვენ ერთად უნდა შევკრიბოთ და ახალი ინოვაციებითა და გამოგონებების საშუალებით მოვახდინოთ ქართული ეროვნული ნარჩენების მენეჯმენტის საკითხის გადაჭრა. ეს იქნება მასშტაბური პროგრამა, რომელშიც ჩაერთვება ყველა დაინტერესებული პირი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 საქართველოს კანონი -„ნარჩენების მართვის კოდექსი “;

2.http://environment.cenn.org/ge/ნარჩენების-მართვა-2/გადამამუშავებელი-კომპან/

3. Silpa Kaza, Lisa Yao, Perinaz Bhada-Tata, Frank Van Woerden. What a waste 2.0, A Global Snapshot of Solid Waste Management to 2050, 2018;

4. https://www.facebook.com/GoWasteEd

5. http://waste.gov.ge/ka/?page_id=3224

6. https://ge.boell.org/ka/2020/06/25/narchenebis-martva-sakartveloshi

ფინანსური ტექნოლოგიების ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობასა და ბანკის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთზეგავლენის ხარისხის შეფასება

Assessment of the degree of mutual influence between the volume of investment financial and technological innovations and macroeconomic bank indicators

გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
Giorgi Tsaava - Professor of Georgian Technical University
რატი ბურდიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
Rati Burdiashvili - Professor of Georgian Technical University
მამუკა მაისურაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
Mamuka Maisuradze - Assoc. Professor of Georgian Technical University

ანოტაცია: ნაშრომში მითითებულია, რომ კონკრეტული ბანკის საქმიანობის მაჩვენებლების ცვლილებებზე ფინანსური ტექნოლოგიების ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობის ზეგავლენის ხარისხის შეფასებისათვის მიზანშეწონილია ბანკის საბალანსო მონაცემების მაგალითზე რეგრესონული ანალიზი იქნას განხორციელებული MS Excel-მეშვეობით.

განხორციელებულია ინვესტიციების მოცულობის მაკროეკონომკური მაჩვენებლებისაგან დამოკიდებულების კვლევა და ჩამოყალიბებულია რომ ეროვნული ბანკის რესტრუქტურიზაციის განაკვეთის გადიდებისას, მცირდება ბანკის ინვესტიციების მიცულობა, ხოლო დოლარის კურსის ლართან მიმართებაში გადიდებისას, იზრდება ბანკის ინვესტიციების მოცულობა. დაზუსტებულია საკლიენტო ბაზის მოცულობისა და ბანკის ინვესტიციების მოცულობის ცვლილების დამოკიდებულების ფაქტორი და ჩამოყალიბებულია რომ ფინტეხ-განვითარებაში ინვესტიციების მოცულობის გადიდება, ხელს უწყობს ბანკის საკლიენტო ბაზის ზრდას 0,22 კოეფიციენტით. დაკონკეტებულია ბანკის დამატებითი ოფისების რაოდენობის დინამიკის ფინტეზ-ინოვაციებში დაბანდებების ზრდისაგან დამოკიდებულების ფაქტორი და ჩამოყალიბებულია რომ ფინტეხ-

განვითარებაში ინვესტიციების მოცულობის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ბანკის დაატებითი ოფისების რაოდენობაზე 0,27 კოეფიციენტით.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციური რესურსები, ინივაცია, ფინანსური დაბადება, ფინანსური სიმტკიცის მარაგი.

Summary:
1. It is indicated that the more favorable the macroeconomic indicators of the bank, the greater the volume of investment in financial and technological innovations of the bank.
2. It has been clarified that an increase in the volume of investment in financial and technological innovations of the bank contributes to an increase by 0.22 in the coefficient of the bank's client base.
3. It is determined that an increase in the volume of investment in financial and technological innovations of the bank contributes to an increase by 0.27 in the coefficient of the number of additional offices of the bank.
Key Words: investment sources, innovation, financial invesmet, margin of financial safety.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკრეტული ბანკის საქმიანობის მაჩვენებლების, როგორებიცაა: ეროვნული ბანკის რესტრუქტურიზაციის განაკვეთის, დოლარის კურსის, ბანკის საკლიენტო ბაზის, ბანკის დამატებითი ოფისების ცვლილებებზე ფინანსური ტექნოლოგიების ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობის ზეგავლენის ხარისხის შეფასებისათვის მიზანშეწონილია ბანკის საბალანსო ძირითადი მონაცემების მაგალითზე რეგრესონული ანალიზი იქნას განხორციელებული.

ამასთან უშუალოდ ბანკის შერჩევა დაკავშირებული უნდა იქნას უპირველე ყოვლისა იმასთან, რომ მას ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე ტექნოლოგიური ბანკის რეპუტაცია გააჩნდეს და ყოველ წელს ბევრს აკეთებდეს იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს თავის რეპუტაციას და კლიენტების მოლოდინები გაამართლოს. ჩვენს შემთხვევაში არჩეული ბანკი იქნება სააქციო საზოგადოების ტიპის უნივერსალური კომერციული ბანკი,

რომელიც ფინანსური მომსახურეობის ბაზარზე ახორციელებს წარმოდგენილი საბანკო ოპერაციების ყველა ძირითად სახეობებს, კერძო და კორპორატიული კლიენტების, საინვესტიციო საბანკო ბიზნესის, სავაჭრო დაფინანსების და ა.შ. მომსახურების ჩათვლით.

ამასთან ბანკის კლიენტების რიცხოვნობისა და დამატებითი ოფისების რაოდენობის გამომსახველი დიაგრამის დინამიკა გარკვეული პერიოდის განმვალობაში თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ფილიალების შემცირებამ არანაირი ზეგავლენა არ იქონია მოცემული ბანკის სასარგებლოდ კლიენტების არჩევანზე. აღნიშნულის მთავარ დამსახურებას წარმოადგენს ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, რომლებსაც ბანკი ოპერატიულად ნერგავს, და კავშირების დაშორიშორებულ არხებში კლიენტურულ სერვისს აუმჯობესებს.

მაგალითად, ბოლო პერიოდში განახლებული იქნა ბანკის მობილური დანართები. ახალი დიზაინი მთლიანად შემუშავებულია სამომხმარებლო სცენარიებიდან გამომდინარე, ანუ დანართები შეთანაწყობილია იმ ქმედებების ქვეშ, რომლებსაც კლიენტები ჩვეულებრივ ცხოვრებაში ახორციელებენ, და სტანდარტული ოპერაციების განხორციელება ხდება უფრო მარტივი და სწრაფი. ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მოთხოვნად ქმედებას ფინანსური დანართების მომხმარებლებს შორის წარმოადგენს **ფულადი გადარიცხვები.**

გადა ამისა, ბანკები თავისი კლიენტებისათვის ახორციელებენ ინტერნეტ-ბანკის და მობილური ბანკის მეშვეობით დისტანციურ, განყოფილებაში მისვლის გარეშე მიღწევადობის შესაძლებლობას. აღნიშნული გახდა შესაძლებელი ავტომატიზაციისა და რეგისტრაციის ახალი სისტემის დანერგვის მეშვეობით. ამჟამად უკვე კლიენტებს ბანკის ოფისებში დამატებიტად მისვლა არ ჭირდებათ, რაც ასევე საკლიენტო ბაზის გაზრდის პირობებშიც, ხელს უწყობს განყოფილებების რაოდენობის შემცირებას.

ამრიგად, მაჩვენებლების დამოკიდებულების გამოვლენის მიზნით განხორციელებული იქნა **რეგრესიონული ანალიზების რამდენიმე სერია:**

საკითხი 1. კომერციული ბანკის ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობასა და ბანკის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებს შორის კავშირის კვლევა.

ჰიპოთეზა 1. კომერციული ბანკის ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობის გადიდება და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ხელსაყრელობა თანხვედრაშია.

შევადგინოთ ჯამური ცხრილი, რომელიც მოიცავს - ბანკის ინვესტიციების მოცულობის დინამიკას, დოლარის კურსს, ნათობის ბარელის ღირებულებას და ცენტრალური ეროვნული ბანკის საკვანძო განაკვეთს ყოველი წლის 01 ოქტომბრისათვის (იხ. ცხრ 3.1).

ცხრილი 3.1. მაჩვენებლების ჯამური ცხრილი ანალიზისათვის

პერიოდი:	**ინვესტიციები, მლნ ლარებში:**	**ცბ-ის საკვანძო განაკვეთი:**	**დოლარის კურსი**	**შშპ**
2015	80 259	5,50	3,09	2 170,00
2016	82 989	5,50	3,25	2 230,00
2017	130 778	8,00	3,35	2 003,00
2018	275 486	11,00	3,30	1 326,00
2019	285 123	10,00	3,10	1 246,00
2020	274 534	8,50	3,05	1 267,00

მონაცემები დამუშავებული იქნა MS Excel-ის მეშვეობით და მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

რეგრესიული სტატისტიკა:					
-მრავლობითი R -R - კვადრატი -ნორმირებული R - კვადრატი -სტანდარტული შეცდომა დაკვირვებები	0,99954127 0,99908275 0,99770687 4811,81259 6				
დისპერსი-ული ანალიზი:					
	df	SS	MS	F	მნიშვნელობა F
-რეგრესია -ნაშთი **ჯამი**	3 2 5	5,0438+E 46307081 5,0485E+10	1,6813E+10 23153540	726,142772	0,00137556
	კოეფიცი-ენტები	სტანდარტული შეცდომა	t-სტატისტიკა	P-მნიშვნელობა	ქვედა 95%
-Y - გადაკვეთა -საკვანძო განაკვეთი -დოლარის კურსი -ნავთობის ბარელი Brent მარკის	398983 -14117 2683 -2952	92057 2966 1063 549	4,3341 -4,7599 2,4773 -5,3997	0,0493 0,0414 0,1315 0,0329	2895,3 -26877,7 -1977,2 -5313,4.

მიღებული მონაცემების ინტერპრეტირებით პირველ რიგში ყურადღება R-კვადრატზე და კოეფიციენტებზე უნდა იქნას გამახვილებული.

R-კვადრატი - დეტერმინაციის კოეფიციენტი ტოლია 99% ნიშნავს, რომ მოდელის საანგარიშო პარამეტრები 99%-ით განსაზღვრავენ შესწავლად პარამეტრებს შორის დამოკიდებულობას. რამდენად უფრო მაღალია დეტერმინაციის კოეფიციენტი, იმდენად უფრო ხარისხიანია მოდელი.

Y-გადაკვეთა - კოეფიციენტი რომელიც გვიჩვენებს როგორი იქნება Y იმ შემთხვევაში, თუ მოდელში გამოყენებადი ყველა ფაქტორები ტოლი იქნება 0-ის, გაითვალისწინება, რომ აღნიშნული არის დაკავშირებულობა მოდელში სხვა აუღწერელი ფაქტორებისაგან. მოცემულ მოდელში გამოყენებულია სამი ცვალებადი, რომლებიც ახასიათებენ დაუკავშირებელი ცვალებადების ზეგავლენის ხარისხს დამოკიდებულ Y ცვალებადზე.

მიღებული მონაცემების ფიშერის კრიტერიუმის მნიშვნელობის დონის მიხედვით (მნიშვნელობა F) გაანალიზებით უტყუარობა ტოლია 0,014, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია 0,05, და აქედან გამომდინარე მოდელი მნიშვნელოვანია. პროცესის მოდელით აღწერის სიზუსტის ხარისხი R-კვადრატი ტოლია 0,99, რაც მიუთითებს აპროკსიმაციის მაღალი სიზუსტის შესახებ (მოდელი კარგად აღწერს პროცესს). p-მნიშვნელობა x_1, x_3 კოეფიციენტებისათვის - ნაკლებია 0,05-ზე, ანუ აღნიშნული კოეფიციენტი შეიძლება ჩაითვალოს არა ნულოვანად; p-მნიშვნელობა x_2 კოეფიციენტებისათვის - მეტია 0,05-ზე, ანუ აღნიშნული კოეფიციენტი შეიძლება ჩაითვალოს არა ნულოვანად.

განტოლებაში ყველა მიღებული კოეფიციენტების ჩასმით, მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$Y = 398\,982{,}9 - 14\,116{,}48x_1 + 2\,683{,}3x_2 - 2\,952{,}2x_3,$$

სადაც: x_1 – საკვანძო განაკვეთია, x_2 - ვალუტის კურსია ($), x_3 – Brant მარკის ნავთობია.

ამრიგად, **ცენტრალური ბანკის საკვანძი განაკვეთი x_1 კოეფიციენტის გადიდებისას,** და სხვა დანარჩენი ტოლი პირობებისას, **ბანკის ინვესტიციების მოცულობა მცირდება,** რაც **ლოგიკურია** და ამ შემთხვევაში: ცენტრალური ბანკის საკვანძო განაკვეთის ამაღლება ყველაზე ხშირად სიგნალიზირებს ეკონომიკური განუსაზღვრელობის შესახებ, რომელიც განპირობებულია გარე პირობების არასტაბილურობით და ფინანსური ბაზრების ვოლატიულობის გადიდებით, და ასეთ პირობებში მეტი ალბათობით **ბანკს არ ექნება თავისუფალი სახსრები ინვესტიციებისათვის.** ვალუტის კურსი x_2 კოეფივიენტის ზეგავლენა შეიძლება ახსნილი იქნას შემდეგი სახით: **ლართან მიმართებაში დოლარის კურსის გადიდებისას ინვესტიციების მიცულობა გაიზრდება,** და მოცემული დამიკიდებულება შეიძლება აიხსნას შემდეგი სახით: ბანკები უფრო ხშირად ინოვაციების მეტ ნაწილს აფინანსებენ უცხოურ ვალუტაში, და ასეთი სახით ინვესტიციების მოცულობა ნამდვლლად გაიზრდება ვალუტის კურსის ზრდისას.

დაჯამების სახით, შეიძლება **ინვესტიციების მიცულობის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისაგან დამოკიდებულების შესახებ**

გაკეთდეს დასკვნა, რომ: ცენტრალური ბანკის საკვანძო განაკვეთის გადიდებისას ბანკის ინვესტიგიების მოცულობა მცირდება, ხოლო ლარის კურსთან მიმარტებაში დოლარის კურსის გადიდებისას ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება.

საკითხი 2. კომერციული ბანკის ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობასა და საკლიენტო ბაზის რაოდენობას შორის კავშირის კვლევა.

ჰიპოთეზა 2. კომერციული ბანკის ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობის გადიდება ხელს უწყობს ბანკის საკლიენტო ბაზის ზრდას.

ჩამოვაყალიბოთ ჯამური ცხრილი, რომელიც მოიცავს - ბანკის საკლიენტო ბაზის დინამიკას, მოქმედი ოფისების რაოდენობას, ბანკის თანამშრომლების რაოდენობას და ინვესტიციების მიცულობას.

ცხრილი 3.2. ბანკის საკლიენტო ბაზის, მოქმედი ოფისებისა და თანამშრომლების რაოდენობის , ინვესტიციების მოცულობის დინამიკის მომცველი ჯამური ცხრილი

პერიოდი	ოფისების რაოდენობა	თანამსრომ-ლების რაოდენობა	კორპორა-ტიული კლიენტები (ათ. ად.)	კერძო კლიენტები (მლნ ად.)	კლიენტები სულ (ათ. ად.)	ინვესტიციები (მლნ ლარი)
2015	511	21 238	82,0	8,9	8982,0	80258,6
2016	617	25 100	109,2	10,6	10709,2	82988,6
2017	804	24 990	162,2	11,4	11562,2	130778,2
2018	745	21 036	255,0	13,6	13855,0	275486,4
2019	733	20 276	334,1	14,3	14634,1	285122,9

მიღებული მონაცემების ინტერპრეტირებით პირველ რიგში ყურადღებას ვამახვილებთ R-კვადრატზე და კოეფიციენტებზე.

რეგრესიული სტატისტიკა:					
-მრავლობითი R -R - კვადრატი -ნორმირებული R - კვადრატი -სტანდარტული შეცდომა დაკვირვებები	0,9555326 0,91304258 0,88405678 786,3440195				
დისპერსი–ული ანალიზი:					
	Df	SS	MS	F	მნიშვნელობა F
-რეგრესია -ნაშთი **ჯამი**	1 3 4	19477393 1855011 21332404	19477393 618337	31,4996449	0,01118093
	კოეფიცი-ენტები	სტანდარტული შეცდომა	t-სტატისტიკა	P-მნიშვნელობა	ქვედა 95%
-Y - გადაკვეთა -ინვესტიციები (მლნ ლარებში)	8247 0,02165391	747 0,00385819	11,0350093 -5,61245445	0,0015939 0,01118093	5868,79 0,00937543

R-კვადრატი - დეტერმინაციის კოეფიციენტი ტოლო 91% ნიშნავს, რომ მოდელის საანგარიშო პარამეტრები 91%-ით განმარტავენ შესწავლად პარამეტრებს შორის დამოკიდებულობას. რამდენად უფრო მაღალია დეტერმინაციის კოეფიციენტი, იმდენად უფრო ხარისხიანია მოდელი.

Y-გადაკვეთა - კოეფიციენტი რომელიც გვიჩვენებს როგორი იქნება Y იმ შემთხვევაში, თუ მოდელში გამოყენებადი ყველა ფაქტორები ტოლი იქნება 0-ის, გაითვალისწინება რომ აღნიშნული არის მოდელში სხვა აუღწერელი ფაქტორებისაგან დამოკიდებულობა. მოცემულ მოდელში გამოიყენება ერთი ცვალებადი, შესაბამისად რომელიც დამოუკიდებელი ცვალებადების ზეგავლენის ხარისხს ახასიათებს დამოკიდებულ Y ცვალებადზე.

მიღებული მონაცემების ფიშერის კრიტერიუმის მნიშვნელობის დონის მიხედვით (მნიშვნელობა F) გაანალიზებით უტყუარობა ტოლია 0,011, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია 0,05, ანუ მოდელი საკმაოდ მნიშვნელოვანია. მოდელით აღწერადი პროცესის სიზუსტის ხარისხით R-კვადრატი ტოლია 0,91, რაც მიუთითებს აპროკსიმაციის მაღალი სიზუსტის შესახებ (მოდელი კარგად აღწერს პროცესს). p-მნიშვნელობა x_1 კოეფიციენტებისათვის ნაკლებია 0,05-ზე, ანუ აღნიშნული კოეფიციენტი შეიძლება ჩაითვალოს არა ნულოვანად.

განტოლებაში ყველა მიღებული კოეფიციენტების ჩასმით, მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$Y = 8\,237{,}3 + 0{,}022x_1 ,$$

სადაც: x_1 – არის ინვესტიციების მოცულობა.

ამრიგად, სხვა დანარჩენი ტოლი პირობებისას, **ინვესტიციების მოცულობა გადიდება ხელს შეუწყობს საკლიენტო ბაზის ზრდას 0,22 კოეფიციენტით.**

დაჯამების სახით, შეიძლება გაკეთდეს **დასკვნა საკლიენტო ბაზის მოცულობის, ბანკის მიერ ინვესტიციებში დაბანდებული მოცულობისაგან დამოკიდებულების შესახებ.**

საკითხი 3. კომერციული ბანკის ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობასა და ბანკის დამატებიტი ოფისების რაოდენობას შორის კავშირის კვლევა.

ჰიპოთეზა 3. კომერციული ბანკის ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ბანკის დამატებითი ოფისების რაოდენობაზე.

საწყისი მონაცემები იყო წარმოდგენილი ჰიპოთეზა 2-ში. მონაცემების MS Excel-ის მეშვეობით დამუშავებით მივიღებთ შემდეგ შედეგს:

რეგრესიული სტატისტიკა:					
-მრავლობითი R -R - კვადრატი -ნორმირებული R - კვადრატი -სტანდარტული შეცდომა დაკვირვებები	0,99073128 0,98154848 0,96309695 443,6301315				
დისპერსი-ული ანალიზი:					
	df	SS	MS	F	მნიშვნელობა F
-რეგრესია -ნაშთი **ჯამი**	2 2 4	20938789 393615 21332404	10469394 196808	53,1960625	0,01845152
	კოეფიცი-ენტები	სტანდარტული შეცდომა	t-სტატისტიკა	P-მნიშვნელობა	ქვედა 95%
-Y - გადაკვეთა -თანამშრომლების რაოდენობა -ინვესტიციები (მლნ ლარებსი)	-382,42716 0,34402797 0,02679896	3194,83181 0,12624987 0,00288146	0,1197018 -2,7249691 9,30046612	0,91565962 0,11241358 0,01136418	14128,679 -0,1991814 -0,01440102

R-კვადრატი - დეტერმინაციის კოეფიციენტი ტოლია 98% ნიშნავს, რომ მოდელის საანგარიშო მოდელები 98%-ით განმარტავენ შესწავლადი პარამეტრებს შორის დამოკიდებულობას. რამდენად უფრო მაღალია დეტერმინაციის კოეფიციენტი, იმდენად უფრო ხარისხიანია მოდელი.

Y-გადაკვეთა - კოეფიციენტი რომელიც გვიჩვენებს როგორი იქნება Y იმ შემთხვევაში, თუ მოდელში გამოყენებადი ყველა ფაქტორები ტოლი იქნება 0-ის, გაითვალისწინება რომ აღნიშნული არის მოდელში სხვა აუღწერელი ფაქტორებისაგან დამოკიდებულობა. მოცემულ მოდელში გამოიყენება ერთი ცვალებადი, შესაბამისად რომლებიც ახასიათებს დამოუკიდებელი ცვალებადების ზეგავლენის ხარისხს დამოკიდებულ Y ცვალებადზე.

მიღებული მონაცემების ფიშერის კრიტერიუმის მნიშვნელობის დონის მიხედვით (მნიშვნელობა F) გაანალიზებით უტყუარობა ტოლია 0,0185, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია 0,05, ანუ მოდელი საკმაოდ მნიშვნელოვანია. მოდელით აღწერადი პროცესის სიზუსტის ხარისხით R-კვადრატი ტოლია 0,98, რაც მიუთითებს აპროკსიმაციის მაღალი სიზუსტის შესახებ (მოდელი კარგად აღწერს პროცესს). p-მნიშვნელობა x_1 კოეფიციენტებისათვის მეტია 0,05-ზე, ანუ აღნიშნული კოეფიციენტი შეიძლება ჩაითვალოს ნულოვანად; p-მნიშვნელობა x_2 კოეფიციენტისათვის ნაკლებია 0,05-ზე, ანუ აღნიშნული კოეფიციენტი შეიძლება ჩაითვალოს არა ნულოვანად.

განტოლებაში ყველა მიღებული კოეფიციენტების ჩასმით, მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$Y = -382,4 + 0,344x_1 + 0,027x_2 ,$$

სადაც: x_1 – თანამშრომლების რაოდენობაა, x_2 - ინვესტიციების მოცულობაა.

ამრიგად სხვა დანარჩენი ტოლი პირობებისას, **ინვესტიციების მოცულობის გადიდება ხელს შეუწყობს დამატებითი ოფისების გახსნას 0,27 კოეფიციენტით.**

ზემოთღნისნულების გათვალისწინებით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი სახის დასკვნა:

1. მითითებულია, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკრეტული ბანკის საქმიანობის მაჩვენებლების, როგორებიცაა: ეროვნული ბანკის რესტრუქტურიზაციის განაკვეთის, დოლარის კურსის, ბანკის საკლიენტო ბაზის, ბანკის დამატებითი ოფისების ცვლილებებზე ფინანსური ტექნოლოგიების ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობის ზეგავლენის ხარისხის შეფასებისათვის მიზანშეწონილია ბანკის საბალანსო მონაცემების მაგალითზე რეგრესონული ანალიზი იქნას განხორციელებული MS Excel-მეშვეობით.

2. განხორციელებულია ინვესტიციების მოცულობის მაკროეკონომკური მაჩვენებლებისაგან დამოკიდებულების კვლევა რეგრესიული ანალიზის საფუძველზე და ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა 1, რომლის თანახმად, რამდენად უფრო კეთილსასურველია მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, იმდენად უფრო მაღალია ინვესტიციები ფინტეხ-ინოვაციებში. ანუ ეროვნული ბანკის რესტრუქტურიზაციის განაკვეთის გადიდებისას მცირდება ბანკის ინვესტიციების მოცულობა, ხოლო დოლარის კურსის ლართან მიმართებაში გადიდებისას იზრდება ბანკის ინვესტიციების მოცულობა.
3. დაზუსტებულია ფინტეხ-ინოვაციებში საკლიენტო ბაზის მოცულობისა და ბანკის ინვესტიციების მოცულობის ცვლილების დამოკიდებულების ფაქტორი და ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა 2, რომ ფინტეხ-განვითარებაში ინვესტიციების მოცულობის გადიდება ხელს უწყობს ბანკის საკლიენტო ბაზის 0,22 კოეფიციენტით ზრდას.
4. დაკონკეტებულია ფინტეხ-ინოვაციებში ბანკის დამატებითი ოფისების რაოდენობის დინამიკის ფინტეზ-ინოვაციებში დაბანდებების ზრდისაგან დამოკიდებულების ფაქტორი და ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა 3, რომ ფინტეხ-განვითარებაში ინვესტიციების მოცულობის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ბანკის დამატებითი ოფისების რაოდენობაზე 0,27 კოეფიციენტით ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ასათიანი ვლ., ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). – თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2014, – 500გვ.
2. ბურდიაშვილი რ. - **ფინანსური აღრიცხვა ბანკებში, სახელმძღვანელო. -** თბილისი, გამომცემლობა შპს „პოლიგრაფისტი“, 2013. – 264 გვ.
3. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. - „საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები“, სახელმძღვანელო. - თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, 400 გვ..
4. საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” (საქართველოს აქტების კრებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემული – თბილისი, 1998 წ. – გვ. 382-415,

5. საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული (ცენტრალური) ბანკის საქმიანობის შესახებ“ (საქართველოს აქტების კრებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემული – თბილისი, 1998 წელი, გვ. 324-382,
6. ცაავა გ., ხანთაძე გ. - „საბანკო საქმე“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.
7. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015. – 800 გვ.
8. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2019. – 380 გვ.
9. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო (შევსებული და გადამუშავებული მესამე გამოცემა). - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2020. – 374 გვ.,
10. Крысанова А.Ю. – Исследование влияния финтех-инноваций на развитие российского банковского сектора. – Екатеринебург, 2018, Магистерская диссертация, Уральский федеральный университет, кафедра банковского и шновационного менеджмента, 2018. – 80 с.

a. 11.Финтех: Путеводитель по новейшим финансовым технологиям / под ред. Яноша Барбериса. – Из-во Альпина Паблишер. – 2017. – 630 с.

11. Банковское деоо: учебник / Под ред. О.И. Лаврушина. – М.: КноРус. – 2013. – 800 с.
12. Рыков С.В. – Основы разработки и внедрения инноваций коммерческим банком // Территория науки. – 2016. - № 3.
13. Семикова П. – Банковские иновации и новый банковский продукт // Банковские технологии. – 2009. – « 11.
14. Федотова М. – Новые финансовые технологии меняют наш мир // Веитник Финансового Университета. – 2017. – № 2.

გუნდის ფორმირება და ადამიანური რესურსების მართვა
Team Building and Human Resource Management

დავით ჩახვაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
Davit Chakhvashvili - Georgian National University,
Professor in the Faculty of Business and Technology
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი: სტატია ეძღვნება ადამიანური რესურსების მართვისა და საპროექტო გუნდის პრობლემების გადაჭრას, რომელიც ხორციელდება საწარმოო სექტორში. ანალიზის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენდა პროექტი, რომელსაც ახორციელებს დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციის შვილობილი კომპანია. კვლევაში აღნიშნულია, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტი არის კომპლექსური მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც შექმნილია ორგანიზაციის მიმდინარე და მომავალი ამოცანების ეფექტურად გადასაჭრელად. განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ პროექტის ადამიანური რესურსების მენეჯმენტი განსხვავდება ორგანიზაციული ადამიანური რესურსების მენეჯმენტისგან და აქვს საკუთარი მახასიათებლები, რომლებიც გასათვალისწინებელია პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.

სტატიაში მოცემულია პროექტის ადამიანური რესურსების მართვის რისკები (საპროექტო გუნდის ფორმირების კონტექსტში). პროექტის გუნდის წევრების თანამშრომლების ტესტირების შედეგები გაანალიზდა F. Herzberg ტესტის გამოყენებით. შემოთავაზებულია რისკის მართვის სისტემა - რისკის ნეიტრალიზაცია; ჩამოყალიბდა პასუხისმგებლობის მატრიცა, საკომუნიკაციო გეგმა, შემუშავდა ნაბიჯები პროექტის გუნდის მუშაობის მოტივაციისა და სტიმულირების სისტემის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

შესწავლილია სამოტივაციო ბარათების გამოყენების პრაქტიკა, რომელიც გამოიყენება ამ ორგანიზაციაში. იგი ასევე ასაბუთებს საპროექტო ოფისის შექმნის აუცილებლობას, რათა შეიქმნას განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზაციაში პროექტის მენეჯმენტის მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერაზე, ყველა პროცესის

გაერთიანებასა და სტანდარტიზაციაზე, სამუშაოს მიმდინარეობის ეფექტურ კონტროლზე და კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე. შიდაორგანიზაციული პროექტის ყველა მონაწილე.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, პროექტი, პროექტის გუნდი, ადამიანური რესურსი.

Abstract: The article is devoted to solving the problems of managing human resources and the project team, which is being implemented in the manufacturing sector. The empirical basis of the analysis was a project that is being implemented by a subsidiary of a large transnational corporation. The study noted that human resource management is a complex multi-stage system, which is designed to effectively solve the current and future tasks of the organization. It is especially emphasized that project human resource management differs from organizational human resource management and has its own characteristics that must be taken into account for the successful implementation of the project.

The article identifies the risks of project human resource management. The results of testing employees, members of the project team, were analyzed using the F. Herzberg test. A risk management system has been proposed - risk neutralization; a responsibility matrix, a communication plan were formed, steps were developed to improve the efficiency of the system of motivation and stimulation of the work of the project team. The practice of using motivational cards, which is used in this organization, has been studied.

It also substantiates the need to create a project office in order to create a unit responsible for the methodological and organizational support of project management in the organization, unification and standardization of all processes, effective control over the progress of work, and improvement of communication between all participants in the intra-organizational project.

Keywords: Management, Project, Project team, Human resources.

თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა პროექტების განხორციელება მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამგვარი აქტივობა უფრო და უფრო ფართოვდება. ახლა ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა, იმის გამო, რომ

ეკონომიკური გარემო და ბიზნეს სამყარო ძალიან ცვალებადი, რთული და დინამიურია, ხშირად ვითარდება გარკვეული პროექტების განხორციელებით.

დღეს ბაზარზე უამრავი ინოვაციაა, რომლებიც ჩნდება/ვიტარდება კოლოსალური გუნდური მუშაობის წყალობით, რომელიც იწყება მცირე იდეიდან და მთავრდება მზა ახალი პროდუქტის შექმნით. ამ პროდუქტში მთავარი უნიკალურობა და ორიგინალურობაა. თანამედროვე მსოფლიოში თანამედროვე ბიზნესის წარმატება მთლიანად პროექტების მართვის უნარში მდგომარეობს. პროექტის გუნდების შექმნა და მართვა მოითხოვს კომპეტენტურ მიდგომას და დიდ ძალისხმევას, რაც მოითხოვს დროსა და ფულს გუნდის წევრების დაგეგმვისა და შერჩევის პროცესისთვის.

გუნდი უნდა შედგებოდეს საკმარისი რაოდენობის ადამიანებისგან, რომლებსაც აქვთ საჭირო კომპეტენციები, რათა თავიდან აიცილონ შეფერხება კონკრეტული პროექტის ამოცანის შესრულებაში. პროექტის განხორციელებაში ძალზე მნიშვნელოვანია გუნდის წევრების ძალისხმევის მობილიზება, ვინაიდან ინოვაციური იდეები უფრო ადვილია გუნდში გენერირება.

გუნდს აქვს სიტუაციის უფრო ძლიერი ხედვა და გამოცდილება, რაც საშუალებას იძლევა გადაჭრას სხვადასხვა პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება პროექტის დროს, როგორც ნებისმიერ გუნდურ სპორტში, რომელშიც თითოეული სპორტსმენი პასუხისმგებელია კონკრეტულ დავალებაზე, მაგრამ ამავე დროს გუნდის ყველა წევრს აქვს საერთო. მიზანი და ერთად მიიღეთ გადაწყვეტილებები, მოაგვარეთ უთანხმოება სანდო, მხარდამჭერ ატმოსფეროში.

როგორც წესი, ღირებულება არის ურთიერთქმედება და თანამშრომლობა და არა ადამიანების ინდივიდუალური კომპეტენციები. პროექტის გუნდის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი ფორმირდება ეტაპობრივად. ამერიკელი მკვლევარის და ფსიქოლოგიის პროფესორის, ბრიუს ტაკმანის აზრით, გუნდის ფორმირების ხუთი ეტაპია: ფორმირება, დაპირისპირება, რაციონირება. პირველი ეტაპი არის ერთმანეთის გაცნობის და ერთმანეთის შესწავლის ეტაპი. შემდეგ დგება მომენტი, როდესაც გუნდის თითოეული

წევრი მოქმედებს თავისებურად და არსებობს კრიტიკული აზრი ერთმანეთთან მიმართებაში.

ასე რომ, დგება ერთმანეთის შეჩვევისა და მიღების მომენტი, რაც ხელს უწყობს გუნდის წევრების კომპრომისულ გადაწყვეტილებებს, შესაბამისად, იწყება პროდუქტიული მუშაობის ეტაპი, რომელიც დაფუძნებულია ინტერაქციასა და თანამშრომლობაზე. საპროექტო ჯგუფის ფორმირების პროცესი ხორციელდება სპეციალისტების რაოდენობისა და კვალიფიკაციის განსაზღვრით, პროექტის გათვალისწინებული სამუშაო სფეროდან გამომდინარე, აგრეთვე პროექტში სპეციალისტების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრით, რომელიც დაკავშირებულია მათ სისტემასთან. სტიმული და მოტივაცია. თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ გუნდის თითოეულ წევრს აქვს მიზანი და საკუთარი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები, რომელთა გადაჭარბება შეუძლებელია.

აქ მნიშვნელოვანია პროექტის მენეჯერის როლი, რომელიც შეძლებს ყველასთან მიდგომის პოვნას და ამავდროულად გააერთიანოს გუნდი ერთი პროექტის მიზნისთვის. გარდა ამისა, პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელია გუნდის წევრების წახალისების სისტემაზე, რაც ხელს უწყობს გუნდური მუშაობის ეფექტურობას. ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს სისტემებისა და მართვის სტილის ფორმირებისა და ფუნქციონირების შესწავლას. ბრძანებების აგებასთან დაკავშირებული პრობლემები აღწერილია Graham H. T., Bennst R., C. Blanchard-ის ნაშრომებში. პერსონალის მენეჯმენტის შესწავლის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ორგანიზაციების ინოვაციური განვითარების სტრატეგიის შესწავლა, რომლებიც ციტირებულია არაერთი მეცნიერის ნაშრომებში.

ჩატარებული კვლევები აჩვენებენ, რომ ადამიანური რესურსების გარკვეული ჯგუფების ლიდერებს შეუძლიათ შექმნან სოციალური და მატერიალური სარგებელი; ეფექტური მენეჯმენტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად მათ შეუძლიათ განახორციელონ სტრატეგიული და ინოვაციური საქმიანობა; წარმართონ თავიანთი საქმიანობა მომავლისკენ და სხვებისთვის. ამრიგად, თანამედროვე მენეჯერული ურთიერთობების შექმნა განაპირობებს საბაზრო ურთიერთობების განვითარების ეფექტურობას. მენეჯმენტი არის გასაღები ყველა პროცესის ინტეგრაციის

უზრუნველსაყოფად, როგორც პროექტებში, ასევე მთლიანად ორგანიზაციებში. ადამიანური რესურსების მართვა ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადამიანი არის ერთადერთი რესურსი, რომელსაც შეუძლია მუდმივად ისწავლოს და განვითარდეს. თანამედროვე სამყარო ადასტურებს არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებისა და განვითარების ინტენსიურ გზაზე გადასვლის აუცილებლობას.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის როლი. ვინაიდან ეს პრობლემა აერთიანებს დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს, ერთი მხრივ, ადამიანი არის მთავარი საწარმოო რესურსი, მეორე მხრივ, ადამიანი არის შექმნილი პროდუქციის მომხმარებელი, ხოლო მესამე მხრივ, დასაქმების და უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემები. ადამიანი, რომელიც სოციალური ხასიათისაა მთელი სახელმწიფოების მასშტაბით.

დასკვნა: კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება მრავალი რეკომენდაციის გაცემა. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია პროექტის ადამიანური რესურსების მართვა, როგორც კომპლექსური, მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც ექვემდებარება მუდმივ ცვლილებებსა და რისკებს. მიზანშეწონილია გამოიყენოს პროექტის გუნდის მართვის საუკეთესო პრაქტიკა სხვადასხვა რისკების მინიმიზაციისა და განეიტრალების თვალსაზრისით,

დაკავშირებული პერსონალის დაგეგმვასთან, მოზიდვასთან და დაქირავებასთან, დაკავშირებული სამუშაოს ორგანიზებასა და მოტივაციასთან, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მხარდაჭერასთან. ამისთვის მნიშვნელოვანია შრომის მოტივაციის კარგად შემუშავებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს კვლევის შედეგებს, სხვა კვლევების შედეგებს. გარდა ამისა, აუცილებელი კომპონენტია მკაფიო ხელმძღვანელობის განხორციელება და ურთიერთქმედების ორგანიზება პროექტის გუნდის მუშაობას შორის ისეთი ხელსაწყოს გამოყენებით, როგორიცაა ინტრაკორპორაციული საინფორმაციო პორტალი და პროექტის მართვის ინსტრუმენტები, როგორიცაა RACI მატრიცა და კომუნიკაციის გეგმა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. Dinsmore, P. Toward a corporate project management culture: Fast truck into the future. Paper presented at the Project Management Institute's 28th annual seminars & symposium 2017
2. Funt V.N. Project management of firm development: theory and practice: monograph. Saint-Petersburg: Piter. 2017
3. Heldman K. Project management. Quick start. Moscow: MISI-MGSU. 2018.
4. Shapiro S. A. Fundamentals of personnel management: a textbook: KnoRus. 2019.
5. Suslo E.A., Maka T.N. Organization and application areas of team work. Economic environment. 2018
6. Zub A.T. Project management: textbook and practice. Yurayt. 2018
7. Andrews K. R. The concept of corporate strategy / K. R. Andrews // Resources, firms, and strategies: a reader in the resource-based perspective. – 1997. – 377 p.
8. Bryson J. M. Strategic planning for public and nonprofit organizations: A guide to strengthening and sustaining organizational achievement / J. M. Bryson. – John Wiley & Sons, 2018. – 513 p. – ISBN 978-1-1190-7161-7.

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი -
ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები.

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი / (+995) 571 22 27 37

International peer-reviewed and peer-reviewed scientific journal -
Economics and Finance

The journal is an academic publishing house that publishes quarterly academic articles in the fields of economics, finance, social sciences, and business technology.

Editor-in-Chief - Doctor of Economics, Professor of the Georgian National University Davit Chakhvashvili / (+995) 571 22 27 37

Международный рецензируемый и рецензируемый научный журнал -
Экономика и финансы

Журнал представляет собой академическое издательство, которое ежеквартально публикует научные статьи в таких областях, как экономика, финансы, социальные науки и бизнес-технологии.

Главный редактор – доктор экономических наук, профессор Грузинского Национального Университета Давид Чахвашвили / (+995) 571 22 27 37

საკონტაქტო ინფორმაცია - ბახტრიონის ქ. 10 / თბილისი, საქართველო
Contact Info: Bakhtrioni street #10, T'bilisi, Georgia
(+995) 577 64 34 85 / ierd.science@gmail.com